პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კავოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
დამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 6—48.

დ ღ ი უ რ ი

- — ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების გაფიცვა დამთავრდა სოც.-დემოკრატების მოღალატეობის გამო.
- — მექსიკაში გაემგზავრა ამსტერდამის ინტერნაციონალის დელეგაცია.
- — საბჭოთა კავშირის და ლიტვას ხელშეკრულება და ბალტიის სახელმწიფოები.
- — ბათომში ჩამოვიდა შავი ზღვის ესკადრა.
- — გადადგა პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი ზევერინგი და გერმანიის რეიხსვერის უფროსი გენერალი ფონ-სეკტი.

ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 228 (1773)

გავაძლიეროთ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის თანდათანობითი და შეუჩერებელი განმტკიცება უდაო ფაქტია. მაგრამ, რამდენადაც მაგრდება და ყალიბდება ჩვენი მართველობის აპარატი, იმდენად უფრო აშკარავდება ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობით ნაანდერძევი ტკივილები ამ აპარატის მუშაობაში.

ბიუროკრატიზმი ერთი ამ ტკივილთაგანია და ამავე დროს ისეთი ტკივილი, რომელიც განსაკუთრებით აბრკოლებს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ მუშაობას და ამრიგად, რა თქმა უნდა, წინ ეღობება საბჭოთა აღმშენებლობის საქმეს. ამიტომ ბრძოლა ამ სენის წინააღმდეგ თავიდანვე მნიშვნელოვან ამოცანად იყო ჩვენ მიერ აღიარებული. დღევანდელ პირობებში კი, როცა ჩვენ ფეხი შევდგით გაცხოველებულ აღმშენებლობითი მუშაობაში, როცა საბჭოთა აპარატის ქსელი თანდათან იკრეფს მუშებისა და გლეხების ახალ ფენებს, ბიუროკრატიზმს განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

რა იწვევს ამ სენს ჩვენს დაწესებულება-უწყებებში და რა უწყობს ხელს მის განვითარებას? პირველყოვლისა აღსანიშნავია, რომ ბიუროკრატიზმით ერთნაირად დაავადებულია როგორც ცენტრალური, ისე ძირითადი აპარატი; და ეს ბუნებრივიცაა: ცენტრისა და ადგილების მუშაობა მჭიდროთაა გადანასკვული ერთმანეთზე.

ცენტრალური დაწესებულებები ხშირად ვერ ათანხმებენ ერთი მეორის მუშაობას. თვითეული მათგანი დამოუკიდებელ კავშირს იჭერს ადგილებთან, დამოუკიდებლათ უგზავნის აპარატის ძირითად ქსელს სადირექტივო ცირკულიარებს თუ სავალდებულო განკარგულებებს და დამოუკიდებლადვე ითხოვს ადგილობრივ ხელისუფლებისაგან მისთვის საჭირო ცნობებს. ამრიგად აპარატის ძირითადი ქსელი ზედმეტად იტვირთება, იქმნება პარალელიზმი მუშაობაში და ამასთან ერთად ზიანი ადგება ადგილობრივ საჭიროებათა მოგვარებასაც.

ამიტომ, ცენტრალურ დაწესებულებათა ურთიერთ შეთანხმებული მუშაობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიზმის სენისაგან განკურნვას. ამ შეთანხმებული მუშაობის შესაძლებლობა ცენტრში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ქვედა აპარატის ქსელში.

საჭიროა მხოლოდ მონდომება და გარჯილობა. ამას უნდა მიექცეს ჩვენი ცენტრალური აპარატის მუშაკთა განსაკუთრებული ყურადღება.

ამასთან ერთად დიდათ უწყობს ხელს ბიუროკრატიზმს შტატების მოუგვარებლობის საკითხი. დიდი და ხელოვნურად გაბერილი შტატი საუკეთესო ნიადაგს ჰქმნის ბიუროკრატიზმის შმორის გასაძლიერებლად. იქ, სადაც მუშაკთა რიცხვი საჭიროზე ზედმეტია, ან სადაც მუშაობა თანამშრომელთა შორის მიზანშეწონილად არაა განაწილებული, ბიუროკრატიზმი ყოველთვის თბილ ბუდეს იჩენს და გასაქანს უსაზღვრავს საბჭოთა თვითმოქმედებას.

მიუხედავად იმისა, რომ მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით, უკანასკნელი ხნის განმავლობაში არა ერთხელ წამოიჭრა საკითხი შტატების მოწესრიგების შესახებ, აქ დღემდე არა გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. როგორც ადმინისტრატიულ, ისე ხელქვეით თანამდებობის პირთა შტატი დიდია ჩვენს დაწესებულება - წარმოებებში. აქედან ცხადია, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში შტატების მოწესრიგების საკითხს უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

გარდა აღნიშნულ მიზეზებისა ბიუროკრატიზმი ჩვენს დაწესებულება-წარმოებებში საზრდოობს აგრეთვე სხვა საკვებითაც. ესაა უკვე საბჭოთა აპარატის ცოცხალი ელემენტები—ადამიანები, რომელნიც არიან სახელმწიფოს ღონისძიებათა ამსრულებელნი და გამტარებელნი. ახალი სახელმწიფოებრივ აპარატისათვის, როგორიცაა საბჭოთა აპარატი, საჭიროა ახალი ფორმაციის მუშაკი და ამსრულებელი პირი.

ჩვენი დაწესებულებები კი დღეს უმთავრესად სარგებლობენ ძველი აპარატის მუშაკებით, რომელნიც აღზრდილნი არიან ძველ სკოლაში, ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობაში და უნებლიეთ იმყოფებიან ამ აღზრდის გავლენის ქვეშ. ეს გარემოება ყველაზე მეტ ობიექტიურ პირობებს ჰქმნის ბიუროკრატიზმის გაძლიერებისათვის. ამიტომ სწორედ აქეთკენ უნდა იქნას მიმართული ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მთავარი იერიში. რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს?

პირველ ყოვლისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა საზოგადოებრივობის ზრდას ჩვენს დაწესებულება - წარმოებებში. საჭიროა გაცხოველებულ იქნას ყოველგვარ ნებაყოფლობითი ორგანიზაციების და კერძოთ საწარმოო თათბირების მუშაობა.

ამასთან ერთად უნდა გაძლიერებულ იქნას მუშებისა და გლეხების საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენება. ამ მხრივ ჩვენ არ შეგვიძლია დავიკვეხნოთ დიდი მიღწევებით. მასის აქტივობის შეუჩერებელი ზრდა, მშრომელთა მნიშვნელოვანი წარმატება კულტურულ ფრონტზე, რაიც განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში უდაო ფაქტია, მშრომელთა ფართე ფენებიდან ახალ მუშაკების წამოყენების დიდ შესაძლებლობას ქმნის. უნდა დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ შესაძლებლობას ჩვენ სათანადოთ ვერ ვიყენებთ. ამავე დროს მუშებისა და გლეხების საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებას აქვს არა მარტო უაღრესი პოლიტიკური, არამედ დიდი პრაქტიკული სამეურნეო მნიშვნელობაც.

დაზგიდან და კავიდან მოსულ მუშაკს შეაქვს დაწესებულებაში ახალი სული, ასეთ მუშაკის ბუნებას ყველაზე ნაკლებათ ეგუება ბიუროკრატიზმი. საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებულთა მუშაობა ამსუბუქებს დაწესებულების ბიუროკრატიულ ატმოსფერას. ყოველივე ეს ავიწყდებათ ზოგჯერ ჩვენს პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს, რის გამოც მასიდან ახალ მუშაკთა წამოყენების საქმე დიდათ ფერხდება. ამ ნაკლს უთუოდ უნდა მიექცეს ყურადღება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დროს.

ბიუროკრატიზმი შეურიგებელი მტერია ჩვენი წყობილების, ჩვენი აღმშენებლობის და ჩვენი საზოგადოებრიობის. მასთან ბრძოლაში უნდა დავრაზმოთ ყველა სასიცოცხლო ძალები. თვითეული კომუნისტი, საბჭოთა რესპუბლიკის ყოველი მშრომელი უნდა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ დავანგრიეთ და უფსკრულში [illegible] ძველი წყობილების აპარატი, ჩვენ უნდა ვძლიოთ ამ აპარატის მავნე ნაშთი—ბიუროკრატიზმიც.

სასოფლო კოოპერაციის ორგანოების გადარჩევა

(„პრავდას“ მოწინავე წერილი)

ახლო მომავალში ქვედა კოოპერატიულ ქსელს მოუხდება მმართველობის ორგანოების გადარჩევის კამპანიის ჩატარება. წარსული წლის გამოცდილებიდან ვიცით, რომ გადარჩევის დღეებში გლეხობის კოოპერატიული მასის აქტიობა მაქსიმალურად აშკარავდება. და არა მხოლოდ კოოპერატიული მასის. გლეხობის ფართო ფენებიც, რომლებიც აქამდე გულგრილად უყურებდენ კოოპერაციას, მონაწილეობას იღებენ საკითხების გარჩევაში და მზად არიან ჩაებან კამპანიაში. ამრიგად გადარჩევის დღეები ყველაზე უფრო ხელსაყრელი მომენტია ქვედა ორგანიზაციების წევრთა რიცხვის გასადიდებლად.

უკვე ეს ერთი გარემოებაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს გადარჩევის კამპანიას. მაგრამ გარდა წმინდა კოოპერატიულ მომენტებისა კამპანიაში ახალი წევრების მიზიდვის დროს სამეურნეო ნაკლის გამოსასწორებლად, მეტად მკაფიოდ წამოიჭრება აგრეთვე გლეხობის სხვადასხვა კლასობრივი ჯგუფების პოლიტიკური ინტერესებიც. წარსული კამპანიის დროს ზოგიერთ ადგილებში ადგილი ჰქონდა სოფლის კულაკებსა და მშრომელ ნაწილის შორის მწვავე შეჯახებას. კოოპერაციის იმ როლის გამო, რომელიც მას აქვს საბჭოთა აღმშენებლობაში, მოსახლეობის მასიურად მიზიდვის დროს, გადარჩევის პოლიტიკური მნიშვნელობა სავსებით გასაგებია.

მიუხედავად ამისა არ შეიძლება ითქვას, რომ წარსულ წლებში კამპანიის მომზადების საქმე თავის სიმაღლეზე მდგარიყოს. თუმცა ცენტრიდან თავის დროზე გაიგზავნა ინსტრუქციები, რომლებიც გადარჩევის მნიშვნელობას განმარტავდენ, მაგრამ ადგილები მეტ წილად ძალზე სუსტად მომზადებული აღმოჩნდა. წევრებს აგროვებდენ სასწრაფოდ, წესრიგში დასმულ საკითხების წინასწარ სათანადოთ დაუმუშავებლად. პრესაც საკმაოდ არ იყო გამოყენებული. კამპანიის გეგმა არ იყო შეთანხმებული პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კავშირების მოუმზადებლობა. ზოგიერთ კავშირებში არ იყო კამპანიის საკალენდრო გეგმა. ხშირად ინსტრუქტორები მიდიოდენ კოოპერატივებში და არ იცნობდენ მათ საჭიროებას.

ამის შედეგი იყო კამპანიის გაჭიანურება და გადარჩევის მსვლელობით გამოწვეული მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება. ვინაიდან მთელ რიგ შემთხვევებში შეძლებული კულაკური ჯგუფები უფრო ადრე ასწრებდენ მომზადებას, ვიდრე ღარიბი და საშუალო ჯგუფები, ამიტომ გამარჯვებაც პირველთ რჩებოდა. როცა კულაკური ელემენტების დაძლევა შესაძლებელი ხდებოდა, ღარიბ და საშუალო ჯგუფების მოუმზადებლობის წყალობით, სამეურნეო და ორგანიზაციული ეფექტი მაინც სუსტი იყო, ვიდრე ეს უნდა ყოფილიყო ძალთა განწყობილების მიხედვით.

ყველა აღნიშნული დეფექტები აუცილებლად თავიდან აცილებულ უნდა იქნას ამ კამპანიაში.

ყოველმა კავშირმა გულდასმით უნდა დაამუშაოს კამპანიის ჩატარების გეგმა თავის რაიონსა, გუბერნიასა და ოლქში და ის შეუთანხმოს პარტიულ ორგანიზაციებს. დაბალ ფენებში კამპანია უნდა გადაიქცეს სოფლის ღარიბეს და საშუალო შეძლების ძალთა მობილიზაციად, მათ წინააღმდეგ გალაშქრებული კულაკობისაგან მათი ინტერესების დაცვის ნიადაგზე.

დაუშვებელია ამომრჩეველთა ნებისყოფაზე ძალდატანება და მათთვის კანდიდატების მოხვევა.

კამპანიაში გლეხობის მშრომელი ფენების ჩაბმა საჭიროა გატარდეს ადგილობრივი ჭირვარამის გაგების, კოოპერაციის ნაკლულევანებათა საქმიანი განხილვის, საქონლის გასაღებასა, მომარაგებასა და კრედიტზე კოოპერატიული მუშაობის მეთოდის გაშუქების და კოოპერატიული აქტივის ახალი კადრების წამოყენების ნიადაგზე.

თუ ღარიბესი გლეხობა იგრძნობს რეალურ ღონისძიებებს, მიმართულს კოოპერაციაში მის ჩაბმასა და მის სამეურნეო მდგომარეობის გაძლიერებისაკენ, როგორიც არის, მაგალითად: საპაიო გადასახადის ნაწილ-ნაწილად შეტანა, მოგების ანარიცხებიდან „ღარიბესთა ფონდის“ შექმნა, საწარმოო საქმეებისათვის სესხის გაცემა და სხ., თუ საშუალო შეძლების მასა დაინახავს დაგროვებათა საკითხის რიგიანად დაყენებას და მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარებას, ამით ჩვენ საუკეთესო ნიადაგს მოუმზადებთ არჩევნებისათვის ჩვენი კლასიური პოლიტიკის განხორციელებას.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ მოსახლეობის ყველა ფენების მიერ აქტივობის ზრდის პირობებში, კულაკური ჯგუფებიც იჩენენ გაცხოველებულ აქტივობას. მომავალ კამპანიაში ამ ჯგუფებს სათანადო წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ გლეხობის მშრომელმა ფენებმა, კოოპერაციის საამომრჩევლო ორგანიზაციებმა, კამპანიის სწორად ჩატარების პირობებში, უნდა ამოირჩიონ საშუალო და ღარიბესი გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლები, ამ მხრივ განსაკუთრებით საჭიროა ღარიბეს გლეხთა მონაწილეობის გაძლიერება, რომელიც დღემდე ძალიან მოისუსტებდა.

სოფლის საშუალო და ღარიბეს გლეხურმა ფენებმა საქმით უნდა დაინახონ, რომ ჩვენ ვეხმარებით მას აქტივის წამოყენებაში და, რომ კოოპერაციის მოქცევა სოციალისტური მშენებლობის კალაპოტში შესაძლებელია მხოლოდ თვითმოქმედებისა და ნებაყოფლობის ნიადაგზე.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 6 ოქტომბერი.

ინდოეთის საკითხი და მუშათა პარტია

(წერილი ლონდონიდან)

ინდოელი ნაციონალისტები გულახდილათ აცხადებენ თავიანთ გაზეთებში, რომ მათ სასტიკად გაუცრუვდათ ის იმედები, რომლებსაც ისინი ამყარებდენ ინგლისის მუშათა პარტიაზე. და როგორც სწერდა „ბომბეი კრონიკი“, „არაა არავითარი რწმენა იმაში, რომ ინგლისში საპარლამენტო უმრავლესობის მუშათა პარტიისაკენ გადასვლის შემდეგ შეიძლება იქნას მიღწეული უკეთესი შედეგები“.

მართლაც, თუ ჩავუკვირდებით მუშათა პარტიის პოლიტიკას ინდოეთის საკითხში, მაშინ არ შეიძლება სავსებით დასაბუთებულად არ ჩავთვალოთ ეს იმედების გაცრუება.

მთელი ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში მუშათა პარტია არა მარტო საქმით, არამედ სიტყვითაც ყოველთვის იცავდა ბრიტანეთის იმპერიალიზმის ტრადიციულ პოლიტიკას ინდოეთის მიმართ.

მუშათა პარტიის ოფიციალური თვალსაზრისი კოლონიალური საკითხების შესახებ ჩამოყალიბებული იყო ჯერ კიდევ 1922 წელში სიდნეი ვებბის მიერ, რომელმაც განაცხადა, რომ ბრიტანეთის იმპერიამ უკვე შესწყვიტა თავისი არსებობა და გადაიქცა დემოკრატიულ „ერთა ბრიტანულ საზოგადოებად“. აქედან გამოჰყავდათ დასკვნა, რომ ყველა იმ ძაფების შენარჩუნება, რომელნიც ამაგრებენ ამ „საზოგადოებას“, „დემოკრატიული“ პოლიტიკის ერთი ძირითადი ამოცანათაგანია.

ემყარებოდა რა ამ ძირითად თვალსაზრისს, მუშათა პარტია ჰკიცხავდა ეროვნული მოძრაობის ცდებს ინდოეთში, რომლის მიზანი იყო მიეღო დამოუკიდებლობა ან თვითმმართველი დომინიონის უფლება მაინც. იმავე 1922 წელში ვებბმა ჩამოაყალიბა თავისი თეორია და მუშათა პარტიის ეროვნულმა საბჭომ მიიღო განსაზღვრული რეზოლიუცია იმ მოძრაობის წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობდა განდი (რომელმაც უარი განაცხადა ინგლისელ ხელისუფლებასთან ინდოეთში რაიმე თანამშრომლობაზე). გამოსთქვამდა რა მწუხარებას დაპატიმრებათა გამო, რომლის მეოხებით მთავრობა ებრძოდა „განდისტებს“, ეს რეზოლიუცია ამავე დროს ხაზს უსვამდა ინდოეთში „წესრიგის დაცვის“ აუცილებლობას, ე. ი. ამართლებდა სწორედ იმ დაპატიმრებებს, რომლის გამოც „სწუხდა“.

მაკდონალდის მთავრობის პოლიტიკა სავსებით ანხორციელებდა „წესრიგის დაცვის“ ამ იდეას. მაკდონალდმა არა თუ არ გააუქმა განსაკუთრებული კანონები ბენგალიაში, რომლის მიხედვით ბენგალიის ხელისუფლებმა სასტიკი ტერორის საშუალებით ჩააქრეს ეროვნულ-რევოლუციონური მოძრაობა,—არამედ თვით მაკდონალდის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს [illegible] გაძლიერდა კომუნისტების დევნა. ლორდ ბირკენჰედს სრული უფლება ჰქონდა განეცხადებია, რომ კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკა არ განსხვავდება იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც იმ დროს ატარებდა „მუშათა მთავრობა“.

არა მარტო მთავრობის პარტიის სახით, არამედ ოპოზიციის როლშიაც დარჩა ინგლისის მუშათა პარტია, ამ პოლიტიკის ერთგული. შარშან და წრეულს, ინდოეთის შესახებ საპარლამენტო დებატების დროს, მუშათა პარტიის წარმომადგენლები მთავრობის მოქმედებას აკრიტიკებდენ მხოლოდ წვრილმანებში; ლიბერალები უფრო ოპოზიციონერები გამოდიგნ ამ საკითხში. ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გრაფმა ვინტერტონმა „კმაყოფილებით“ ხაზი გაუსვა, რომ ამ დებატებში ოპოზიცია სდგას „პარტიის გარეშე“ თვალსაზრისზე, და რომ მისსა და მთავრობის შორის მხოლოდ უმნიშვნელო უთანხმოება არსებობს. კერძოდ ვინტერტონი აღნიშნავს, რომ ოპოზიცია, მუშათა პარტიის სახით არ გამოსულა ბენგალიაში არსებული განსაკუთრებული კანონების წინააღმდეგ.

მუშათა პარტიის ბელადებმა თავისი მხრით „გამოსთქვეს კმაყოფილება“. პოლკოვნიკ ვედჯვუდის ეს „კმაყოფილება“ ეკუთვნოდა ახალი ვიცე-კოროლის, ლორდ ირვინის დანიშვნას, რომელსაც ვედჯვუდი აქებდა... რელიგიური ტრადიციებისათვის, და ამტკიცებდა, რომ ვიცე-კოროლის სწორედ ეს თვისებები უზრუნველჰყოფენ იმ „ხელმძღვანელობას, რომელიც საჭიროა ამჟამად ინდოეთში“.

ასეთია მუშათა პარტიის ბელადების პოლიტიკა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს პოლიტიკა სავსებით ეწინააღმდეგება ინგლისის მუშათა კლასის განწყობილებას. მთავრობის ტერორი ინდოეთში, ეროვნული და მუშათა მოძრაობის დევნა ამ კოლონიაში, შრომის აუტანელი პირობები ინდოეთში, — ყოველივე ეს, მიუხედავად მთავრობისა და კაპიტალისტური პრესის ყოველმხრივი ცდისა, გაიგო ინგლისის მუშათა კლასის ფართო წრეებმა, რამაც შეარყია მათი ნდობა ბელადთა „ინდოეთის“ პოლიტიკის მიმართ. სწორედ ასევე, ინდოეთის საკითხის კავშირმა უფრო ზოგად საკითხებთან,—ინგლისის იმპერიალიზმის როლისა და მნიშვნელობისა და ჩაგრული ერების უფლებათა შესახებ, მუშათა მასებში დიდი ინტერესი გამოიწვია ყოველივე იმისადმი, რაც ხდება ინდოეთში. ამ განწყობილებამ გამოხატულება ჰპოვა პროფკავშირთა შარშანდელ კონგრესზე სკარბოროში, რომლის რეზოლიუციამ გადაჭრით გასწყვიტა კავშირი ინდოეთისადმი იმპერიალისტური დამოკიდებულების ტრადიციებთან და მოითხოვა მისი თვითგამორკვევის უფლება.

მაგრამ ეს რეზოლიუცია მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. მუშ. მოძ. საპარლამენტო წარმომადგენლებმა იგი არ მიიღეს სახელმძღვანელოდ და ამ რეზოლიუციაში გამოთქმული პრინციპების დაცვის მაგივრად აქებდენ ახალ ვიცე-კოროლს.

ეს კიდევ ცოტაა. ინგლისის მუშათა პარტიის ბელადები ისწრაფვიან აგრეთვე მუშათა მოძრაობის „დაცვისაკენ“ ინდოეთში, მუშათა პარტიის შექმნის საშუალებით, რომელიც ინგლისის „ძმურ“ პარტ-თან იქნება მჭიდრო კავშირში და მისი იდეურ ოპეკის ქვეშ იმოქმედებს. მაგრამ ამ „დაცვის“ ნამდვილი აზრი გამომჟღავნა პოლკოვნიკ. ვედჯვუდმა, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ მუშათა პარტია ინდოეთში იქნება ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მტკიცედ დადგება ინგლისის ხელისუფლებასთან ლოიალურ თანამშრომლობის ნიადაგზე მომქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

ამგვარად, ინგლისის მუშათა მოძრაობის ოფიციალური ბელადების ეს „ძმური“ განზრახვა ისწრაფვის მხოლოდ ინგლისის იმპერიალიზმის პოზიციების გამაგრებისაკენ ინდოეთში. კონსერვატიულმა მთავრობამ ზოგიერთი შეღავათებისა და სვარაჯელების პარტიაზე იძულებითი ზომებით ზემოქმედების საშუალებით ინდოეთის ბურჟუაზიის ნაწილი ჩამოაშორა აქტიურ ეროვნულ მოძრაობას; ინგლისის მუშათა პარტია ეხლა ცდილობს, რომ იგივე ჩაიდინოს ინდოეთის მუშათა მასების მიმართ.

მაგრამ შესძლებს კი იგი ამას? მისმა მთელმა წინანდელმა პოლიტიკამ ინდოეთის მიმართ, ინდოეთის მოსახლეობის მშრომელთა ნაწილში გამოიწვია ეჭვები და მტრული განწყობილებაც კი; და ამიტომ ძნელია დაშვება იმისა, რომ მაკდონალდმა და ვედჯვუდმა შესძლონ ინდოეთის მუშათა მოძრაობის თავიანთ ზედამხედველობის ქვეშ დაყენება.

ა. ტეილორი.

ლონდონი, 24 სექტემბერი.

საბჭოთა პრესა

საწარმოო თათბირების ნაკლულევანებანი

წარმოების რაციონალიზაცია, მომჭირნეობის რეჟიმის გატარება, შრომის ნაყოფიერების აწევა და შრომის დისციპლინის დაცვა, რაც ასე აუცილებელია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის,—თავის თავად იგულისხმება, შეუძლებელია მოხდეს მარტო ადმინისტრატიულ-სამეურნეო ღონისძიებებით. ამისათვის აგრეთვე საჭიროა მუშათა ფართე მასების აქტიური და შეგნებული მონაწილეობა სამრეწველო მშენებლობაში. ამ მონაწილეობის საუკეთესო ფორმად კი მიჩნეულია საწარმოო თათბირები. ასეთი თათბირები სამეურნეო სკოლაა მუშებისათვის, მათი საშუალებით ისინი ეცნობიან წარმოებას, აყენებენ პრაქტიკულ წინადადებებს მის გასაუმჯობესებლად, უახლოვდებიან სამეურნეო მუშაკებს და სხვ. ასეთია საწარმოო თათბირების დანიშნულება, თუ მათი ორგანიზაცია და მუშაობა სათანადოთ იქნება დაყენებული. მაგრამ ამ მხრივ მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. **„ეკონომიჩესკაია ჟიზნ“** გადმოგვცემს:

> „სამეურნეო მუშაკების გამოსვლებმა საწარმოო თათბირებზე, გამოსვლებმა, რომლებსაც ჯერ-ჯერობით ადგილი ჰქონდა ფაბრიკების და ქარხნების უმნიშვნელო ნაწილში, ცხადად გვიჩვენა, რომ დღემდე უმთავრესი სამეურნეო ღონისძიებები მუშების მონაწილეობის გარეშე ტარდებოდა, ხშირად ნაუცბადევად, რეალურ პირობებისათვის ანგარიშგაუწევლად. აქედან არა იშვიათად კონფლიქტები წარმოიშვებოდა წარმოებებში, ან ზოგიერთ ამ ღონისძიების განხორციელება ფაქტიურად შეუძლებელი ხდებოდა.
>
> აკვირდები რა სამეურნეო მუშაკების უკანასკნელ დროს გახშირებულ გამოსვლებს საწარმოო თათბირებზე, აშკარავებ, თუ როგორ **სუსტად იცნობენ მუშები არა მარტო თავის ტრესტის, არამედ ძალიან ხშირად თავის ფაბრიკის თუ ქარხნის მუშაობას და სამეურნეო მდგომარეობას.** მეორე მხრივ, აშკარავდება ისიც, თუ როგორ შორს არიან ტრესტების ხელმძღვანელები ცალკე წარმოებათა მუშაობის და საჭიროებათა ცოდნიდან. ეს სამწუხარო მოწყვეტა მუშათა მასისაგან ტრესტების ზედაწრეებისაგან, და, პირიქით, მუშათა მასისა იმ სამეურნეო ერთეულის ცხოვრებიდან, რომელთანაც ის მჭიდროდაა დაკავშირებული,—ეს მოწყვეტა უშიშრად უნდა ვაღიაროთ, რათა საერთო ძალ-ღონით აღმოვფხვრათ ის.
>
> ის ფაქტი, რომ მომხსენებლები მუშათა თათბირებზე მოუმზადებელი ცხადდებიან, რომ ისინი, კონკრეტიულ მასალებთან გაუცნობლობის გამო, თავის მოხსენებებს ზოგად მსჯელობებს და განყენებულ ციფრობრივ გამოანგარიშებაზე ამყარებენ; ის ფაქტი, რომ მუშების ფაქტიურ წინადადებათა შემოწმება და გატარება ძალიან ცუდათაა დაყენებული,—ყველა ეს ფაქტები ხელს ვერ შეუწყობენ საწარმოო თათბირების ავტორიტეტის აწევას, მუშათა მასსის აქტივობის ზრდის საქმეს“.

ასეთ პირობებში, მართლაც, შეუძლებელია ლაპარაკი საწარმოო თათბირების ნაყოფიერ მუშაობაზე, მათი საშუალებით მუშების წარმოებითი აღზრდაზე და წარმოების რაციონალიზაციაზე. სამეურნეო მუშაკების და მუშათა მასების დაკავშირება წარმოების საკითხების საერთოდ განხილვის და გადაჭრის ნიადაგზე, მუშათა საქმიან და მიზანშეწონილ წინადადებებისათვის შესაფერი ანგარიშის გაწევა, მეტი სერიოზულობით მოპყრობა საწარმოო თათბირებისადმი და მათი მუშაობის ავსება კონკრეტული შინაარსით—აი გზა, რომლითაც შეიძლება მუშების აქტიური ჩაბმა სამეურნეო ცხოვრების მშენებლობაში.

ინგლისელმა მემაღაროებმა უარყვეს მთავრობის წინადადებები

ლატვიაში საჭიროდ თვლიან საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენას

ურთიერთობა გონკონგსა და კანტონს შორის ჩქარა განახლდება

მემაღაროები მტკიცედ არიან

მთავრობის წინადადებები უარყოფილია

ლონდონი, 6 ოქტ. მემაღაროეთა რაიონულმა კრებებმა უარი განაცხადეს მთავრობის წინადადებების მიღებაზე. დღეს შეიკრიბება მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომი, რომელიც მოისმენს რაიონებიდან მიღებულ მოხსენებებს არსებული მდგომარეობის შესახებ, რაც შემდეგ ეცნობება მემაღაროეთა ნაციონალურ სადელეგატო კონფერენციას.

თუ, როგორც მოსალოდნელია, უარყოფილი იქნება მთავრობის წინადადებები, მაშინ განხილულ უნდა იქნას საკითხი—წარუდგენს თუ არა კონფერენციას მემაღაროეთა აღმასკომი რაიმე ახალ წინადადებას.

გაფიცულები მტკიცედ არიან

ლონდონი, 5 ოქტომბერი. ინგლისის სანახშირო რაიონებიდან მიღებულ პირველ ცნობებიდან სჩანს, რომ მემაღაროელები უმეტეს შემთხვევაში ხმას აძლევენ მთავრობის წინადადებათა მიღების წინააღმდეგ. მთავრობის წინადადებათა წინააღმდეგ ხმა მისცეს სამხრეთ-უელსის, შოტლანდიის, ბერგემის, კუმბერლენდის და სოუსტსაფორდის მემაღაროელებმა რიცხვით 480.000-მდე კაცმა.

მთავრობის წინადადების სასარგებლოთ ხმა მისცა ლეისტერშირის რაიონის მემაღაროელებმა, სადაც 14.000 მუშა ირიცხება.

სამხრეთ უელსის და შოტლანდიის მაღაროს მუშათა სადელეგატო კონფერენციაზე ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც უარყოფს მთავრობის წინადადებებს.

ინგლისის ცენტრალურ რაიონების პოზიცია გამოურკვეველია. როგორც ამბობენ წინადადებათა უარყოფის მთავარი მიზეზია მუშების პროტესტი სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ.

დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ უელბეკის (ნოტინგემშირის ოლქი) მაღაროს მუშები რიცხვით 800 კაცი, რომლებიც ამას წინედ სამუშაოზე დაბრუნდენ ეხლა კვლავ გაიფიცენ და ხმა მისცეს მთავრობის წინადადებათა წინააღმდეგ.

ალფრიდტანში (დერბიშირის ოლქი) რამოდენიმე ათასი მაღაროს მუშები წითელი დროშებით გამოვიდენ და დემონსტრაცია მოაწყვეს შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ, როდესაც ეს უკანასკნელები სამუშაოდან ბრუნდებოდენ.

ნართუმბერლანდის ოლქში მემაღაროელებმა მოითხოვეს ოლქის ფედერაციის ხელმძღვანელების გადაყენება თანამდებობიდან, რადგან მათ წინადადება შეიტანეს დათმობაზე წასვლის შესახებ. თავის წინადადებას ისინი ასაბუთებდენ იმ მოსაზრებით, რომ ბრძოლის გაგრძელება შემდეგში შეუძლებელი ხდება.

ლიტვა-საბჭოთა კავშირის შეთანხმების გამოძახილი

პოლონეთი და ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

ვარშავა, 5 ოქტ. ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გამო „კურიერ ჩერვონნი“ მთავრობასთან დაახლოვებული წყაროებიდან იტყობინება რომ მთავრობა ახლა იხილავს საკითხს საგარეო პოლიტიკის შესახებ.

წინააღმდეგ საზღვარგარეთ გავრცელებული ხმებისა, **პილსუდსკის და მის მთავრობას არა აქვთ განზრახული ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც შემდეგ რაიმე გართულებებს და გაუგებრობებს გამოიწვევდეს.**

„მთავრობა ფიქრობს,—სწერს გაზეთი,—რომ ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არ სცვლის არსებულ ფაქტიურ მდგომარეობას და არც თუ დიდ როლს ითამაშებს პოლონეთის საგარეო პოლიტიკაში“.

ულმანისის განცხადება

რიგა, 6 ოქტ. ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ულმანისმა ჟურნალისტებთან საუბარში შეეხო საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის გამგეობამ (შენიშვნა: საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში ჩირინის დანიშნულ იქნა კარახანის ადგილზე დროებით) და ახალმა დავალებებმა გამოიწვიეს მოლაპარაკების შეწყვეტა დროებით.

გამოძახილი ლატვიაში

ჰელსინგფორსი, 6 ოქტ. ლატვიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ულმანისმა ჰელსინგფორსის გაზეთის „ჰუფვუდსტადსბლადეტის“ რიგელ კორესპონდენტთან საუბარში ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების დადების შესახებ შემდეგი განაცხადა:

„ხელშეკრულება უშუალოდ არ ეხება ბალტიის მხარის სახელმწიფოებს; მხოლოდ საბჭოთა კავშირმა შეიძლება მოისურვოს ისარგებლოს ამით როგორც მაგალითით, რომ ასეთივე ხელშეკრულება დასდოს ამ სახელმწიფოებთან“.

მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილებები

რიგა, 5 ოქტ. „რიგაშე რუნდშაუ“ ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გარშემო სწერს: „ხელშეკრულებაზე ხელისმოწერამ ლატვიასა და ესტონეთში მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა.

ეჭვს გარეშეა, რომ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და ლატვიის შორის ამ უკანასკნელ წელში არ გაუმჯობესებულა. არამედ, პირიქით, გაუარესდა კიდეც. ვგრძნობთ, რომ **საბჭოთა კავშირი უნდობლობით ეკიდება ლატვიის საგარეო პოლიტიკას, რადგან მასში ხედავს ინგლისის საინტერვენციო გეგმების იარაღს“.**

გაზეთი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირი დარწმუნებული იქნეს ლატვიის მშვიდობიანობის მოყვარულ განზრახვებში.

ხელშეკრულობა და ბალტიის სახელმწიფონი

ჰელსინგფორსი, 6 ოქტ. ლიტვის რწმუნებულმა ჰელსინგფორსში სავიცკიმ პრესის თანამშრომელთან საუბარში ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ განაცხადა:

„ლიტვა ხელშეკრულებას დიდ მნიშვნელობას აძლევს, იგი სცნობს, რომ ამით მოისპო ის ზღუდე, რომელიც მას განცალკევებდა სხვა სახელმწიფოთაგან. ხელშეკრულება სრულიადაც არა სცვლის ლიტვის მეგობრულ ურთიერთობას ბალტიის სხვა სახელმწიფოებთან; ეს ხელშეკრულება ლიტველებს შორის ამტკიცებს თავისი უშიშროების შეგნებას, რომელიც საგრძნობლად შესუსტდა ლიტვის საზღვარზე პოლონეთის მიერ სამხედრო ზომების მიღების გამო“.

მოღალატეებმა გაფიცვა ჩაშალეს

ბერლინი, 5 ოქტ. ჰამბურგის სანავთსადგურო მუშებს შორის ჩატარებული რეფერენდუმი დასრულდა შემდეგნაირად: გაფიცვის გაგრძელებას ხმა მისცა 2.250 კაცმა, წინააღმდეგ—1.282, სპეციალური კენჭის ყრით კავშირის არაწევრ ნავთსადგურის მუშებს შორის გაფიცვის გაგრძელებას ხმა მისცა 2.193 კაცმა, ხოლო წინააღმდეგ—930. საგაფიცვო კომიტეტის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქცია, კენჭის ყრის შედეგების გამორკვევის შემდეგ, გამოვიდა განცხადებით, რომ გაფიცვა უნდა შესწყდეს, რადგან გაფიცვის მომხრეებმა ხმების სამი მეოთხედიც კი ვერ შეაგროვეს.

კომიტეტის კომუნისტურმა ფრაქციამ კი, წინააღმდეგ, მოითხოვა გაფიცვის გაგრძელება. როცა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დასტოვა სხდომის დარბაზი, კომუნისტები გამოვიდენ განცხადებით, რომელშიც აღნიშნულია სოციალ-დემოკრატ პროფესიონალურ ბელადების გამცემლობა. განცხადება მოუწოდებს ნავთსადგურის იმ მუშებს, რომლებიც კავშირის გარეშე არიან, სწორედ ეხლა შევიდენ პროფკავშირებში, რომ შემდეგ ისინი გადააქციონ კლასიური ბრძოლის იარაღად.

ჰამბურგის ნავთსადგურში დღეს უნდა განახლდეს მუშაობა.

„საიდუმლოების“ გამოსარკვევად

ლონდონი, 6 ოქტ. „დეილი მეილის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით ინგლისის შრომის სამინისტრომ მოაწყო ახალი სამრეწველო მისია (ანალოგიური „დეილი მეილის“ მიერ შექმნილი მისიისა) იმ მიზნით, რომ ოფიციალური გზით გამოარკვიოს იმ მაღალი ხელფასისა და მაღალი პროდუქციის „საიდუმლოება“, რომელიც ამერიკაში არსებობს. მისია დღეს შეიკრიბა ვაშინგტონში და შეიმუშავა თავისი მუშაობის წესრიგის ბრიტანეთის საელჩოს კომერციულ სესიასთან და ამერიკელი მრეწველებთან შეთანხმებით. მისია დაუყოვნებლივ დაიწყებს ამერიკის მნიშვნელოვან წარმოებათა ზედმიწევნითი გამოკვლევას. მისი მუშაობა სამი თვე გაგრძელდება.

საფრანგეთის ვალები

პარიზი, 6 ოქტომბერი. გარეშე საქმეთა სამინისტროს საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ფრანკლენ-ბუიონმა წინადადება შეიტანა, რომ მელონ-ბერანჟეს შეთანხმებას საფრანგეთის სამხედრო ვალის საკითხის მოწესრიგების შესახებ დაემატოს ორი შემდეგი მუხლი: საფრანგეთმა უცხოეთის კრედიტორებს არ უნდა მისცეს იმაზე მეტი, რამდენსაც იგი მიიღებს გერმანიისაგან; საფრანგეთი თავისუფლდება ვალის ანგარიშში თანხების გადახდისაგან, თუ ეს გადახდა საფრთხეს განუმზადებს ფრანკს და საფ[illegible] კეთილდღეობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლონდონისა და ვაშინგტონის ხელშეკრულების დამტკიცება

პარიზი, 6 ოქტომბერი. გუშინ სალამოს, დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიას პუანკარემ აცნობა მთავრობის განზრახვა წინადადება მისცეს პალატებს იანვრამდე დაამტკიცონ ლონდონისა და ვაშინგტონის ხელშეკრულებები. ახლო ხანში შესწყდება ბიუჯეტის განხილვა, რომ ადგილი დაეთმოს დებატებს ხელშეკრულების საკითხზე.

პალატები მოწვეულნი იქნებიან, ალბად, ან 26 ოქტომბერს ან 4 ნოემბერს.

ლითონის ფულის შესყიდვა

პარიზი, 6 ოქტომბერი. საფრანგეთის ბანკმა 27 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე შეისყიდა 161.228.133 ფრანკის ოქროსი და ვერცხლის ფული.

მდგომარეობა ჩინეთში

ლონდონი, 6 ოქტომბერი. იან-ცზიანზე მდგომარეობა უცვლელია. ბოინის ფლოტილიის გემები მიდიან ზამთრის ნავთსადგურებისაკენ.

ვინაიდან მიღებულ ცნობების თანახმად კანტონის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩენმა აცნობა უცხოეთის კონსულებს ხანხაიში, რომ კანტონის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს განაახლოს ურთიერთობა და მიმოსვლა კანტონსა და გონკონგს შორის, რადგან ბოიკოტი ინგლისის საქონელზე მოხსნილია.

მკვლელობა ნეიშტადტში

ლონდონი, 6 ოქტ. „დეილი მეილის“ პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო იმ აზრისაა, რომ გერმანელი ნაციონალისტური და იუნკრების ორგანიზაციები არიან პასუხისმგებელნი ფრანგი სერჟანტის მკვლელობაში, რომელიც მოხდა კვირას ნეიშტადტში (რეინლანდი). მათი მიზანია ხელი შეუშალონ იმ მოლაპარაკებას, რომელიც სწარმოებს შტრეზემანსა და ბრიანს შორის საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების საკითხის შესახებ.

პარიზი, 6 ოქტ. „პტი პარიზიენის“ ცნობით ნეიშტადტიდან მოწმეთა ყველა ჩვენებანი ადასტურებენ, რომ სერჟანტი ოდიგუ მოკლულ იქმნა ისე, რომ მისი მხრივ ადგილი არ ქონია პროვოკაციას.

იაპონელები მანჯურიაში

დავა ბრინჯის მინდვრებისათვის

ტოკიო, 6 ოქტ. შიმბუნ რენგოს დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ შანტაო-ლანცზეს რაიონში, ლიაოდუნისა და კორეის საზღვარზე არის ბრინჯის მინდვრები, რომელთაც კორეიელები ამუშავებენ და რომელთა შესახებ უკვე სწარმოებს დავა კორეიელებსა და ჩინეთის ხელისუფალთა შორის.

დავის მოგვარების მიზნით იაპონიის კონსულმა ანტუნაში (მანჯურია) იაპონიის პოლიციას მისცა განკარგულება დაეხმაროს კორეიელებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მოიწიონ ბრინჯის მოსავალი. ჩინეთის ხელისუფლება გადაჭრით წინააღმდეგია ამის.

იაპონიის პოლიტიკურ წრეებში გამოსთქვამენ შიშს იმის გამო, რომ მოსალოდნელია შეტაკება შანტაო-ლანცზეში მდგომ 300 კაცისაგან შემდგარ ჩინურ სამხედრო რაზმსა და იაპონიის პოლიციის რაზმს შორის, რომელიც შესდგება 100 კაცისაგან და შეიარაღებულია ტყვიისმფრქვეველებით.

ავერესკუს მარცხი

ვენა, 6 ოქტომბერი. რუმინეთის ეროვნული პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო „კუვანტულ“-ი იუწყება, რომ ავერესკუმ ლიბერალური პარტიის გავლენით გადაწყვიტა არ წარუდგინოს დასამტკიცებლად იტალია - რუმინეთის ხელშეკრულება პარლამენტის მომავალ სესიას. გაზეთის ცნობით იტალია-რუმინეთის ხელშეკრულების დამტკიცება თითქოს მოხდება იტალიის მიერ იმ ეგრედ წოდებულ „ბესარაბიის ოქმის“ რატიფიკაციის შემდეგ, რომელიც ბესარაბიას აკუთვნებს რუმინეთს.

ახალი ტრესტი

პარიზი, 6 ოქტ. ფოლადის ტრესტის შექმნის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება მეორე საერთაშორისო ტრესტის შექმნის შესახებ; ამ ახალ საერთაშორისო ტრესტში შევა ლითონის წარმოების მთელი რიგი დარგები, მათ რიცხვში მავთულის წარმოებაც. უნდა აღინიშნოს, რომ ლითონის მრეწველობის ჰოლანდიელი, გერმანელი და ბელგიელი მრეწველები უკვე რამდენიმე თვეა, რაც ერთად აწესებენ ფასებს თავიანთ ნაწარმოებებზე.

20 ოქტომბერს პარიზში მოწვეულია კონფერენცია ამ საკითხის განსახილველად.

ბარტელი თუ ზალესკი?

ვარშავა, 6 ოქტომბერი. ვარშავის გაზეთების ცნობით, გარეშე საქმეთა მინისტრად პილსუდსკის კაბინეტში დაინიშნა ბარტელი.

ვარშავა, 6 ოქტომბერი. პოლონეთის პრეზიდენტმა გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნა ზალესკი, რომელსაც იგივე თანამდებობა ეჭირა ბარტელის კაბინეტშიაც.

ვენიზელოსი

პარიზი, 6 ოქტომბერი. ლოზანიდან მიღებული ცნობებით, ვენიზელოსმა განაცხადა, რომ ის ხელს იღებს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.

აჯანყება ბრაზილიაში

ბერლინი, 6 ოქტომბერი. „ცენტრალ ნიუზ“-ის ცნობებით, ბრაზილიაში იფეთქა ახალმა აჯანყებამ გენერალ პრესტესის მეთაურობით.

[illegible] იაპონიაში

ტოკიო, 5 ოქტ. გუბერნია ხოკაიდოს ქალაქ საპოროში გუშინ ჩატარებულ მუნიციპალურ არჩევნებში, ხმების დიდი უმრავლესობით, არჩეულია ერთი მუშა-მელითონე, მუშურ-გლეხური პარტიის კანდიდატი. მუნიციპალურ საბჭოს დანარჩენი 35 წევრი არჩეულია [illegible] პარტიების კანდიდატთა რიცხვიდან.

პროფ. კამერერის თვითმკვლელობა

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. კომუნისტური აკადემია იუწყება: „ტელეგრაფმა მოიტანა [illegible] ცნობილ ბიოლოგის პროფესორ კამერერის თვითმკვლელობის შესახებ. კამერერმა თავი მოიკლა ვენაში, საბჭოთა კავშირში გამგზავრების წინ, სადაც ის კომუნისტურ აკადემიასთან აწყობდა ლაბორატორიას მემკვიდრეობითი თვისებების შესასწავლად. განსაკუთრებით ცნობილია კამერერის ცდები შეძენილ [illegible] თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ. კამერერი გამოვიდა შეძენილ [illegible] თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის მხურვალე დამცველად და თავისი ცდებით ამ თეორიის დასამტკიცებლად მან ყველა სხვა მეცნიერებზე მეტი გააკეთა. მიუხედავათ იმისა, რომ მთელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ყოველწლიურად მრავლდება მისი ცდების დადასტურების შემთხვევები და მიუხედავად იმისა, რომ იმ ინსტიტუტის ხელმძღვანელი, რომელშიაც კამერერი მუშაობდა, ვენის პროფესორი პშიბრამი ადასტურებდა კამერერის ცდების სრულ სიმართლეს, მას არ აძლევდენ გასაქანს.

კამერერს არ ჰქონდა ლაბორატორია და შესაძლებლობა გაემეორებია და გაეფართოვებია თავისი შესანიშნავი ცდები და ამიტომ იძულებული იყო ეტარებია მოხეტიალე პოპულიარიზატორ-ლექტორის და ჟურნალისტის ცხოვრება.

კამერერზე გაფთრებულ თავდასხმების მიზეზი სცილდებოდა ვიწრო მეცნიერულ დავის ფარგლებს.

კამერერის წინააღმდეგ გალაშქრების ტონის მიმცემი იყვნენ ევროპის და ამერიკის მეცნიერებაში გაბატონებული წრეები, რომლებიც შეგნებულად და შეუგნებლად მეცნიერულ საკითხებს უმორჩილებენ თავიანთ საერთო მსოფლმხედველობას, ხოლო ეს უკანასკნელი კი ემორჩილება მმართველი ბურჟუაზიის ინტერესებს.

საქმე იმაშია, რომ კამერერის ცდები ძირს უთხრიდა ბიოლოგიის ვიტალისტურ საფუძველზე აგებას.

კომუნისტურმა აკადემიამ, რომელმაც 1925 წ. ბუნებისმეტყველების მატერიალიზმისათვის ბრძოლის მიზნით დაარსა საბუნებისმეტყველო წმინდა მეცნიერებათა სექცია, წინადადებით მიმართა კამერერს მოეწყო მისთვის ბიოლოგიური ინსტიტუტი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ცდების შემოწმება. ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერები გამოსთქვამდენ გულწრფელ კმაყოფილებას იმის გამო, რომ კამერერმა, რომლის დიდ ნიჭს ისინი კარგად იცნობენ. მიიღო მუშაობის შესაძლებლობა. ზოოლოგიური პარკის დირექტორმა პროფესორმა ზავადოვსკიმ კამერერს შესთავაზა პარკის იმ ნაწილის მართვა, რომელიც მის სპეციალობას შეეფერებოდა. კამერერი პირდაპირ გამოცოცხლდა ჩვენს წრეში. და ბოლოს ყველაფერი მოეწყო და კამერერის თანაშემწეებმა დაიწყეს მუშაობა, ხოლო თვითონ ის კი ამა წლის ივლისში გაემგზავრა ვენაში კომუნისტური აკადემიის საშუალებებით იარაღების შესაძენად და თავისი ბიბლიოთეკის ჩამოსატანად.

კამერერის საბჭოთა კავშირში დასახლების ფაქტი, როგორც მოსალოდნელი იყო, გახდა თავდასხმის განახლების საბაბად. კამერერისადმი „სიმპატიას“ დაემატა საბჭოთა კავშირისადმი „სიმპატია“. ამა წლის აგვისტოში ლონდონის ჟურნალ „ნატიურ“-ში დოქტორმა ნობლმა მოათავსა წერილი, რომელშიაც კამერერს ბრალს სდებდა სიყალბეში. ბრალდებას ასაბუთებდენ იმ ცხოველის პრეპარატით, რომელიც თავის დროზე იყო კამერერის ცდების ობიექტი და რომელიც შემდეგ ინახებოდა ვენაში, იქ, სადაც კამერერის რწმუნებით მისი ცდების ობიექტს—გომბეშოს, უნდა ჰქონებოდა ხორცმეტი, აღმოჩნდა კანქვეშ შეშხაპუნებული ტუში, თუმცა ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებულია ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ პშიბრამის წერილი, რომელშიაც კვლავ ადასტურებს კამერერის კეთილ სინდისიერებას, გარეთვე ერთ-ერთ შემდეგ ნომერში გამოჩენილი მეცნიერი მაკ ბრაიდი იძლევა სწორ ჩვენებას, რომ მან თავის დროზე ნახა ხორცმეტები და ჭრილობები და თუმცა ცხადია, რომ დიდი ხნის წინად მოკლული და ვიღაცას მიერ ფალსიფიკაციაქმნილ ცხოველის ეხლანდელ მდგომარეობას არ შეუძლია ცოცხალ ობიექტიდან მიღებულ უდავო დასკვნების გაბათილება, მაგრამ კამერერის ვითომდა დამტკიცებულმა „არაკეთილსინდისიერება“ მთელ ქვეყანას მოედვა.

პირველად კამერერი დამშვიდებით შეეგება თავდასხმას, უგზავნიდა წერილებს თავის მოსკოველ თანაშემწეებს გომბეშოზე განმეორებითი ცდის შესახებ და ემზადებოდა პასუხის გასაცემად, მაგრამ როცა მტრების ბოროტი ხითხითი თანდათან გაიზარდა, როცა ბუნებისმეტყველთა ყრილობაზე ბრალდება გაიმეორეს, ბოლო მეგობრების მხრით მხარის დაჭერაში ეჭვი შეეპარა, კამერერმა ველარ გაუძლო.

სიკვდილის წინ კომუნისტური აკადემიის პრეზიდენტის სახელზე დაწერილ წერილში კამერერი სწერს:

„თუმცა მე პირადათ არ მიმიღია მონაწილეობა იმ ეგზემპლიარების ფალსიფიკაციაში, რომლებიც წარმოადგენენ მტკიცების ნივთიერ საბუთს, მაგრამ ამის შემდეგ მე აღარ შემიძლია ჩავსთვალო ჩემი თავი იმის ღირსად, რომ მივიღო თქვენი წინადადება. ამავე დროს ვგრძნობ, რომ ვერ შევძლებ გადავიტანო ჩემი მუშაობის და ცხოვრების განადგურება. მე იმედი მაქვს, რომ შემწევს საკმაო გამბედაობა და ძალა, რათა ბოლო მოვუღო ჩემს უიღბლო ცხოვრებას. ვტოვებ ანდერძს რომ კომუნისტურმა აკადემიამ მიიღოს ჩემი ბიბლიოთეკა და ამით აინაზღაუროს ის ხარჯები, რომელიც ჩემთვის გაიღო. დაბოლოს მე კიდევ გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულითადი გამოსათხოვარი სალამი შემდეგ მეგობრებს:

ოტტო იულისძე შმიდტს, ევგენი სერგისძე სმირნოვს და მის მეუღლეს, ბორის სერგისძე კუზინს, ექიმ ლევიტს, პროფესორ ნაკაშინს, ზავადოვსკის ოჯახს, არიადნე როსსოლიმოს, კოსინოს“.

რუსული მეცნიერების საამაყოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთის ყველა ბიოლოგები შეაძრწუნა კამერერის სიკვდილმა, როგორც თანამოაზრენი, ისე მოწინააღმდეგენიც. ყველა თანაბრად აღშფოთებულია იმ დევნით, რომელმაც კამერერი საფლავამდე მიიყვანა. მით უფრო სამარცხვინოა იმ ერთი „მეცნიერის“ ცალკე გამოსვლა, რომელმაც კიდევ გადააჭარბა თავის დასავლეთელ კოლეგებს.

კომუნისტურმა აკადემიამ პროფესორ ჩეტვერიკოვიდან მიიღო ღია ბარათი, რომელშიაც ის აკადემიას „ულოცავს კამერერის თვითმკვლელობას“.

კომენტარიები არაა საჭირო. დეე ეს ნეკროლოგი კამერერის ცხოვრების, ბრძოლის და სიკვდილის შესახებ იქნეს საბჭოთა კავშირში მყოფ წყვდიადის წარმომადგენლის შავი დაფა. კამერერის საქმეს განაგრძობენ. კამერერის ცდებს გაიმეორებენ მისი მიმდევრები კომუნისტური აკადემიის ლაბორატორიაში.

კამერერი იყო ერთ-ერთი იშვიათი მოწინავე—მატერიალისტი ევროპის ბურჟუაზიულ მეცნიერებს შორის.

უკანასკნელი ცნობები

ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რომში

რომი, 5 ოქტომბერი. 5 ოქტომბერს რომში ჩამოვიდა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბუროვი.

ზევერინგის გადადგომა

ბერლინი, 6 ოქტომბერი. პრუსიის პრემიერმა ბრაუნმა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის, ზევერინგის გადადგომა. გადადგომა გამოწვეულია მისი ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობით. შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ბერლინის პოლიციის უფროსი გრჟეზინსკი (სოციალ-დემოკრატი).

გენერალ სექტის გადადგომა

ბერლინი, 6 ოქტომბერი. რეიხსვერის სარდალმა გენერალმა სექტმა პრეზიდენტ ჰინდენბურგს მისცა განცხადება გადადგომის შესახებ. გადმოგვცემენ, რომ სექტის გადადგომა გამოწვეულია ყოფილი კრონპრინცის შვილის მონაწილეობით მანევრებში.

ლიტვა და ერთა ლიგა

კოვნო, 6 ოქტომბერი. ლიტვას დელეგაციამ ერთა ლიგაში გენერალურ სამდივნოს მიმართა ნოტით, რომელშიც მოითხოვს ოფიციალურ მიწერ-მოწერაში ლიტვასთან ეხლანდელ საზღვარს ლიტვასა და პოლონეთის მიერ ოკუპაციაქმნილ ლიტვის ოლქებს შორის, შემდეგში ეწოდოს არა პოლონეთ-ლიტვის საზღვარი, არამედ დემარკაციული ხაზი. რადგან ლიტვას ეს საზღვარი დღემდე არ უცვნია.

კუკის განცხადება

ლონდონი, 6 ოქტომბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, სანახშირო რაიონებში წარმოებულ კენჭის ყრის პირველი შედეგების გამო, კუკმა განაცხადა: „მე გულწრფელად მახარებს სანახშირო რაიონების მიერ მთავრობის წინადადებებზე პასუხის გაცემა“.

ტანჟერის საკითხი

პარიზი, 6 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ წინასწარი მოლაპარაკება ტანჟერის შესახებ ახლო მომავალში დაიწყება პარიზში ბრიანსა და ესპანეთის ელჩს შორის.

შტრეზემანი საგარეო პოლიტიკის შესახებ

პარიზი, 6 ოქტომბერი. დღეს გერმანიის კაბინეტი მოისმენს შტრეზემანის მოხსენებას საგარეო პოლიტიკის შესახებ.

პოლონეთის საგარეო პოლიტიკა

ბერლინი, 6 ოქტომბერი. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, რომ პილსუდსკის განზრახული აქვს საგარეო პოლიტიკის სრულიად შეცვლა. ის შეეცდება მჭიდრო კავშირი დაამყაროს ინგლისსა და იტალიასთან.

გაფიცვა ავსტრიაში

ვენა, 6 ოქტომბერი. შაბათს გამოცხადდა ავსტრიის სამოქალაქო მოსამსახურეთა გაფიცვა.

ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გარშემო

კოვნო, 6 ოქტომბერი. ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გამო, ლიტვის ოფიციოზი „ლეტუვა“ სწერს: „ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ახლანდელი ხელშეკრულების კრიტიკოსები იძულებული იქნებიან გაჩუმდნენ ისევე, როგორც რუსეთსა და ლიტვას შორის 1920 წელს დადებულ ხელშეკრულების კრიტიკოსები. საბჭოთა რუსეთის ხმამ, რომელმაც არ ცნო ჟელიგოვსკის ძალადობა ლიტვაზე (პოლონელმა გენერალმა ჟელიგოვსკიმ, პილსუდსკის განკარგულებით 1921 წელში ლიტვას მოგლიჯა ვილნოს ოლქი) მთელი ქვეყნის ყურადღება მიაქცია იმ უკანონობასა და ძალადობაზე, რომელსაც სჩადიოდა ერთა ლიგის საბჭოს ერთ-ერთი წევრი—პოლონეთი.

ამსტერდამის ინტერნაციონალის დელეგაცია

პარიზი, 6 ოქტომბერი. მექსიკაში გაემგზავრა ამსტერდამის ინტერნაციონალის დელეგაცია ბრიუნისა, ფიმმენისა, პერხელისა და სხ. შემადგენლობით. დელეგაციის მიზანია გაიცნოს შრომის პირობებს მექსიკის მრეწველობაში და მექსიკის პროფესიონალურ ორგანიზაციათა მუშაობას.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სარკინიგზო ტარიფის აწევა

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მოისმინა სატარიფო-ეკონომიურ ბიუროს მოხსენება სარკინიგზო ტარიფის შესახებ. ბიუროს განზრახული აქვს ასწიოს ტარიფი: ჭვავზე და ხორბალზე—10 პროცენტით, ფქვილსა და ბრინჯზე 20 პროცენტით, სანახშირო ტვირთზე—15 პროც., სანავთო ტვირთზე—20 პროც., ხე-ტყის მასალაზე—10 პროც., შეშაზე—20 პროც., რკინასა, ფოლადსა და ამ ლითონების ნაწარმოებზე—20 პროც., სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებზე—10 პროცენტით, მატყლზე—20 პროც., შაქარზე—5 პროც., მარილზე—5 პროც., ხორცზე—10 პროც., საგალანტერეო და საფთიაქო საქონელზე—10 პროც., საამშენებლო მასალაზე—10 პროც.

საერთო ანგარიშით ტარიფის აწევა გზათა სახალხო კომისარიატს მისცემს 110 მილ. მან. შემოსავალს. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ეს პროექტი დაამტკიცა.

პურის პროდუქტების დამზადება

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. კამპანიის დაწყებიდან 1-ლ ოქტომბრამდე დამზადებულია 25.078,96 ჰექტარი.

გემების ქარავანი

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურმა სამმართველომ მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ საბჭოთა გემების ქარავანი, რომელიც არხანგელსკიდან უნდა გადმოვიდეს შავ ზღვაში, 27 სექტემბერს გამოვიდა ნავთსადგურ ფეროლიდან (ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაპირი) და მიდის ნავთსადგურ ორანში (აფრიკის ჩრდილო ნაპირი). ბისკაის სრუტე გემებმა მშვიდობიანად გაიარეს.

მდ. ამუ-დარიას კალაპოტის გადანაცვლება

სამარყანდი, 6 ოქტომბერი. ხორეზმიდან გვატყობინებენ, რომ გართულებულია მდგომარეობა მდ. ამუ-დარიასთან, მდინარე განაგრძობს თავის კალაპოტის გადანაცვლებას აღმოსავლეთით, რითაც მომავალ წელში ხორეზმის ოლქი დარჩება უწყლოდ და საერთო მოედნის 50 პროც. დარჩება მოურწყავი.

საცალო ფასების დაკლება

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებასთან დაკავშირებით, საცალო ფასების რეალური დაკლებისათვის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის უფლებების გაფართოების შესახებ, საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შრომისა და თავდაცვის საბჭოში შეიტანა მისი უფლებების გაფართოების პროექტი შინავაჭრობის დარგში.

უმუშევრობასთან ბრძოლა

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. საკავშირო პროფსაბჭომ დაამტკიცა უმუშევრობასთან მებრძოლი კომისიის წინადადება, რომელიც მოითხოვს უმუშევართა დამხმარე ფონდისათვის ფულის დაგროვების გაძლიერებას, სამუშაოზე მიღების დროს პროტექციონიზმთან ბრძოლას და ზედმეტი მუშაობის აღკვეთას.

ამას გარდა საკავშირო პროფსაბჭო აუცილებელ საჭიროებათ სთვლის იმას, რომ კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს დააკისრონ სამეურნეო მუშაკთ, რათა უკანასკნელებმა მათთვის საჭირო მუშა-ძალა გამოითხოვონ მხოლოდ და მხოლოდ შრომის ბირჟიდან, გამონაკლისი დასაშვებია სპეციალისტებისა და უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკთათვის, ისიც პროფკავშირის დასტურით.

ნიჟეგოროდის ბაზრობის შემდეგ

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. ამ დღეებში სპარსეთის სასახლის, მინისტრის ტეიმურ-ტაშის მოსკოვში ყოფნის პატივსაცემად და აგრეთვე ნიჟეგოროდის ბაზრობის გათავების გამო, ნიჟეგოროდის ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარე მალიშევთან გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ ტეიმურ-ტაში, სპარსეთის საქმეების რწმუნებული საბჭოთა კავშირში გოლამ რიზა-ხან-მურზადე, სპარსეთის ვაჭრები, ავღანისტანის უდიდესი ფირმის მეთაური ხისმოთი, ჩინეთის ვაჭრები, საგარეო საქ. მინისტრი ამხ. ჩიჩერინი, საგარეო საქმეთა კომისარიატის ახლო აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ამხ. პასტუხოვი, ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. მიკოიანი, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. განეცკი, საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ეკონომიური განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. კუფმანი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელი გურევიჩი, რუსეთ-აღმოსავლეთ სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ხოდოროვი „ვოკს“-ის წარმომადგენელი კორნეევი და აგრეთვე საბჭოთა კავშირის უდიდესი ტრესტებისა და სინდიკატების ხელმძღვანელები.

სპარსეთის ვაჭრები აღნიშნავდნენ თავის სიტყვებში, რომ სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის უკანასკნელ ხანებში თანდათან გამოცოცხლდა, ამას ხელი შეუწყო ნიჟეგოროდის ბაზრობამ.

სპარსეთის ხელოვნების აღორძინების საზოგადოება

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. მოსკოვში ჩამოსულმა ირანის საუკეთესო მცოდნემ განიბალმა ინახულა კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. კამენევა, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი. საუბარში განიბალმა აღნიშნა, რომ სპარსეთში დაარსებულია საზოგადოება „ანჯუმენე ასარ მილი“, რომელიც მიზნად ისახავს სპარსეთის ხელოვნების აღორძინებას და ირანის ძველი კულტურის ძეგლების დაცვას. ამას ხელს უწყობს საზღვარგარეთიდან კულტურული კავშირის საზოგადოება, რომელიც აწყობს სპარსეთში გასაგზავნად სპარსეთის ხელოვნების ყოველ გვარ ნაწარმოებსა და აგრეთვე სპარსეთის კულტურის შესასწავლ მასალების ასლებს. დედნები ამჟამად ინახება საბჭოთა კავშირის მუზეუმში. საზღვარგარეთთან კულტურულ კავშირის საზოგადოების მუშაობა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ხალხის მჭიდრო კულტურული კავშირის დამყარებას.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აბრეშუმის სახვევი ქარხანა

ბაქო, 6 ოქტომბერი. აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ნუხაში დაიწყო აბრეშუმის სახვევი ქარხნის აშენება, რომელიც წლიურად 5.000 ფუთ აბრეშუმის პარკს აახვევს. ეს ქარხანა იქნება აბრეშუმის სახვევ ქარხნებს შორის ყველაზე უფრო დიდი მთელს ქვეყანაზე.

საზღვარგარეთის უდიდეს ქარხნებს აქვს არა უმეტეს 350 ტასტისა—ნუხის ქარხანას ექნება 576 ტასტი. მისი წლიური პროდუქცია გაცილებით მეტი იქნება, ვინემ იმ ხუთი აბრეშუმის სახვევ ქარხნისა, რომელიც ამჟამად აზერბეიჯანში მუშაობს. მის ამუშავებას ფიქრობენ 1927 წლის დასასრულს.

ბაქო, 6 ოქტომბერი. დღეს დილით თბილისიდან ჩამოვიდა ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია. დელეგაციას თავმჯდომარეობს მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომისა და მუშათა პარტიის წევრი ლოითამა.

დღეს შესდგება მემაღაროეთა კავშირის პლენუმის სხდომა დელეგაციის თანდასწრებით.

შავი ზღვის ესკადრა ბათუმში

ბათუმი, 6 ოქტომბერი. 6 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე აკადემიური თეატრის დარბაზში, ბათუმში შავი ზღვის ესკადრის ჩამოსვლის გამო, გაიმართა საბჭოს საზეიმო სხდომა აჭარისტანის მთავრობის, პარტიულ და პროფესიონალური ორგანიზაციების, წითელი არმიისა და ფლოტის ნაწილების და ნავთსადგურში მყოფ უცხოელ მეზღვაურთა წარმომადგენლების მონაწილეობით. წითელ ფლოტისათვის მისასალმებლად თბილისიდან ჩამოვიდნენ ა. ლ. კ. კ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის წარმომადგენელნი.

გახსნა რა სხდომა, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე სურგულაძე მიესალმა მოსულ წითელ ფლოტელებს და შემდეგ სიტყვა მისცა შავი ზღვის ფლოტის უფროსს მუკლევიჩს, რომელმაც ყველა საზღვაო ძალთა სახელით მადლობა გადაუხადა აჭარის მშრომელთ თბილი და გულწრფელი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ წითელი ფლოტის განვითარება, მშრომელთა მასებთან კავშირის წყალობით, მიდის სწორი გზით. შემდეგ ამხ. მუკლევიჩმა დაასახელა წითელი ფლოტის ძირითადი ამოცანები, რომელიც მიმართულია მშვიდობიანობის დაცვისაკენ ყველა მშრომელებთან ერთად.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, ამხ. მუკლევიჩმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია ცდილობს იხელთოს დრო საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. საბჭოთა კავშირის არსებობას განსაკუთრებით ვერ ითმენს ინგლისი, რომელიც შავ ზღვაში ქმნის დასაყრდენ ბაზას და რომელმაც შავ ზღვაში გამოგზავნა თავისი კრეისერების ესკადრა. ინგლისის პოლიტიკოსები ამას ხსნიან საბჭოთა კავშირის მხრივ თავდასხმით, მაგრამ, ამბობს ამხ. მუკლევიჩი, „ჩვენ ამაში ვხედავთ წინააღმდეგს“.

დასასრულ ამხ. მუკლევიჩმა სთქვა, რომ სანამ საბჭოთა კავშირში იქნება მებრძოლი, გაწვრთნილი და შემჭიდროებული წითელი არმია და ფლოტი, კავშირის მშრომელნი უზრუნველყოფილი არიან ყოველგვარ თავდასხმისაგან და შეუძლიათ განაგრძონ ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობა. ჩვენ არ გვინდა და არც ვცდილობთ ახალი ქვეყნების დაპყრობას, მაგრამ შევიძლებთ ოქტომბრის მონაპოვარის დაცვას. გაუმარჯოს წითელ არმიასა და ფლოტს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ერებს“! მქუხარე ტაშით დაასრულა ამხ. მუკლევიჩმა.

შემდეგ მისალმებით წითელ ფლოტელებისაგან გამოვიდა საქ. კომ. პარტიის აჭარის კომიტეტის მდივანი აკირტავა, ცაკის თავმჯდომარე სურმანიძე, რომელიც წითელ ფლოტს მიესალმა საქართველოს ცაკისა, ამიერ-კავკასიის ცაკისა და აჭარის ცაკის სახელით, სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გოგიბერიძე და კომკავშირის, პროფორგანიზაციების და სამხედრო ნაწილების მრავალი წარმომადგენლები.

სა.ქ. ა. ლ. კ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის წარმომადგენლებმა ფლოტის წარმომადგენლებს გადასცეს დროშა მისი შეფობის ქვეშ მყოფ საესკადრო ნაოსნისათვის „შაუმიანისათვის“. საპასუხო მისალმებით გამოვიდნენ სამხედრო კომისართა წარმომადგენლები, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს ასეთი თბილი, გულწრფელი შეხვედრისათვის.

ფლოტისადმი მხურვალე მისალმებით გამოვიდნენ ინგლისის, ესტონეთის და იტალიის მეზღვაურების წარმომადგენლები, რომლებმაც აღნიშნეს საერთაშორისო მუშების სოლიდარობა და სურვილი დაეხმარონ საბჭოთა კავშირის მშრომელთ. უცხოელ ამხანაგების სიტყვა იფარებოდა განუწყვეტელი ტაშით. საზეიმო პლენუმი დასრულდა „ინტერნაციონალი“-თ.

უცხოელთა დელეგაციები თბილისში

გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაცია

განათლების კომისარიატში

გუშინ დილით გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაცია ესტუმრა განათლების სახალხო კომისარიატს, სადაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ ამხ. მარ. ორახელაშვილთან.

დელეგატებს უმთავრესად აინტერესებდათ საბჭოთა სკოლების სტრუქტურა, სოციალური აღზრდის საკითხები, პროფესიონალური განათლება ზოგადათ და ქალების განათლების საქმე კერძოთ, და სხვა.

საუბარში ამხ. მარ. ორახელაშვილმა მათ გადასცა, რომ საბჭოთა სკოლა აგებულია ქვეყნის საწარმოო მოთხოვნილებებთან შეთანხმებით. სოფლად არსებული სკოლები არიან სასოფლო-სამეურნეო ხასიათის და ქალაქად კი უფრო საწარმოო ხასიათის. ჩვენი სკოლების დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მათ უნდა მოგვიმზადონ სოციალისტურ აღმშენებლობისათვის საჭირო მუშაკები.

საუბარი შეეხებოდა აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას, მუშფაკების საქმიანობას, სწავლის ვადას სხვადასხვა საფეხურის სკოლებში, სასწავლო გადასახადს და სხვა..

აქედან დელეგაცია ესტუმრა ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიას, სადაც დელეგატები დაწვრილებით გაეცნენ კომისიის მუშაობას.

ამხ. მიხა ცხაკაიასთან

შემდეგ დელეგაცია ესტუმრა სასახლეში ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. მ. ცხაკაიას, რომელთანაც მას ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი.

საუბარი ეხებოდა უმთავრესად შემდეგ საკითხებს: საბჭოთა სისტემა და ქალთა მონაწილეობა საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში; საარჩევნო სისტემა და ქალთა უფლებები არჩევნებში; ქალების მონაწილეობა სახელმწიფოებრივ აპარატში; ახალი ეკონომიური პოლიტიკა და ეკონომიური განვითარების გზები; სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა პოზიციები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და სხვა.

ყველა საკითხებზე ამხ. ცხაკაიამ დელეგატებს მისცა ვრცელი განმარტება.

დელეგაციის გამგზავრება

აქედან დელეგაციის ერთი ჯგუფი გაემგზავრა მეტეხის გამასწორებელ სახლში, სადაც მათ საუბარი ჰქონდათ პირადათ პატიმრებთან.

საღამოს დელეგაცია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ბაქოსკენ.

სადგურზე დელეგაცია გააცილეს ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, სადაც დელეგაციის სახელით წაკითხულ იქნა ქვემოთ მოყვანილი დეკლარაცია.

გერმანელ მუშა-ქალთა დელეგაციის დეკლარაცია

უკვე რამოდენიმე კვირაა, რაც გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაცია იმყოფება საბჭოთა კავშირში. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ განსაკუთრებულის ყურადღებით შეუდექით ქალთა მდგომარეობის შესწავლას საბჭოთა რესპუბლიკებში.

მეფის რუსეთში ქალები იყვნენ მამაკაცების მონებათ; სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნეობა და მეფის რეჟიმი მათ გასაქანს არ აძლევდენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი შესცვალა ძირ-ბუდიანად. ჩვენი მოგზაურობის დროს ჩვენ ვნახეთ კლასიურათ შეგნებული ქალები არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც.

დასავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირს სთვლიან ჩამორჩენილ და უკულტურო ქვეყნათ, მაშინ, როდესაც იქ შეგნებულ ქალთა პროცენტი გაცილებით უფრო მცირეა, ვინემ საბჭოთა კავშირში. იქ სკოლის კარები ღიაა მარტო ბურჟუაზიული წრეებიდან გამოსული ქალებისათვის.

დასავლეთ ევროპის და კერძოთ გერმანიის ქალებს არა აქვთ ის უფლებები, რომლებითაც სარგებლობენ საბჭოთა რესპუბლიკების ქალები.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველის მხრივ უწევს მფარველობას ქალს, როგორც სუსტ არსებას. აქ შესანიშნავათაა დაყენებული დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე, რაზედაც გერმანიაში ოცნებაც არ შეიძლება. თქვენს ქვეყანაში დედა-კაცი და მამა-კაცი გათანაბრებულია უფლებებით. თქვენთან თანაბარ ხელფასს იძლევიან თანაბარ შრომაში, ჩვენში ეს არაა.

განსაკუთრებულის სიხარულით ვამჩნევდით თქვენი ქვეყნის მეურნეობის აღორძინებას, რაც უფრო და უფრო აშკარა ხდება. მუშათა სახელმწიფოში ჩვენ შევამჩნიეთ მეურნეობის აყვავება, მაშინ, როდესაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ჩვენ ვხედავთ მეურნეობის დაქვეითებას.

მართალია, თქვენს წინ, მეგობრებო, კიდევ აღმართულია დიდი მნიშვნელობის ამოცანათა მთელი რიგი, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ აქაც ჩვეულებრივად გამარჯვებულნი გამოხვალთ.

ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს ის გარემოება, რომ სწორედ აქ, კავკასიაში ადგილი აქვს დიდ აღმშენებლობას, ნაცვლად ეროვნული სიძულვილისა და ხოცვა-ჟლეტისა. აქ ჩატარებულია და ამჟამადაც მიმდინარეობს გრანდიოზული მუშაობა ელექტროფიკაციის და აღმშენებლობის სხვა დარგებში. მხოლოდ მუშათა სახელმწიფოს შესძლებია ასეთი ვეებერთელა საქმის გაკეთება.

დანაწილებული და გათიშულნი იყვნენ ამიერ-კავკასიის ხალხები ძველათ. საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა ამ ხალხებს თვითგამორკვევის სრული საშუალება. ყველა სკოლებში სწავლა სწარმოებს მოწაფეთა სამშობლო ენაზე; დაწესებულებებში შემოღებულია ადგილობრივი ენები და სხ. საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა ხალხთა შორის მტკიცე მთლიანობა.

ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მრავალნაირ ენებზე, მაგრამ ჩვენ ვმღერით ერთ „ინტერნაციონალს“, ჩვენ ვლაპარაკობთ ერთი—პროლეტარული ენით. ეს გვაერთებს გერმანელ მუშა-ქალებს საბჭოთა კავშირის მუშა-ქალებთან.

ამხანაგებო, ჩვენთვის გასაგებია, როცა ჩვენ გვხვდებით წითელი დროშებით; ჩვენ მაშინ ვგრძნობთ თქვენთან მშობლიურ კავშირს. როდესაც დავბრუნდებით ჩვენს ქვეყანაში, უამბობთ ამხანაგებს ყველაფერ იმას, რაც აქ ვნახეთ და განვიცადეთ.

გერმანიიდან ჩვენ ჩამოვიტანეთ გერმანელ მუშა-ქალთა საერთო სალამი თქვენთან და აქედანაც მიგვაქვს თქვენი სიყვარული.

გაუმარჯოს განთავისუფლებულ მუშა-ქალს, გაუმარჯოს მუშათა ხელისუფლებას.

ჰანნა ჰომან, გრეტა გერკმალერ, ჰანნა შულც.

თბილისი, 6 ოქტომბერი.

გერმანიის თავისუფალ მოაზროვნეთა დელეგაცია

გუშინ გერმანიის თავისუფალ მოაზროვნეთა დელეგაციამ დაათვალიერა რკინის გზის მთავარი სახელოსნოები, ტრამვაის პარკი, თამბაქოს ფაბრიკა, სამი სკოლა (რუსული, ქართული და სომხური) და ზაჰესი.

მთავარ სახელოსნოებში დელეგატები ესაუბრნენ მუშა-გერმანელებს; ერთმა მათგანმა განაცხადა:

— მიუხედავათ იმისა, რომ ჩემი ცოლშვილი ამჟამად ავსტრიაშია, მე არავითარი სურვილი არ მაქვს გავემგზავრო იქ. საბჭოთა კავშირის მუშის ცხოვრება არ შეიძლება გაიცვალოს უცხოეთის მუშების ცხოვრებაზე.

თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა დელეგატებს უძღვნეს 1.000 ცალი პაპიროსი.

ნაწილი დელეგატებისა, უმთავრესად მასწავლებლები, გაემგზავრნენ სკოლების დასათვალიერებლად. სკოლებმა მათზე მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა. ქართულ სკოლაში პედაგოგმა მეიდერმა (სოც.-დემ.) განაცხადა:

— ჩვენ აქ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ სახალხო საქმე საბჭოთა კავშირში მეტად მაღალ დონეზე სდგას. ის, რაზედაც ოცნებობენ გერმანელი პედაგოგები, თქვენში უკვე განხორციელებულია.

პედაგოგმა მაკერმა (კომუნისტი) ჩვენს თანამშრომელს მიღებული შთაბეჭდილების შესახებ განუცხადა შემდეგი:

— თქვენი სკოლები—საუცხოვო მიღწევაა. ჩვენ მეტად გაგვაკვირვა ამხანაგურმა დამოკიდებულებამ მასწავლებლებსა და მოწაფეებს შორის, გულწრფელი მიდგომა საქმისადმი ბრწყინვალე შედეგებს იძლევა. ამაში დიდ როლს თამაშობს სწავლება მშობლიურ ენაზე.

ზაჰესში

3 საათზე დელეგაცია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ზაჰესში და სამი საათის განმავლობაში დაწვრილებით ათვალიერებდა სამუშაოების ყველა უბნებს.

დელეგატები განსაკუთრებით დაინტერესდენ ლენინის ძეგლით.

დღეს დელეგაცია დაათვალიერებს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს, გერმანულ სკოლას და ციხეს.

საღამოს დელეგაცია ესტუმრება მუშათა ცენტრალურ კლუბს, სადაც გაიმართება მიტინგი. ხვალ დელეგატები გაემგზავრებიან გერმანელთა კოლონიაში. შაბათს დილას დელეგაცია მიემგზავრება კავკავში.

„ინდო“

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. ინდო-ევროპიულ სატელეგრაფო საზოგადოების წარმომადგენელმა მოსკოვში — კენინგამმა კავშირგაბმულობის მუშაკთა კავშირის ც. კომიტეტში გააკეთა არაოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ საზოგადოება თანახმაა წავიდეს ნაწილობრივ დათმობებზე. ხვალ კავშირგაბმულობის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობაში გაიმართება ოფიციალური მოლაპარაკება შეთანხმებისა და გაფიცვის სალიკვიდაციო პირობების გამომუშავების შესახებ.

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. კავშირგაბმულობის მუშაკთა ცენტრალურმა გამგეობამ ინდო-ევროპიულ სატელეგრაფო საზოგადოების გაფიცვის შეწყვეტის ერთ-ერთ ძირითად პირობად წაუყენა გაფიცულთა წინააღმდეგ რეპრესიების მიუღებლობა.

ოდესა, 6 ოქტ. 5 ოქტომბერს შესდგა „ინდოს“ მუშაკთა გაფიცვის კომიტეტის პლენუმი გაფიცულთა თანადასწრებით. გამოტანილია რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ცეკას მოქმედების ხაზს ამ მოლაპარაკებაში, რომელიც სწარმოებს „ინდოს“ რწმუნებულთან მოსკოვში—კენინგამთან. ასეთივე რეზოლიუციები არის მიღებული ხაზზე მომუშავეთაგან.

პარტიული ცხოვრება

პარტიის რიგების მთლიანობისათვის

მოსკოვის ორგანიზაცია ფრაქციული გამოსვლების შესახებ

მოსკოვი, 6 ოქტ. მოსკოვის უჯრედებში გრძელდება საკ. კომ. პარტ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პლენუმის დადგენილების განხილვა, ოპოზიციონერების ყოველი ცდა გამოიწვიონ დისკუსია, დამარცხებით თავდება. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პარტიული უჯრედის საერთო კრებამაც, რომელსაც 1000 მეტი კაცი დაესწრო, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ოპოზიციონერების გამოსვლას. მიღებულ რეზოლიუციაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩვენ ერთსულოვნად უერთდებით მოსკოვის კომიტეტის მიმართვას ცენტრალურ კომიტეტისადმი, რომ ძირშივე აღმოიფხვრას ბელადების ფრაქციული მუშაობა, როგორც ამ შემთხვევებში მოითხოვდა ლენინი, არავითარი შეთანხმება ტროცკიზმთან“.

ტრანსპორტის ინჟენერთა ინსტიტუტის უჯრედის კრებაზე მოვიდა რადეკი, რომელიც შეეცადა ნიადაგის მომზადებას ოპოზიციის მეთაურთა გამოსასვლელად. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, კრებამ არ მოისურვა იმათი მოხსენების მოსმენა, რომელნიც ფრაქციას პარტიაზე მაღლა აყენებენ.

მურალოვისა და ალიშინის საგარნიზონო ნაწილების პარტკრებამ გამოსთქვა თავისი ღრმესი აღშფოთება ოპოზიციის ფრაქციულ-გამთიშველი მუშაობისა და პარტიისათვის დისკუსიის მოხვევის ცდის გამო. კრება ღრმადაა დარწმუნებული, რომ მოსკოვის გარნიზონის პარტიული ორგანიზაცია, როგორც ერთი კაცი, მთელ პარტიასთან ერთად ბოლშევიკურად დაუხვდება ოპოზიციის ცდას დაარღვიოს მოსკოვის ორგანიზაციის მთლიანობა და სიმტკიცე. რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოსკოვი, 5 ოქტ. იმის გამო, რომ ოპოზიციის ბელადებმა დღემდე არ შესწყვიტეს თავისი გამთიშავი მოქმედება, მიუხედავათ მე-14-ე პარტყრილობისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის დადგენილებისა, სცდილობენ რომ პარტია ჩაბან ახალ დისკუსიაში, მოსკოვის ყველა რაიონებში შესდგა მსხვილი უჯრედების კრებები.

გამოტანილ დადგენილებებში ნათქვამია, რომ ორგანიზაცია მთლიანად მტკიცედ სდგას პარტყრილობების და ლენინის ცეკას გარდაწყვეტილებათა ნიადაგზე.

რეზოლიუციებში აღნიშნულია რომ პარტიას არ შეუძლია დაუშვას დისკუსია და რომ იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც არღვევენ პარტიის საორგანიზაციო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს, აუცილებელია გადამჭრელი ზომების მიღება.

ზამოსკვორეცკის რაიონის გაფართოებულმა პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც აფრთხილებს ორგანიზაციის ყველა წევრებს პარტიაში არ გაგონილ იმ ბრძოლის მეთოდების გამო, რომლითაც ოპოზიცია ისწრაფვოდა გაეხრწნა უჯრედები, იმ მეთოდების გამო, რომელიც გამოიხატება ორპირ მუშაობაში—მოქმედება პარტიის ხაზის და ოპოზიციის სასარგებლოდაც, პარტიის გარდაწყვეტილებებისათვის ხმის მიცემა და გამთიშავ-ფრაქციულ მუშაობაში მონაწილეობის მიღება, რაიც სჩანს რიაზან-ურალის რკინის გზების წევის სამსახურის უჯრედის მაგალითზე.

რაიკომის ყოფილი წევრის, უჯრედის მდივნის ტკაჩევის და აგრეთვე საპრონოვის დეზორგანიზატორული საქმიანობისა, ყალბი ცნობების გავრცელებისა და ცალმხრივი საიდუმლო დოკუმენტების გავრცელების გამო, უჯრედის ნაწილი ეხლა ოპოზიციის იარაღია პარტიის წინააღმდეგ.

ამით აიხსნება გაუგონარი ფაქტი ჩვენი პარტიის ისტორიაში, როცა ამ უჯრედის ჯგუფში პარტიიდან გამორიცხული ტკაჩევის თავმჯდომარეობით, საპრონოვისა და პარტიიდან გამორიცხული გეევსკის თანადასწრებით, სიტყვით გამოვიდა ცეკას პოლიტბიუროს წევრი ტროცკი. რაიკომის პლენუმი გადაჭრით ჰკიცხავს ტროცკის ამგვარ დეზორგანიზატორულ მოქმედებას.

მოსკოვის კომკავშირის აქტივმა 1094 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 6 ხმისა მიიღო რეზოლიუცია რომელიც გადაჭრით ჰკიცხავს ოპოზიციის გამხრწნელ არალეგალურ ფრაქციულ ბრძოლას.

ადგილობრივი ორგანიზაციები ოპოზიციის წინააღმდეგ

არტემოვსკში

არტემოვსკი, 6 ოქტომბერი. რაიონული პარტიული კომიტეტის პლენუმმა სლავიანსკში და კონსტანტინოვკაში ერთსულოვნად და სასტიკად გაკიცხა გაერთიანებული ოპოზიცია.

ბელორუსიაში

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. ბელორუსიის კომპარტიის ცეკას ბიუროს რეზოლიუციაში ნათქვამია: „საკავშირო კომპარტიის ცეკას ბიუროს დადგენილებიდან და აგრეთვე გაზეთების უკანასკნელი ცნობებიდან ცხადია, რომ ოპოზიციის ბელადებმა არ შესწყვიტეს თავიანთი გამთიშავი მოქმედება და წინააღმდეგ მე-14 ყრილობისა და საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტ. საკონტ. კომისიის პლენუმების დადგენილებათა სცდილობენ, რომ პარტია ჩაბან დისკუსიაში. ბელორუსიის კომპარტიის ცეკას ბიურო კატეგორიულად აცხადებს, რომ ოპოზიციონური ლიდერების საქციელი არნახული ნაბიჯია პარტიის ისტორიაში და მთელ საკავშირო კომპარტიის კოლექტიური ნების-ყოფის უხეშად გვერდის ახვევას წარმოადგენს“.

ბელორუსიის კომპარტიის ცეკას ბიურო სცნობს, რომ პარტიამ არ უნდა დაუშვას არავითარი დისკუსია. „ჩვენ დისკუსიები კი არ უნდა გავმართოთ, არამედ მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალღონე სოციალური აღმშენებლობის განმტკიცების ამოცანების შესასრულებლად. ბელორუსიის კომპარტიის ცეკას ბიურო დაჟინებით მოითხოვს გადამჭრელი ზომების მიღებას იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც პარტიის ორგანიზაციულ პოლიტიკის ლენინის პრინციპებს არღვევენ“.

საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. მთელი რიგი ადგილებიდან მოდის პარტიული ორგანოების დადგენილებანი ოპოზიციონურ ბელადების გამთიშავი გამოსვლების წინააღმდეგ.

მიღებულია დადგენილებანი: სტალინგრადის გუბერნიის კომიტეტის პლენუმის, კოსტრომის ორგანიზაციის პარტკონფერენციის, კრემენჩუგის, ვინიცის, მელიტოპოლის, კიევის და ოდესის პლენუმებისაგან.

ნოვოსიბირსკის ორგანიზაციაში

საოლქო პარტიული კონფერენცია კატეგორიულად ჰკიცხავს ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობას და პარტიის ისტორიაში გაუგონარ დარღვევას მე-14 პარტყრილობის დირექტივებისა.

დნეპროპეტროვსკში

დნეპროპეტროვსკი, 6 სექტემბერი. დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტმა ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლის გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ცეკას წევრების ტროცკის, ზინოვიევის, პიატაკოვის და სხ. ფრაქციული მოქმედებანი არ გაგონილი გამოსვლაა პარტიის წინააღმდეგ. ოპოზიციონურ ბელადებს, მიუხედავათ მათი ძველი დამსახურებისა, არა აქვთ არავითარი უფლება ანგარიში არ გაუწიონ მთელ პარტიას. ოპოზიციის ხაზს, რომელიც საფრთხეს უმზადებს ლენინის რიგების მთლიანობას და მიმართავს საკავშირო კომპარტიის ცეკას დაჟინებითი წინადადებით, რომ წესრიგისაკენ მოუწოდოს ცეკას ოპოზიციონერ წევრებს, რომელნიც დეზორგანიზატორულ მუშაობას აწარმოებენ.

პოლტავაში

პოლტავა, 6 სექტემბერი. პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა გადაჭრით დაგმო ოპოზიციის ახალი ცდები დაარღვიოს პარტიის მთლიანობა.

ლენინგრადში

ლენინგრადი, 6 ოქტომბერი. 5 ოქტომბერს მრავალ ფაბრიკა-ქარხნებში შესდგა პარტიული უჯრედების კრებები ოპოზიციის ბელადების გამოსვლის გამო. ყველა კრებებზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომლებშიაც ხაზს უსვამენ ოპოზიციის ბელადებს და მოითხოვენ რომ ძირიან-ფესვიანად იქმნას აღმოფხვრილი პარტიის მთლიანობის დარღვევის ცდები.

ოდესაში

ოდესა, 6 ოქტომბერი. პროპაგანდისტებისა და აგიტპროპაგანდისტების თათბირმა მოისმინა რა მოხსენება საკავშირო კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის რეზოლიუცია ოპოზიციონერების ზინოვიევის, ტროცკის, პიატაკოვის და სხ. გამოსვლების შესახებ, სავსებით უერთდება ამ რეზოლიუციას და აცხადებს პროტესტს ფრაქციულ ჯგუფის გამთიშავ მოქმედებათა წინააღმდეგ. თათბირი სთხოვს ცეკას, რათა მან წესრიგისაკენ მოუწოდოს თავაშვებულ ოპოზიციონერებს.

ხერსონში

ხერსონი, 6 ოქტომბერი. საოლქო პარტიული კომიტეტის პლენუმზე ბიუროს მოხსენებას გარშემო გამოვიდა ორი ოპოზიციონერი. ოპოზიციონერებმა საკადრისი პასუხი მიიღეს. პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ის უერთდება პარტიის მოსკოვის კომიტეტის რეზოლიუციას და აღუთქვამს ცეკას, რომ ხერსონის პარტორგანიზაცია დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს ოპოზიციონერებთან.

ლუგანსკში

ლუგანსკი, 6 ოქტომბერი. ლუგანის პარტიული ორგანიზაციების კრებამ კატეგორიულად დაგმო ოპოზიციის ახალი ცდები შეარყიოს პარტიის მთლიანობა. კრება მოითხოვს პარტიის ცეკასაგან გადამჭრელი ზომების მიღებას თავგასულ ოპოზიციონერების წინააღმდეგ.

სუმის ორგანიზაციაში

სუმი, 6 ოქტომბერი. საოლქო კომიტეტის პლენუმმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ჰგმობს ოპოზიციონერების გამოსვლას და ცეკასაგან მოითხოვს სასტიკ ზომების მიღებას მათ წინააღმდეგ.

ჩერნიგოვში

ჩერნიგოვი, 6 ოქტომბერი. საოლქო კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა სასტიკად დაგმო ოპოზიციის გამთიშველი საქმიანობა და სთხოვა ცეკას არ დაუშვას დისკუსია და გადამჭრელი ზომები მიიღოს ოპოზიციონერების წინააღმდეგ.

კიევის ორგანიზაციაში

კიევი, 6 ოქტომბერი. საოლქო პარტიული კომიტეტის პლენუმი სთვლის, რომ ოპოზიციის განუწყვეტელი ფრაქციული მუშაობა, მიმართული უმაღლეს პარტიულ ორგანოების დადგენილებებისა და პარტიის მუშაობის დაშლისაკენ, ძირფესვიანად აღმოფხვრილი უნდა იქნას სისტემატიური მუშაობით. ყველა ამ დადგენილებების შესასრულებლათ და პარტიის შემდეგში განსამტკიცებლათ, საჭიროა უფრო მჭიდროთ შევაკავშიროთ პარტიული რიგები ცენტრალური კომიტეტის გარშემო ფრაქციულობასთან ბრძოლაში პარტიის მთლიანობისა და ლენინის ხაზის სისწორისათვის.

ზინგერმანის გამორიცხვა პარტიიდან

ხარკოვი, 6 ოქტომბერი. ხარკოვის საკონტროლო კომისიამ პარტიიდან გამორიცხა ზინგერმანი, ხარკოვის საოლქო საგეგმო კომისიის წევრი, პარტიის საიდუმლო დოკუმენტების გავრცელებისათვის, და, აგრეთვე, იმისთვის, რომ ზინგერმანმა კატეგორიული უარი განაცხადა დაესახელებია ის წყაროები, საიდანაც ღებულობდა ამ მასალებს.

ვიბრძოლებთ ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ

(ს. ა. ლ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის რეზოლიუცია ამხ. ბ. ლომინაძის მოხსენების გარშემო)

თბილისის ორგანიზაციის აქტივმა მოისმინა რა ამხ. ლომინაძის მოხსენება ახალგ. კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობისა და ამოცანების შესახებ, აღნიშნავს, რომ მსოფლიო პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობა სავსებით და მთლიანათ ადასტურებს კომინტერნის გაფართოებული პლენუმის მიერ შეფასებას მსოფლიოს მდგომარეობისა, როგორც კაპიტალიზმის დროებით და მერყევ სტაბილიზაციას. ამ მერყევი სტაბილიზაციის ფონზე ცხადად ისახება მუშათა მოძრაობის თანდათანობითი გამემარცხება, რის მაჩვენებელიც არის მუშათა კლასის მთელი რიგი რევოლიუციონური გამოსვლები და დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის სიმპატიის ზრდა სოციალისტურ აღმშენებლობისადმი საბჭოთა კავშირში.

თბილისის ორგანიზაციის აქტივი კმაყოფილებით აღნიშნავს ჩვენი ძმური კავშირების გმირულ ბრძოლას გამძვინვარებული ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ, რომელმაც ძმური კავშირების ათასობით მსხვერპლი შეიწირა, და რომელიც ბოლშევიკის ახალ ტიპს ქმნის მომავალი რევოლიუციონური ბრძოლებისათვის.

სავსებით და მთლიანად ადასტურებს რა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ხაზს ბულგარეთის, პოლონეთის და ჩეხიის კავშირების შეპარული შეცდომების გამოსწორების საქმეში, კრება აღნიშნავს, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი მთლიანად და მისი ცალკე სექციების სახით სავსებით დადგა ლენინიზმის პოზიციაზე, რომელსაც იცავს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას უმრავლესობა, წინააღმდეგ უკიდურეს მემარცხე, მემარჯვენე და რუსული ოპოზიციის გაერთიანებულ საერთაშორისო ოპოზიციონური ბლოკისა.

თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება აღშფოთებით აღნიშნავს რა ახალგ. კომინტერნის მდივნის ვუიოვიჩის გამთიშავ ფრაქციულ მუშაობას, რომელმაც ვერ გაამართლა პარტიისა და კავშირის ნდობა ახალგ. კომინტერნის სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმეში და სცდილობდა მისი რიგების დეზორგანიზაციას,—იწონებს აღმასკომის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას ვუიოვიჩის ახალგ. კომინტერნის მდივნის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ.

კრება სავსებით ადასტურებს ახალგ. კომინტერნის აღმასკომის და მასში მყოფი რუსული დელეგაციის სწორ პოლიტიკურ ხაზს, რომელიც საერთაშორისო გაერთიანებული ოპოზიციის ფრაქციული მოქმედების წინააღმდეგ არის მიმართული.

კრება სცნობს, რომ ის გიგანტური ამოცანები, რომელნიც დგანან ეხლა ახალგ. კომინტერნის წინაშე, მოითხოვენ მისი რიგების მაქსიმალურ მთლიანობას, ლენინიზმის საფუძველზე.

ბრძოლა ახალგ. კომინტერნის რიგების მთლიანობისათვის!

ბრძოლა ფრაქციულობის წინააღმდეგ, ბრძოლა საერთაშორისო გაერთიანებული ოპოზიციის დეზორგანიზატორული მოქმედების წინააღმდეგ.

პარტიის მთლიანობა ურყევად დარჩება

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის: საქონლის სადგურის, აგურხანის, სტამბის, მე-6 უბნის, მოძრაობის დარგის და დამცველი რაზმის უჯრედების ჯგუფურმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის დადგენილება ლაშევიჩისა და სხვების საქმის შესახებ, ერთსულოვნად უერთდება პლენუმის დადგენილებებს.

ლენინური კომკავშირი მუდამ მტკიცეთ დაიცავს თავის რიგებში ლენინურ მთლიანობას.

ლენინური პარტიის მთლიანობა და პროლეტარული დისციპლინის დაცვისათვის კომკავშირი მუდამ იბრძოლებს:

კრებას ღრმად სწამს, რომ „ახალი ოპოზიცია“, მიდის არა ლენინური გზით, გაერთიანებული ბლოკით თავის აშკარა ანტი-ლენინური იდეოლოგიით, რაც ხელს უწყობს პარტიის მთლიანობის შერყევას.

კომკავშირი აღუთქვამს პარტიას, რომ მის მთლიანობის დაცვისათვის ლენინური თავდაჭერილობით თანაუგრძნობს ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ ლენინიზმიდან.

გაუმარჯოს პარტიის ფოლადისებურ მთლიანობას,

გაუმარჯოს ლენინიზმს და ლენინურ ცეკას.

ჰ. სვ-ძე.

გერმანიის მუშათა დელეგაციის მოხსენებები ბერლინში *)

მეორე მუშათა დელეგაციის მოხსენება ორგანიზაციულად შეკავშირებული პროლეტარიატის დიდებულ დემონსტრაციათ გადაიქცა ბერლინში. საღამოს 8 საათისთვის „მასწავლებელთა კავშირის“ შენობა სავსე იყო. უკვე რვის ნახევარზე სახლის ადმინისტრაცია იძულებული გახდა კარები დაეკეტა. მეორე ადგილასაც, სადაც პარალელური კრება იყო დანიშნული, დარბაზი აივსო რვა საათამდე. რამდენიმე ათასი მუშა, რომელიც ამ კრებებს მოაწყდა, უკან გაბრუნდა გულდაწყვეტილი. ორივე კრების შემადგენლობაში უდიდეს ნაწილს მუშა-სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდენ. ბერლინის მრავალი სოციალ-დემოკრატიული ფაბქარხკომიც გამოცხადდა კრებაზე, რათა თავიანთი საკუთარი ამხანაგების მოხსენება მოესმინათ საბჭოთა კავშირში ნახულისა და გაგონილის შესახებ. მენშევიკური გაზეთის „ფორვერტსის“ რედაქცია ფართო პროპაგანდას აწარმოებდა „მასწავლებელთა კავშირის“ სახლის შესავალთან. „ფორვერტსის“ რედაქტორმა, ფრიდრიხ შტამპფერმა ათასობით უფასოთ დაარიგა თავის გაზეთის საგანგებო ნომერი, რომელიც დელეგაციის ლანძღვა-გინებით იყო სავსე. ასე რომ კრებაზე მოსული სოციალ-დემოკრატები შესაფერისად იყვნენ მომზადებულნი.

რუსეთის კომიტეტის სახელით კრება გახსნა სამთამადნო მუშამ ობერჰაგენმა. მან აღნიშნა ბურჟუაზიული და სოციალ დემოკრატიული პრესის ლანძღვა-გინება დელეგაციის შემადგენლობის წინააღმდეგ. დელეგატების უმრავლესობას უკვე ოც წელიწადზე მეტი სტაჟი აქვს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. და აი ახლა, როცა ეს ადამიანები საბჭოთა კავშირში გაემგზავრნენ, რათა იქ მდგომარეობას გასცნობოდნენ და გერმანელ მუშებისთვის ობიექტური ჭეშმარიტება ემცნოთ, „ფორვერტსმა“ უცებ აღმოაჩინა, რომ ისინი პატიოსანი მუშები კი არა, ვიგინდარები არიან (გაისმის „ფუის“ ძახილი!). შემდეგ ობერჰაგენი დელეგატებს გულითად სალამს უძღვნის ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშების სახელით. „თუ თქვენ ახლა საბჭოთა კავშირის მტრების ნდობას ჰკარგავთ ყველა გერმანულ პარტიებში, გისურვებთ, რომ თქვენი მოღვაწეობით მთელი რუსი და გერმანელი პროლეტარიატის ნდობა შეგეძინოთ და დაგემსახურებინოთ“! (მქუხარე ტაში)

ფრიც კერბერის სიტყვა

დელეგაციის თავმჯდომარის, ამხ. კერბერის გამოსვლას ტრიბუნაზე მქუხარე ტაშის ცემით ხვდებიან. ორატორი, უწინარეს ყოვლისა, კრებას ძმურ ბრძოლის სალამს გადასცემს საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოსაგან. „მუშებო და მუშა-ქალებო, მე თქვენ გესალმებით აგრეთვე მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისა და გლეხკაცობის სახელით. ამ სალამის გადმოცემა მე პირადათ დამავალეს ყველა წარმოებებში. ამხანაგებო! ჩვენ მოგზაურობა ლენინგრადიდან დავიწყეთ და შემდეგ მოსკოვს ვესტუმრეთ. აქ დელეგაცია სამათ გაიყო, ასე რომ არც ერთი კუთხე საბჭოთა კავშირისა უყურადღებოთ არ დაგვიტოვებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვალდებული ვართ სრული ჭეშმარიტება გადმოგცეთ და ჩვენი გამოკვლევების შედეგები გაგიზიაროთ. ჩვენ ისეთს არაფერს ვიტყვით, რის დამტკიცებასაც ვერ შევსძლებთ. დელეგატები დღესაც და მომავალშიც მხოლოდ იმას იტყვიან, რაც საკუთარი თვალით ნახეს, რაც პირადათ გაიგონეს და შეითვისეს. ვერც იმას გვისაყვედურებენ, რომ რუსი თარჯიმანის მიერ ვართ მოტყუებულნი, მიტომ რომ მოგზაურობის დროს ყველგან საკუთარი გერმანული თარჯიმანი გვახლდა. მე ვეკითხები აქ თავმოყრილ პარტიულ ამხანაგებს, ნუ თუ ისინი ფიქრობენ, რომ მხოლოდ პროფკავშირების ბიუროკრატიას აქვს იჯარით აღებული პოლიტიკური მდგომარეობის დაფასება და ნუ თუ უბრალო მუშებს, რომელთაც ნათელი აზრი და ფხიზელი შეგნება აქვთ, არ ძალუძთ ნახულისა და გაგონილის შესახებ ობიექტური მოხსენება წარმოადგინონ. მე მგონია, რომ თქვენს შორის ისეთი არავინ არის, რომ ჩვენ მსჯელობის უფლება წაგვართვას საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. მე პირადათ, რუსეთში წასვლამდე ბევრი ჩირქი და ტალახი მომაცხეს. მაგრამ მე ეს ხელს ვერ შემიშლის, რომ ჭეშმარიტება ვაღიარო. **50 წლის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრებს სოციალიზმის თეორიას გვიქადაგებდნენ. 1917 წლიდან, როცა უკვე დღის წესრიგში მოქმედება დადგა, როცა ერთს სახელმწიფოში მუშებმა და გლეხებმა ხელისუფლება დაიპყრეს, ჩვენმა ბელადებმა დაიწყეს იმავე თეორიის უარყოფა, რომელსაც წინათ გვიქადაგებდნენ: მათ აღარ სურთ სოციალისტური თეორიის განხორციელებაზე ლაპარაკი.**

საბჭოთა კავშირში მუშებსა და გლეხებს სახელმწიფო მტკიცეთ უპყრიავთ ხელში.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირი მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეა. ჩვენ იქ აღფრთოვანებით მიგვიღეს, ჩვენ იქ გვაჩვენეს არა მარტო ის, რისი ნახვაც გვინდოდა, ჩვენ იქ ენტუზიაზმი ვიგრძენით ყოველგან, თვითეულ წარმოებასა, თვითეულ დაზგასთან.

შემდეგ ამხ. კერბერი ეხება „ფორვერტსის“ ლანძღვის წერილს. ის ხელახლა ადასტურებს კომუნისტურ „როტე ფანეში“ დაბეჭდილ ინტერვიუს 14 მენშევიკის შესახებ, რომელნიც თბილისის ციხეში არიან მოთავსებულნი. მე გერმანელ პოლიტიკურ დატუსაღებულთ ვუსურვებ, რომ იხევე თავისუფლად იყვნენ, როგორც ისინი არიანო, ამბობს ორატორი: ისინი დაჭერილნი არიან არა იმიტომ, რომ ეგრეთ წოდებულ „ორგანიზაციულ თავისუფლებებს“ თხოულობდნენ, როგორც ამას უკუღმართათ ამტკიცებს „ფორვერტსი“, არამედ იმიტომ რომ **ისინი შეთქმულების თავისუფლებას თხოულობენ, რათა საფრანგეთის და ინგლისის იმპერიალიზმთან ერთად ხელი შეუშალონ საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობას.** ყოფილმა მენშევიკებმა საქართველოში ჩვენ გაგვიცხადეს, რომ ისინი კმაყოფილნი არიან საბჭოთა კავშირით, რომ მხოლოდ საბჭოებმა მიანიჭა ქვეყანას კეთილდღეობა, რომ ისინი შემცდარნი იყვნენ, რომ მათმა ბელადებმა ისინი სასტიკად მოატყუეს. ქართველ მენშევიკებს აქვთ ორგანიზაციული თავისუფლება და ისინი საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად არკვევენ აღმშენებლობის საკითხებს.

ამხანაგებო! სატუსაღოში ჩვენ ნათლად დავინახეთ, რა უპირატესობებს ანიჭებენ დატუსაღებულ მენშევიკებს. პოლიტიკურმა ტუსაღებმა ატამიც კი შემოგვთავაზეს პირის გასასველებლად. მე თქვენ გეკითხებით, შესაძლებელია თუ არა ასეთი რამ რომელიმე გერმანულ სატუსაღოში?

უდიდესი შთაბეჭდილება ჩვენზე მოახდინა იმ გარემოებამ, რომ დაზგის მუშები თვით აღდგენენ მრეწველობა-მეურნეობას, რომ ისინი წინ მიდიან, ზევით იწევენ, მაშინ როცა გერმანიაში უკან ვიხევთ და დაქვეითების გზას ვადგივართ. ჩვენ აქ შეგვიძლია მხოლოდ გავიმეოროთ, რაც არა ერთხელ გვითქვამს საბჭოთა კავშირში მთელი დედამიწის პროლეტარიატის გასაგონათ: მათი დაზღვევის საქმე, მათი საავადმყოფოები, მათი სკოლები და სხ. იმდენათ წარმატებულია, რამდენათაც ეს მხოლოდ მუშურ სახელმწიფოშია შესაძლებელი.

ამხანაგებო, ჩვენი ამხანაგები ბოლოს იძულებული გახდებიან უარი თქვან მტრულ პოლიტიკაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ, სოციალ დემოკრატიულმა მასებმა ორგანიზაციულად მწყობრი გავლენა უნდა მოვახდინოთ ჩვენს ხელმძღვანელებზე. განა ჩვენ ტრესტების პატრონებს უნდა ვეთანხმებოდეთ და არა მუშათა კლასს, რომელმაც სოციალისტური რევოლიუცია მოახდინა?

მე მინდა თქვენ ერთი პრაქტიკული მაგალითი მოგიყვანოთ იმის შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაშია რუსის მუშა. სხვათა შორის ჩვენ ვინახულეთ პაპიროსების უდიდესი ფაბრიკა, როზა ლიუქსემბურგის სახელობის ფაბრიკა როსტოვში. იქ ომამდე მუშა ქალი 50 კაპ. ღებულობდა და 12-დან 16 საათამდე მუშაობდა დღეში. ახლა ის 8 საათს მუშაობს და 2 მან. 50 კაპ. ღებულობს. საერთოდ ყველგან საბჭოთა კავშირში მუშას უცქერიან არა როგორც უპიროვნო ნომერს, ბურჟუაზიული ქვეყნების მსგავსათ, არამედ როგორც სრულუფლებიან ადამიანს.

ამხანაგებო, ჩემი დღევანდელი მოხსენება სრული არ არის. მაგრამ მე კიდევ ხშირათ მექნება შემთხვევა ბერლინის და გერმანიის პროლეტარიატს ველაპარაკო. დღეს კი მოგიწოდებთ: იბრძოლეთ კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ! იბრძოლეთ საერთაშორისო პროფკავშირული მთლიანობისთვის! იარეთ ბრძოლის გზით გამარჯვებისკენ! (მქუხარე ტაში).

ოსკარ ფეიგის (ს.-დ.) სიტყვა

ამხ. კერბერის შემდეგ სიტყვას ამბობს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ოსკარ ფეიგი.

ამხანაგებო, იყო შემთხვევები, როცა საბჭოთა კავშირში მუშა თუ გლეხი 50 ვერსტს გადიოდა, რათა ჩვენთვის სალამი ეძლევა. აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა იმ წარმოებებში, რომელნიც ჩვენ ვინახულეთ. როცა მე გადავსწყვიტე საბჭოთა კავშირში გავმგზავრებულიყავი, ადგილიდან დამითხოვეს. მე ეს მსხვერპლი გავიღე, მიტომ რომ, ჩემის ღრმა რწმენით, ობიექტური ჭეშმარიტება სარგებლობას მოუტანს გერმანელ მუშებს. საბჭოთა კავშირის მუშებმა გვთხოვეს არაფერი დავმალოთ, არც შევაფეროთ გერმანელი ამხანაგების წინაშე. ჩვენთვის იქ დირექტორობა არავის გაუწევია, თავისუფლად ვაწარმოებდით კვლევა-ძიებას. ჩვენ იქ შევინარჩუნეთ კრიტიკული უნარი და ბევრი ნაკლიც შევამჩნიეთ. წარმოებებში ბევრი დაძველებული მანქანებია. მაგრამ წარმოების აღდგენის დროს უახლეს მანქანებს იყენებენ. 8 საათის სამუშაო დღე სავალდებულოა. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების უფლება მარტო ქაღალდზე როდია დაწერილი, როგორც ეს გერმანიაშია, არამედ ეს კომიტეტები წითელ დირექტორებთან ერთად, რომელნიც ყოველთვის მუშების წრიდან არიან გამოსულნი, ფაბრიკის სრული ბატონ-პატრონები არიან.

კრება განსაკუთრებული თანაგრძნობით უსმენს ამხ. ფეიგს, რომელიც ლაპარაკობს, როგორც უბრალო მუშა. ის ლაპარაკობს სავალდებულო ოთხი კვირის დასვენების შესახებ მუშებისთვის, რომელნიც შვებულების დროს უფასოდ ატარებენ ბურჟუაზიის სასახლეებსა და ბაღებში, ფეხმძიმე ქალების შესახებ, რომელნიც ოთხი თვის განმავლობაში თავისუფალნი არიან მუშაობისგან და სრულ ჯამაგირს ღებულობენ. ამხ. ფეიგი ეხება აგრეთვე ახალგაზრდობის მდგომარეობას, კულტურულ მუშაობას საბჭოთა კავშირში და ბოლოს უმუშევართა საკითხზე ჩერდება. საბჭოთა კავშირში უმუშევრობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ფაბრიკების აღდგენის მიუხედავათ, ქალაქს ჯერ კიდევ არ შეუძლია სოფლიდან მოდენილი ელემენტების შესრუტვა. ძლიერია აგრეთვე ბინების სივიწროვე, მაგრამ ყოველგან ახალ სახლებს აშენებენ მუშებისთვის და მთავრობამ 900 მილიონი მანეთი გადასდო ახალი ბინების ასაშენებლად უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. შემდეგ ორატორი ეხება წითელი არმიის ჭეშმარიტად სოციალისტურ და ინტერნაციონალისტურ სულს, კოოპერაციას, კურორტების მოწყობას და სხვ. ბოლოს ის ამბობს: „ჩვენი მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ნახულისა და გაგონილის გადმოცემა, რომ რუსეთში ბევრი რამ არ გვინახავს“. („რუსეთი დიდია!“—გაისმის ხმა მსმენელების სკამებიდან). კრება ერთსულოვანი პროტესტით უპასუხებს ამ გამოძახილს. ამხ. ფეიგის სიტყვა ოვაციებმა დაჰფარა. ორატორმა თავისი მოხსენება დაამთავრა მოწოდებით, რომ ერთი მხრით საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებსა, ხოლო მეორე მხრით გერმანიის პროლეტარიატს შორის ბრძოლის კავშირი შეიკრას.

მის შემდეგ თავმჯდომარემ ამხ. ობერჰაგენმა სასტიკი შენიშვნა მისცა პროვოკატორს, რომელიც ორატორის ხელის შეშლას შეეცადა თავისი შენიშვნით. დიდი ტაშისცემა გამოიწვია ამხ. ობერჰაგენის სიტყვებმა, რომ უბრალო, უშუალო მოხსენება მუშა ფეიგისა ათასჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე ყველა ტირადები საბჭოთა კავშირიდან გამოქცეულ მხდალ მენშევიკებისა.

რობერტ ზივერტის (კომ.) სიტყვა

ობერჰაგენის შემდეგ ტრიბუნაზე ამხ. ზივერტი ადის. ორატორი ერთხელ კიდევ აბათილებს „ფორვერტსის“ ბრალდებებს. ამბობენ, რომ დელეგატები საბჭოთა რუსეთის მთავრობის სტუმრები იყვნენო. თუნდ ეს ასეც ყოფილიყო, ამაში სამარცხვინო არაფერია, მიტომ რომ, ჩვენ მუშური სახელმწიფოს სტუმრები ვიქნებოდით. ჩვენ კაპიტალისტებთან ერთად როდი ვმსხდარვართ სუფრაზე, „ფორვერტსის“ მრავალი მეგობრის მსგავსათ. ამხანაგებო, ჩვენ საბჭოთა კავშირში წაველით რვა მილიონი შეკავშირებული მუშის მიწვევით. ჩვენ ნამდვილათ პროფკავშირების სტუმრები ვიყავით. ზივერტი ახასიათებს დელეგაციის შემადგენლობას:—ჩვენს შორის გავლენიანი სოციალ-დემოკრატები იყვნენ, მაგალითად, ბრესლავლის რკინის გზის საწარმოო კომიტეტის წევრი ბესსერი, რომლის უკან 40.000 შეკავშირებული მუშა სდგას, ან კიდევ ფრეიბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ამხ. კარლ გიენცელი. ჩვენთან ერთად იყო აგრეთვე პროფკავშირების სეკრეტარი ქ. ბაუცენიდან ავგუსტ ბუჰპოლცი. ნუ თუ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი და „ფორვერტსის“ რედაქცია ამ ადამიანებსაც არ ენდობა? რუსეთის კომიტეტმა წინადადება მისცა დელეგაციაში მონაწილეობა მიეღო ისეთ ცნობილ სოციალ-დემოკრატს, როგორიც ტონი ზენდერია, მაგრამ მან თანხმობა განაცხადა მოგზაურობაზე ერთის პირობით: **სახელდობრ თუ თან თარჯიმანათ მენშევიკ აბრამოვიჩს გააყოლებდნენ! (სიცილი!).**

ამხ. ზივერტი იხსენებს დემოკრატ კრიუგერს, რომელიც მასწავლებელთა დელეგაციასთან ერთად საბჭოთა კავშირში იყო და კისლოვოდსკში განაცხადა. რომ „საბჭოთა რუსეთში ყოველგვარი წარმატება და წინსვლაა შესაძლებელი სოციალური რევოლიუციის წყალობითო“. საერთოდ მეორე გერმანული დელეგაცია ერთი და იმავე სულითაა გამსჭვალული: საბჭოთა კავშირში მან ხელახლა შეიძინა რწმენა მუშათა კლასის ძლიერებასა და ძლევამოსილებაში. ახლა საჭიროა ამ რწმენისა და გამოცდილების პრაქტიკულად განხორციელება.

დელეგაციამ თან სამი თარჯიმანი წაიყვანა. ერთი მათგანი იყო მედიცინის სტუდენტი, რომლის წაყვანა სოციალ-დემოკრატმა შარელმა გვირჩია. მეორე იყო გაზეთ „გერმანიის“ კორესპონდენტი; მე მგონია, რომ მას არავინ დასწამებს კომუნისტობას. რუსის მუშებშიც მოიპოვებიან გერმანული ენის მცოდნეები, მიტომ რომ, ბევრი მათგანი ტყვეობაში ყოფილა დიდი ომის დროს.

ყოველგვარი ცილისწამების მიუხედავად, ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირები კეთილსინდისიერათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და, მაგალითად, ინგლისელ მემაღაროებს უდიდესი დახმარება გაუწიეს. ჩვენს წამოსვლამდე უკვე ცხრა მილიონი მარკა იყო შეკრებილი და დანიშნულებისამებრ გადაცემული. დაძახებაზე: „რას იტყვით ბაქოს ნავთის ექსპორტზეო“, ამხ. ზივერტმა უპასუხა, რომ ინგლისელ მემაღაროების გაფიცვის დაწყებიდან არც ერთი წვეთი ნავთი არ გაგზავნილა ინგლისშიო.

ჩვენ გამოვიკვლიეთ ხელფასის საკითხიც. ფულად ჯამაგირს გარდა მუშებს დიდი სოციალური უპირატესობანიც ეძლევათ, ასე რომ მათი მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა ომის წინა დროსთან შედარებით. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მეორე გერმანული დელეგაციის მოხსენება გაამტკიცებს საერთაშორისო მუშათა კლასის ნებისყოფასა და ძალას, რათა მან რუსეთის პროლეტარიატთან ერთად გამარჯვება მოიპოვოს კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ორატორის სიტყვები ოვაციებმა დაჰფარა. კრება დაიხურა ინტერნაციონალის აღფრთოვანებული სიმღერით.

---

*) ანგარიში ამ მოხსენებების შესახებ ამოღებულია „როტე ფანე“-დან (22 და 23 სექტ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნათესების მდგომარეობა

ქუთაისი, 6 ოქტომბერი. ქუთაისის მაზრაში ნათესების მდგომარეობა ასეთია: სიმინდი—2,6 ნიშანი, ვენახები—3 ნიშანი, ბაღები—2,7 ნიშანი, ბამბა—2,5 ნიშანი, კაკალი—1,0 ნიშანი, ბოსტნები—2,7 ნიშანი.

თამბაქოს ფაბრიკა

ქუთაისი, 6 ოქტომბერი. ქუთაისის სახელმწიფო თამბაქოს ფაბრიკამ დაამთავრა თავისი საბიუჯეტო წელი 400.000 ცალი პაპიროსის გამოშვებით. საწარმოო პროგრამა შესრულებულ იქნა სავსებით.

წყალსადენის მოწყობა

ქუთაისი, 6 ოქტომბერი. ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკას მუდამ სჭიროდა წყალი. ყოველდღიური ხარჯი წყლის სასყიდლათ აღწევდა 40 მანეთს. ამჟამად ქარხანასთან ეწყობა წყალსადენი. სწარმოებს მილების ჩაყრა და წყლის ამოსაქაჩავის გაკეთება.

აფხაზეთი

კრედიტი

სოხუმი, 6 ოქტომბერი. აბხაზეთის სასოფლო ბანკმა საზამთრო ხილის დასამზადებლად ჯუდაუთის კოოპერატივს მისცა 9000 მანეთის კრედიტი და კაკლის დასამზადებლად—დრანდის კოოპერატივს 3000 მანეთი.

ამხ. მუკლევიჩის სიტყვა

სოხუმი, 6 ოქტომბერი. სოხუმში შავი ზღვის ესკადრის მოსვლის გამო, საზეიმო სხდომაზე ამხ. მუკლევიჩმა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში სთქვა: „იმპერიალისტური სახელმწიფოები ხელახლა გვემუქრებიან თავდასხმებით. ინგლისი მტრულ დემონსტრაციებს ახდენს ჩვენს წინააღმდეგ.

ჩვენ ომი არ გვინდა. ოსმალეთთან ჩვენი დამოკიდებულება ამტკიცებს, რომ ჩვენ შეგვიძლია ნამდვილი მეგობრობა გავწიოთ, თუ გულწრფელ მოპყრობას ვხედავთ ჩვენს მიმართ. სწორედ სრულიად წინააღმდეგ დამოკიდებულებას ვხედავთ ჩვენს მიმართ, ინგლისის და პოლონეთის მხრიდან. ამიტომ მშრომელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წითელ არმიის და ფლოტს“.

განათლება

სოხუმი, 6 ოქტომბერი. აბხაზეთის გლეხობა სწავლა-განათლებისკენ დიდ მისწრაფებას იჩენს. აბხაზურ სკოლამ სოხუმში ადგილების უქონლობის გამო უარი უთხრა 160 კაცს.

უაქტივობას ვერ დასწამებთ

(გორას თ., ქუთ. მაზრ.)

აქტივობა ძალიან გაურკვეველი სიტყვაა. ყველას თავისებურათ ესმის ის. ხშირად უსაყვედურებენ ამხანაგებს, თქვენ აქტივობა გაკლიათ, საქმის წარმატების წასაყვანათ საჭიროა აქტივობა, მუშაობაში უნდა ჩავაბათ აქტიური ელემენტები და სხვა.

ვიმეორებთ ასეთი საყვედურები ხშირია, მაგრამ ზოგჯერ ანგარიშს არ უწევენ იმას, თუ ვის, როგორ ესმის სიტყვა „აქტივობა“.

მაგალითად, ძალიან შემცდარი იქნებით ქუთაისის მაზრის გორას თემის კომკავშირლებს, გ. გუგუციძეს და ბ. მეავანაძეს, რომ უაქტივობაში დასდოთ ბრალი. აბა თვითონ განსაჯეთ, როგორ შეიძლება ახალგაზრდა კაცი აქტიური არ იყოს თუ მას ვინტოვკა და საქიდათო შეკვრილი საგანგებო ხალთი აქვს. ამას დაუმატეთ აგრეთვე ამ ყმაწვილების იშვიათი მჭევრმეტყველური ნიჭი, რომლის მეოხებით გორას თემის გლეხებს დღეში ათასჯერ ეხდებათ ნამუსი.

შეიერთეთ ყველაფერი ეს და აშკარა გახდება, რა დანაშაულს ჩაიდენდით თქვენ, რომ გუგუციძისა და მეავანაძესათვის უაქტივობა დაგეწამებინათ. ნუ თუ ამ ცილისწამებისათვის სინდისი მაინც არ შეგაწუხებდათ, როცა თქვენ დაესწრებოდით ს. რონში გამართულ საღამო-წარმოდგენას და შემდეგი სურათის მოწმე გახდებოდით:

მეავანაძე და გუგუციძე გამოდიან ვინტოვკით და უშმაურო დედის გინებით გლეხებში სიკვდილით ემუქრებიან წარმოდგენაზე მოსულ ყველა სტუმრებს, თუ ისინი ეხლავე არ დასტოვებენ წარმოდგენას. ბ. მეავანაძე მოიღერებს თოფს და უნდა ჩახმახს დაუკრავს, მაგრამ რაღაც ბედათ გამოჩნდება გაბედული კაცი, რომელიც ახალგაზრდა „ტარიელს“ თოფს აართმევს და ყურებს შეუზილავს.

ამ დროს არც გუგუციძეს სძინავს. თუ თოფით არა, მკლავით რამ წამართვა, ვინ მაჯობებს ვაჟკაცობაში, გაიფიქრა მან. მაგრამ მაშინვე ჩხუბში გადავარდნა არ ისურვა, ტანისამოსი დაიხეოდა. წავიდა დინჯად სახლში, გადაიცვა სახნუბარი ბლუზა-შარვალი და გამოცხადდა ბრძოლის ველზე.

მისდა სამწუხაროდ, ზავი უკვე ჩამოვარდნილი იყო. აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად თავშეყრილ გლეხებში სამშვიდობო მოლაპარაკება სწარმოებდა. გუგუციძემ ისევ სახლისაკენ ჰქნა პირი და სპეცტანისამოსი საკადელო ტანისამოსით შეიცვალა.

ნუ თუ ამის შემდეგ ვისმეს მისცემს სინდისი ნებას გუგუციძე-მეავანაძეს პასიური კომკავშირლები დაუძახოს?

ნუ თუ სამაზრო კომიტეტსაც არ შერცხვება, რომ ამგვარ აქტიურ კომკავშირლებს სამსახური არ დაუფასოს? ვფიქრობთ, რომ ამ უსირცხვილობას ჩაიდენს ის? განა ამაზე უარესი არ ხდება ამ ქვეყანაზე?

ზ. ლ—ძე.

სოფლის ქრონიკა

— ცხენის წყლის ნაპირების გასამაგრებლად სენაკის აღმასკომმა აირჩია ცალკე კომისია.

— **საავადმყოფო.** ახალ აბაშაში იხსნება საავადმყოფო.

— **მიწის გადაცემა.** სენაკის აღმასკომმა ახალ აბაშის სას.-სამ. სკოლას გადასცა მიწის ნაკვეთი.

— **არხის გაყვანა.** ანაკლიის რაიონში სენაკის აღმასკომს განზრახული აქვს გაიყვანოს არხი.

— კიკნაველეთის თემში (ქუთ. მაზრა) მოეწყო აფთიაქი და საექიმო პუნქტი.

— ქვედა-სიმონეთის (ქუთ. მაზრა) თემში ამჟამად ითვლება 600-მდე მოწაფე და 18 მასწავლებელი.

— დიდი ჯიხაიშის შვიდწლედი გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო სკოლად.

— ფუხუთის თემის ცენტრი ქუთაისის აღმასკომმა გადაიტანა ს. საპრასიაში.

— **სასამართლო.** ახალციხის აღმასკომმა მიზანშეწონილად სცნო მაზრაში დაარსოს კიდევ ერთი სასამართლო უბანი.

— **წყალსადენი.** ახალციხის აღმასკომი შეუდგა ზილტონარის წყალსადენის შეკეთებას.

— **საჩვენებელი პუნქტები.** ზუგდიდის მაზრაში მოეწყო სას.-სამ. იარაღების საცდელ-საჩვენებელი პუნქტები.

წერილები

დიდი კაცი პატარაია

(წერილი სენაკიდან)

ყოფილი მილიციელი ილარიონ პატარაია პატარა კაცი არავის ეგონოს. ვაჟკაცი ისაა დღეს სენაკში და ულვაშებიც მას აბია. მოუნდა, ვთქვათ, ილარიონს ყალბი საბუთების შედგენა და სასამართლოში თავის სასარგებლო საჩივარის დაწყება. ადგება შეადგენს ყალბ საბუთებს. რა შეუშლის ხელს: სინდისი, წერა-კითხვის უცოდინარობა, თუ მოუფიქრებლობა?

ილარიონ ყოველივე ამაში გაწაფული კაცია. მაგრამ არა ნაკლებ გაწაფული აღმოჩნდა ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში რესპუბლიკის მილიციის ინსპექტორი ლომია. მიუხედავათ იმისა, რომ ბოროტმოქმედებას სჩადიოდა მილიციელის ქურქში გახვეული პატარაია, ინსპექტორს დამნაშავე ვერ დაემალა და თქვენმა ილარიონმა, როგორც ზღაპრებში ამბობენ, ერთ მშვენიერ დღის თავი ამოჰყო რკინის მოაჯირებიან დასასვენებელ სახლში.

მაგრამ ილარიონ პატარაია ხომ პატარა კაცი არაა? (რა შეუფერებელი გვარი აქვს ამ კაცს!) ერთი კარებიდან შეაბრძანეს ილარიონ გამასწორებელ სახლში და მეორედან სხვების დაუკმარებლად თვითონ გამობრძანდა ის.

გამოსვლისთანავე ილარიონმა დაიკიდა ნაგანი და ვიზიტით ჩამოუარა ყველას, ვინც ის ამხილა ბოროტმოქმედებაში. „სულს ამოვართმევ ყველა ჩემ მოსაყვედურე პირებსო“, ნაგანზე ხელის დადებით და ულვაშების გრეხით იმუქრებოდა პატარაია.

კაი ბიჭია და ვინმე სიტყვას შეუბრუნებს ილარიონს. მაშ რევოლვერი რათ ჰკიდია წელზე, ბუზების საფრთხობელათ, ან დათვებისა და მგლების წინააღმდეგ ხომ არა? მადლობა შემოდგომას, ისეთი გრილი დღეებია სენაკში, რომ ბუზების ჭაჭანი არსად არის, ლამის არის ბუხრებში ცეცხლი დაანთონ; მადლობა აგრეთვე სენაკის მილიციას, ჯერ-ჯერობით დათვისა და მგელის კვალი არავის არსად შეუმჩნევია.

მაშ რათ უნდა ილარიონ პატარაიას იარაღი? რისთვის ჩამოუკიდია ხუთგირვანქიანი რკინა წელზე? აშკარაა მათ დასაშინებლათ, ვინც მოწმედ უნდა გამოვიდეს პატარაიას საქმეზე სასამართლოში, სადაც გადაცემულია განსახილველად ილარიონის საქმენი-საგმირონი. ხალხი კი ამას თავისებურათ ხსნის:

პატარაია ყოფილი პარტიულია, ყოფილი მილიციელია, ვინ რას გაუბედავს, ვინ შეჰკადრებს უხეშ სიტყვასო. აშკარაა, ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა პატარაია გაიგზავნოს გამასწორებელ სახლში, ისე რომ გამოსასვლელი კარები მისთვის მაგრად გადირაზოს. მაშინ ერთხელ კიდევ დარწმუნდება ყველა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაუნდობელი მტერია ყოველგვარ ბოროტმოქმედების და განსაკუთრებით ისეთ ბოროტმოქმედების, რომელსაც სჩადის თანამდებობის პირი ან პარტიის წევრი.

თუ ეს არ მოხდა, პატარაიას ნურავინ დაემდურება, რომ მან რაიმე ახალი სისაძაგლე ჩაიდინოს.

ამ შემთხვევაში პატარაია დასასჯელი არ იქნება. დამნაშავის ძებნა მაშინ სხვაგან შეგვეხვდება.

მილიციელი.

დამტკიცების მოლოდინში

(სოფ. შინდილისი, (გორის მაზრა)

სოფ. შინდილისში არსებობდა გლეხკომი. ამ უკანასკნელს გასულ ე. ი. 1925 წ. მაზრგლეხკომმა ლიკვიდაცია უყო და მთელი ქონება, 350 მანეთი, გადასცა ულარიბეს გლეხობას კოოპერატივში დასარაზმავათ. ამ მიზნით ჩამოყალიბდა კოოპერატივის საორგანიზაციო ბიურო. ამ მუშაობამ სათანადო ნაყოფიც გამოიღო. რის თავდებიც არის ის, რომ კოოპერატივმა მოქმედება დაიწყო 350 მანეთით. დღეს კოოპერატივს ჰყავს 302 წევრი და მისი საბრუნავი თანხა უდრის 1.500 მანეთს. აქედან ნაღდი მოგება 1.150 მანეთია.

მკითხველს გაუკვირდება, როგორ მოიგო კოოპერატივმა ამდენი ერთი წლის განმავლობაში, თუ საქონელს თუ საქონელს არ ედებოდა დიდი პროცენტები. უნდა ავღნიშნოთ, რომ სამომხმარებლო საქონელზე დადებული პროცენტი არ აღემატებოდა 19—20 პროც.

ეს ფაქტი გვიმტკიცებს, რომ შინდისის კოოპერატივს შეეძლო უფრო მეტის გაკეთება, რომ მისთვის ხელი შეეწყო ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანოებს. შინდისის კოოპერატივი არსებობს ერთი წელია და დღემდის ეს კოოპერატივი დაუმტკიცებელია. ეს ძლიერ აფერხებს კოოპერატივის მუშაობას. კოოპერატივს ამ ერთი წლის განმავლობაში არც ერთი ბანკიდან არავითარი სესხი არ მიუღია და მხოლოდ და მხოლოდ დაყრდნობილია თავის საკუთარ წევრების თანხებზედ.

ბიურომ დაასრულა მუშაობა კოოპერატივის წესდების თანახმად და მთელი საბუთები წარუდგინა ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებას, სადაც აღუთქვეს შინდისის კოოპერატივს დამტკიცება.

შ. მიქელაძე.

სტატისტიკურ გამოცდის მოლოდინში

(მომავალი საყოველთაო აღწერის გამო)

საქართველოს არ ახსოვს ჯერ მცხოვრებთა საყოველთაო აღწერის ჩატარება.

მხოლოდ 1897 წ. ყოფილ რუსეთის იმპერიის მასშტაბით იყო ჩატარებული ასეთი აღწერა, რომლის ცნობები ჩვენთვის ყოველივე ღირებულებას მოკლებულია. დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ჩვენ მოგვეცა საშუალება საყოველთაო აღწერის ჩატარებისა და ეს ჩატარებული იქნება ა.-წ. დეკემბერში.

ჩვენ არა გვაქვს მცხოვრებთა ზრდის სწორი გამოანგარიშების საშუალება. არც დაბადების და არც სიკვდილიანობის სწორი აღრიცხვა გვაქვს, რაც უფრო გვაშორებს სინამდვილეს.

მიმდინარე წლის დეკემბერში საკავშირო მთავრობის დადგენილებით ყველა რესპუბლიკებში და, რასაკვირველია, საქართველოშიაც მოხდება მცხოვრებთა საერთო აღწერა. არა ერთი და ორი ათასი მანეთი დაიხარჯება ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეზე.

და ეს ხდება იმისათვის, რომ ვიცოდეთ რამდენია ჩვენში დედაკაცი, მამაკაცი მათ შორის, რამდენია სრულწლოვანი, რამდენია ბავში, მოზარდი და მოხუცი. საჭიროა აგრეთვე ცოდნა რამდენია ამა თუ იმ ეროვნების ხალხი, რა საქმეს მისდევს მოსახლეობა, ბევრია თუ ცოტა წერა-კითხვის მცოდნე, რამდენია ფიზიკურად მანკიანები და სხვა.

შეუძლებელია წესიერად მოვლა-პატრონობა მეურნეობისა, თუ არ გვექნება ხელთ ყველა ეს ცნობები.

ამ ცნობების გარეშე შეუძლებელია აგრეთვე უბედურ შემთხვევების დროს რაიმე ზომების მიღება. მაგალითად მაზრას ანუ ქალაქს პური დააკლდა, მთავრობამ არ იცის ქალაქის თუ მაზრის მცხოვრებთა სწორი რაოდენობა. როგორ უნდა აღმოუჩინოს დახმარება ასეთ შემთხვევაში მთავრობამ დამშეულებს?

ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის ჩატარება დავალებული აქვს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოს, რომელიც უკვე თავზე ზეტია, რაც მზადებაშია ამ მეტად პასუხისაგებ საქმის ჩასატარებლად. ამ მიზნით საქართველოს სტატ. ცენტ. სამმართველომ შინაგან საქმეთა კომისარიატთან შეთანხმებით გამოსცა დადგენილება (იხილეთ გაზ. „კომუნისტი“-ს № 172). სამაზრო სტატბიუროები და აღმასკომები ვალდებულნი არიან შეადგინონ მეკომურთა სიები, დასახლებულ ადგილთა სიები, ქალაქის და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილთა გეგმები და სამაზრო რუქები სოფლის წერტილების აღნიშვნით. მუშაობა მაზრებში მეტად რთული და ძნელია, მაგრამ აქ არავითარ უკან-დახევას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველოსთან არსებულ სააღწერო ბიუროსაც მართებს მთელი ენერგიის დაჭიმვა. სტატისტიკური გამოცდა ახლოვდება. ჩვენი ორგანოები სახელოვნად დაიჭერენ მას.

ა. ქარჩავა.

ბრძოლა უმუშევრობასთან

(შრომის სახ. კომისარიატის მასალებიდან)

უკანასკნელ ხანებში, ჩვენში უმუშევრობამ საგრძნობლად იკლო. მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის, თბილისში ჩატარებულმა უმუშევართა აღრიცხვამ გვიჩვენა, რომ თბილისში უმუშევრობა შემცირებულა 2.212 კაცით. ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი აჭარისტანში და საქართველოს სხვა მაზრებში, გარდა შორაპნის მაზრისა (ჭიათურა) სადაც უმუშევრობა შავი ქვის ამოღების შემცირების გამო, ოდნავ გაიზარდა. უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლამ იმ თავითვე მიიქცია შრომის სახ. კომისარიატის ყურადღება. ეს ბრძოლა განმტკიცდა უმთავრესად 1925—26 საოპერაციო წელში.

ბრძოლა სწარმოებს სხვადასხვა კოლექტივების დაარსების და საზოგადოებრივ სამუშაოების შექმნის მიზნით. შრომის ბაზრის განყოფილების ცნობით, ბათომში ამჟამად მოწყობილია 17 კოლექტივი 220 კაცის შემადგენლობით; ამ კოლექტივებში გაერთიანებულია უმუშევრების 12 პროცენტი.

თბილისში 7 კოლექტივი არსებობს, სადაც გაერთიანებულია 1.400 უმუშევარი. თვითეულ კოლექტივში 35-დან 750-მდე უმუშევარია გაერთიანებული.

ქუთაისში უმუშევართა კოლექტივებში გაერთიანებულია უმუშევრების 10 პროცენტი, რიცხობრივათ 1000-მდე კაცი.

შრომის კოლექტივებში კარგადაა დაცული შრომის და ხელფასის პირობები. ხელფასი კოლექტივებში იმდენათ ხელსაყრელია, რომ ზოგიერთ წარმოებებზე უფრო მაღლა სდგას.

მომავალ წლისათვის ფართოდ იშლება უმუშევრობასთან ბრძოლის უფრო ძლიერი პერსპექტივები. გადაწყვეტილია მსხვილ და საწარმოო ხასიათის კოლექტივების შექმნა უმუშევრებისაგან.

განზრახულია აგრეთვე საექიმო დახმარების კოლექტივის, ყუთების დამამზადებელ კოლექტივის და მთელ რიგ ისეთი კოლექტივების მოწყობა, სადაც უმეტესათ შევლენ არაკვალიფიციური უმუშევრები.

უმთავრესი ყურადღება შრომის სახ. კომისარიატის მიმართულია იმ მხრივ, რომ ფართოდ ჩაბან წარმოებაში ახალგაზრდები და ქალები.

უმუშევარ ახალგაზრდობისათვის მიმდინარე საოპერაციო წელში მოეწყობა ახალი სახელოსნოები და სხვა საზოგადოებრივი ხასიათის სამუშაოები, როგორც მაგ.—სასადილოები და სხვ.

უმუშევართა სხვადასხვა დახმარების აღმოჩენის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 126.000 მანეთის გაღება. ეს თანხა უმთავრესად მოხმარდება საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწყობას ადგილებზე. ამავე მიზნით გაღებულია სოცდაზღვევის სამმართველოსაგან 42.000 მანეთი.

უმუშევრობასთან საბრძოლველად გადადებული თანხა, რომლის საერთო რაოდენობა 168.000 მანეთს აღწევს, განაწილებული იქნება შემდეგ ქალაქებს შორის: თბილისი, ბათომი, სოხუმი, შორაპნის მაზრა და ფოთი. მიმდინარე საოპერაციო წელში დიდი ყურადღება მიექცევა საზოგადოებრივ კოლექტივებში უმუშევართა გადამზადებას და ექსპერტიზის ჩატარებას.

ამასთანავე იწარმოებს არაკვალიფიციურ უმუშევართაგან კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადება. ამ მიზნით განაწილებული იქნება პროპორციონალურად უმუშევართა რაოდენობისა სათანადო სახსარი საქართველოს მაზრებს შორის.

ალიუმინის წარმოება

საბჭოთა კავშირის გეოლოგიურ სამმართველოს სწავლულმა გეოლოგმა ამხ. მალიავკინმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა კავშირში ალიუმინის წარმოების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— თანამედროვე მრეწველობაში ალიუმინი ითვლება ყველა ლითონზე უფრო აუცილებელ და იშვიათ ლითონად. ალიუმინის ნაკლებობა შესამჩნევია საზოგადოდ ყველა ქვეყნებში.

ევროპაში ალიუმინის ყველაზე უდიდესი მადნები მოიპოვება სამხრეთ-საფრანგეთში, საიდანაც ყველა სახელმწიფოებს გაჰქონდათ ალიუმინის ლითონი. საფრანგეთის მთავრობის უკანასკნელი დეკრეტით ალიუმინის გატანა საზღვარ-გარეთ აკრძალულია, რადგანაც მას ხმარობენ უმთავრესად ჰაეროპლანების წარმოებაში და სხვადასხვა სამხედრო მასალების დასამზადებლად. ყველაზე მეტი რაოდენობის ალიუმინს ხარჯავს ამერიკა, სადაც ყოველგვარი სახის მრეწველობამ მიაღწია თავის განვითარების უმაღლეს წერტილს.

ალიუმინის მადნებით ყველაზე უმდიდრესია საბჭოთა კავშირი, სადაც დღემდე კიდევ არაა მოწყობილი ამ მადნების ექსპლოატაცია და წარმოება. გეოლოგიურ სამმართველოს და საკავშირო ს. მ. უ. ს. გადაწყვეტილებით წელს მოხდა ალიუმინის ე. წ. ბოქსიტების მადნების შემოკვლევა მთელ კავშირში, გარდა ა.-კავკასიისა და საქართველოში, სადაც გეოლოგიურ სამმართველოს ცნობებით მოიპოვება ბოქსიტების უმდიდრესი საბადოები.

ამჟამად ჩემი ჩამოსვლა გამოწვეულია სწორედ იმით, რომ გამოვიკვლიოთ საქართველოს სიმდიდრეები ამ მხრივ; ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ ცნობილი ჰიდროლოგი სოლოვიოვი და ამერიკელ გეოლოგების ერთი ჯგუფი. გამოკვლევებს ჩვენ დავამთავრებთ დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში და შემდეგ ჩვენ გვექნება სრული ცნობები საქართველოში ალიუმინის ლატერიტების (მადნების) მდებარეობის და ექსპლოატაციის პირობების შესახებ.

ყოველწლიურად საბჭოთა კავშირს სჭირდება ექვსი მილიონი ომის წინანდელ მანეთის ალიუმინი, ანუ სამასი მილიონი ფუთი ლითონი. ჩვენის გამოანგარიშებით, ჩვენში ალიუმინის წარმოება მოგვცემს ყოველწლიური ხარჯის 50 პროც. მოგებას. ალიუმინის წარმოებისათვის საჭირო არის დიდძალი ელექტრო-ენერგია, რომლის მიღებაც ხელსაყრელი იქნება ჰიდროელექტრო სადგურების მოწყობის საშუალებით.

ამ მხრივ მუშაობას შეუდგება ჰიდროლოგი სოლოვიოვი, რომელსაც ჩვენთან ერთად მოემგზავრება ბათომის რაიონში წინასწარ საგამოკვლევო მუშაობის ჩასატარებლად.

სოციალური დაზღვევა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საგეგმო კომისიის მოხსენება სოციალური დაზღვევის საქმის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მრეწველობას მეტი ხარჯები აქვს სოცდაზღვევის საქმეზე, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს; ამასთანავე მუშების ხელფასი საბჭოთა კავშირში ნაკლებია, ვიდრე საქართველოში და ეს ფაქტორი აძვირებს პროდუქციას ჩვენში; ამიტომ საქართველოს მრეწველობა მეტს ხარჯავს სოცდაზღვევის საქმეზე, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

ამას გარდა, შრომის ნაყოფიერება ჩვენში ნაკლებია, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. აქედან საქართველოს მრეწველობისათვის, საგეგმო კომისიის აზრით, ერთად-ერთი გამოსავალია დაზღვევის ანარიცხების შემცირება.

საგეგმო კომისიის მოხსენების გამო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა შემდეგი:

საბჭოთა კავშირში სოცდაზღვევის ორგანოები არ აწარმოებენ იმის აღრიცხვას, თუ რამდენი შემოდის სოცდაზღვევის ანარიცხების სახით სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებიდან, ამიტომ აღნიშვნა იმისა, თუ რამდენი შეაქვს საქართველოს მრეწველობას, ძნელია.

გამოანგარიშებულია დაზღვევის საშუალო ტარიფი ცალკე რესპუბლიკებში. ამ ცნობების მიხედვით 1925 წლის მეორე ნახევარში საშუალო ტარიფი უდრიდა: რუსეთში—14,4 პროც., ბელორუსიაში—13,6 პროც., უკრაინაში—13,2 პროც., აზერბეიჯანში—15,2 პროც. და საქართველოში—12,9 პროც.

აქედან სჩანს, რომ დაზღვევის ტარიფი საქართველოში ნაკლებია, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. ამის გამო პროფსაბჭომ შეუძლებლად სცნო სოცდაზღვევის ისედაც მცირე ტარიფის კიდევ უფრო შემცირება საქართველოში.

აბრეშუმის მრეწველობა

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭო წინააღმდეგია, რომ საკავშირო მასშტაბში დაარსდეს განსაკუთრებული ორგანო აბრეშუმის მრეწველობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, ვინაიდან არსებული დაწესებულებანი და ორგანიზაციები საკმაო ხელმძღვანელობას უწევენ აბრეშუმის საქმეს.

ამასთანავე ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიას დაევალა მოიწვიოს საგანგებო თათბირი ამ.-კავკასიის მასშტაბში საწარმოო-სარეწაო, საორგანიზაციო და სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხების განსახილველად, და აგრეთვე მეაბრეშუმეობის დარგში გასაღებისა და კრედიტის კითხვების მოსაგვარებლად.

აგარაკების მოწყობა

მომავალი ზამთრის განმავლობაში. განზრახულია შეუდგენ სენაკის მაზრის კურორტების კეთილმოწყობას.

პირველ რიგში მოწყობილ იქნება ლებარდე აგარაკი და შემდეგ აგარაკი ჩეგოლა.

ლებარდეში განზრახულია გააშენონ საააგარაკო სახლები, გაიყვანონ ტელეფონის ხაზი, მოაწყონ წყალსადენი. ტელეფონის ხაზი გაგრძელდება ლებარდედან ნოქალაქევში.

აგარაკი ჩეგოლა გადაცემული აქვს მოსაწყობათ კურზუს თემს.

აგარაკების კეთილმოწყობის სახელმძღვანელოთ დაინიშნა ინჟენერების კომისია.

ორივე აგარაკები დაიწყებენ მუშაობას მომავალი საგარაკო სეზონიდან.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ადმინისტრაცია და არა კომისია

თავიდანვე შემჩნეულია, რომ ვინც ბევრს ხმაურობს, ის ნაკლებს მუშაობს. ხალხური ანდაზა ამბობს: „მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო“.

დაახლოებით ამ ანდაზის მზგავსი შემთხვევები ხდება მომჭირნეობის რეჟიმის გატარების დროს. ბევრ დაწესებულება წარმოებებში ხმაურობა და ლაპარაკი გაცილებით უფრო მეტია ამ ლოზუნგის სარგებლიანობის შესახებ, ვიდრე რეალური, პრაქტიკული მიღწევები მომჭირნეობის ფრონტზე. ბევრგან მომჭირნეობის კამპანია თავიდანვე ბიუროკრატიზმის „რელსებზე“ გადაუყვანიათ და აქეთ მთლიანად დაუკარგავს მის მნიშვნელობა, რომელსაც ამ ლოზუნგს აკუთვნებს პარტია და ხელისუფლება.

რაში მდგომარეობს ეს ბიუროკრატიზმი? რასაკვირველია, კომისიაში. ჩვენ ხშირად ერთობ გადაჭარბებულ მისწრაფებას ვიჩენთ კომისიებისადმი. საზოგადოთ ხშირად ასე ხდება: თუ გინდათ საქმის თავიდან მოშორება, თუ გინდათ მისი რამდენიმე ხნით მაინც დაყოვნება, მაშინვე საკითხი გადააქვთ განსახილველად მუდმივად არსებულ ან სახელდახელოთ არჩეულ კომისიაში.

მომჭირნეობის ლოზუნგსაც ბევრგან ეს ბედი ეწვია. დაიწყო თუ არა დაზოგვის კამპანია, ბევრ ჩვენმა დაწესებულება-წარმოებებმა მაშინვე გამოჰყვეს სათანადო კომისიები. კამპანიის პირველ თვეებში ეს კომისიები პირდაპირ სოკოსავით მომრავლდნენ.

არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რა ღირს სახელმწიფოს ამ უამრავ კომისიების მუშაობა. ვთქვათ კომისიის წევრები უსასყიდლოთ მუშაობენ (თუმცა ჩვენ ბევრი ამის წინააღმდეგი მაგალითი ვიცით), მარტო ის სამუშაო დრო რათ ღირს, რომელსაც ეს კომისიები ხარჯავენ?

გარდა ამისა კომისიის არსებობა მავნებელია სხვა მხრივაც. ის აღუნებს ადმინისტრაციის, პროფორგანოს და პარტუჯრედის სიფხიზლეს მომჭირნეობის საქმეში. ეს ორგანოები ასე მსჯელობენ: არის მომჭირნეობის კომისია, ის იზრუნებს ყოველივე შეუფერებელ ხარჯების მოსპობაზეო.

ყველა ამ მოსაზრებებით დაწესებულება-წარმოებებთან მომჭირნეობის კომისიების არსებობა მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ამ.-კავკ. საოლქო საკონტროლო კომისიის ამ დღეებში დასრულებულმა პლენუმმა, რომელმაც სხვათა შორის მომჭირნეობის კომისიების შესახებ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„უნდა აღინიშნოს სუსტი მუშაობა საუწყებო (მომჭირნეობის) კომისიათა, რომელთა არსებობა გათვალისწინებული არაა არსებულ კანონით. ამიტომ ცნობილ იქნას ამ კომისიათა ლიკვიდაციის აუცილებლობა. მათი ფუნქციები და მომჭირნეობის რეჟიმის გატარების მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს დაწესებულებათა ხელმძღვანელებს“.

ამრიგად, რაც შეიძლება ნაკლები ბიუროკრატიზმი, რაც შეიძლება ნაკლები ხმაურობა. მის ნაცვლად მეტი აქტივობა და ცოცხალი მუშაობა მომჭირნეობის რეჟიმის წარმატებით ჩასატარებლად.

ნ. ბ—ლი.

რატომ პასუხისგებაში არ ვარ მიცემული?

ჩემს მიერ ქალაქის აღმასკომის განათლების განგის მოადგილე, კარპეზ ბერიძის შესახებ გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებული იყო წერილი, რომელიც ეხებოდა ამ პიროვნებისა და მისი განყოფილების მომარაგების გამგის მამარაშვილის საქმიანობას თვით წყაროზე. მას შემდეგ არა ერთმა კვირამ და თვემ განვლო. აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ლ. სოხიშვილის მიერ დანიშნულ საკონტროლო კომისიის წევრს გადაეცა კიდევ ფაქტები მეორე წყაროზე, განათლების განყოფილების ცხოვრებიდან, რომელიც ჩემს წერილში არ მქონდა მოყვანილი. დასაბუთებული მოწმეები და თან ოფიციალურად, წერილობით გადავეცი განცხადება, რომ ჩემს მიერ მიწოდებული ცნობების დამტკიცების პასუხისმგებლობას ვკისრულობ, როგორც პრესაში, ისე სასამართლოში და მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.

ვფიქრობ. ორში ერთია: 1) ან ფაქტები მართალია და სწორი, და საჭიროა რაღაც დასკვნის გამოტანა ამ ფაქტებიდან. 2) ან ფაქტები არ არის სწორი და საჭიროა მიცემული ვიქნე პასუხისგებაში, როგორც ცილისმწამებელი.

მე მინდა ვიცოდე—რატომ პასუხისგებაში არ ვარ მიცემული?

ს. ამაღლობელი.

ამხ. ა. ენუქიძე ზაჰესში

გუშინ ამხ. აბელ ენუქიძე ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის—ამხ. მამია ორახელაშვილის და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის—ამხ. შალვა ელიავას თანხლებით ესტუმრა ზემო-ავჭალას, სადაც დაათვალიერა ჰიდრო-ელექტრო სადგური.

„საქარ. მარგანეცი“

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ სააქციო საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი“-ს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე—ინჟ. რასკოვიჩი, საზოგადოების მთავარი რწმუნებული ჭიათურაში—ჟიულ ლაბასი და რასკოვიჩის თანაშემწე—ინჟ. რობერტსი.

გუშინ, დღის 1 საათზე, რასკოვიჩი, ლაბასი და რობერტსი მიიღო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. ელიავამ, რომელთანაც მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ კონცესიის საკითხების შესახებ.

საბინაო ტარიფი

პროვინციისათვის

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ განყოფილების საორგანიზაციო კოლეგიის გუშინდელ სხდომაზე განხილულ იქნა რესპუბლიკის ქალაქებისა და დასახლებულ საქალაქო ტიპის ქალაქებისათვის საბინაო ტარიფის პროექტი.

სხდომას დაესწრო თბილისის აღმასკომის შრომის კომისარიატის და კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები.

ტარიფი შედგენილია სამი ტიპის დასახლებული ადგილებისათვის. პირველი—დიდი ქალაქები, მეორე—სამაზრო ქალაქები და მესამე—ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებისათვის.

პირველ ჯგუფში ჩარიცხულია: ქუთაისი, ფოთი, ბათომი და ჭიათურა; მეორე ჯგუფში—გორი, ხაშური, ბორჯომი, სიღნაღი, თელავი, ახალციხე, სენაკი, ზუგდიდი, ოზურგეთი, სამტრედია, ზესტაფონი, და ხონი.

მესამე ჯგუფში—ცხინვალი, ახალქალაქი, ახალციხე, დუშეთი, ლიუქსემბურგი, შაუმიანი, ონი, ცაგერი, ველისციხე, გურჯაანი, ამბროლაური, სურამი და სხვ.

პროექტი ამ დღეებში წარედგინება დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს.

საჩივართა ბიურო

(საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობიდან)

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ წყაროებათ, საიდანაც მ.-გ. ინსპექციის საჩივართა ბიუროს მოსდის საჩივრები, უნდა ჩაითვალოს მუშები, გლეხები და მოსამსახურეები.

ცხრა თვის განმავლობაში, 1 იანვრიდან — 1 სექტემბრამდე ა. წ. საჩივართა ბიუროს სხდომებზე სისტემატიურად ესწრებიან პროფკავშირის, ქალთა განყოფილების და საჩივრის მიხედვით რედაქციების წარმომადგენლები. საჩივართა ბიურო იშვიათად არჩევს არა მშრომელ ელემენტების საქმეებს.

ზემოაღნიშნულ საანგარიშო დროის განმავლობაში საჩივართა ბიურომ თავის სხდომებზე გაარჩია 23 სერიოზული საქმე, და 45 ადმინისტრატიული საქმე.

მუშაობის პრაქტიკიდან სჩანს, რომ მთავარი გაუგებრობანი, რომელსაც ადგილი აქვს გლეხობაში, დაკავშირებულია მიწის საკითხებთან, საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი სხვა არა ნორმალური მდგომარეობანი მათ ცხოვრებაში. აღნიშნული იყო ხშირი მიწის გადაცემა-გადაცემის შემთხვევები; იყო შემთხვევები, როცა თემაღმასკომები და ხშირად სამაზრო აღმასკომებიც კი შედიოდნენ შეცდომაში და გლეხობას უკანონოთ ართმევდნენ მიწას, აძლევდნენ მეორეს და სხვა.

საჩივართა ბიურო თავის სხდომებზე არჩევდა აგრეთვე შრომის საკითხებსაც.

ამ დარგში საჩივართა ბიუროს სხდომებზე გაირჩა სულ 29 საკითხი, ამ დარგში საჩივართა ბიუროს უხდებოდა უმთავრესად პროტექციონიზმთან შეჯახება და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ხშირი იყო აგრეთვე საჩივრები საბინაო დარგშიაც. ასეთი საკითხები ბიუროს სხდომაზე გარჩეული იქნა აღნიშნულ დროის განმავლობაში სულ 16.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიურო ხშირად აწარმოებდა მოლაპარაკებას ქალაქის აღმასკომთან და პროკურორთან და იღებდა ყოველგვარ ზომებს მუშა-მოსამსახურეთა, წითელ არმიელთა და შრომის ინვალიდთა ბინის საკითხის სათანადოთ მოსაგვარებლად.

ადგილი ჰქონდა აგრეთვე პროვინციებშიაც ამ მხრივ ზოგიერთ გაუგებრობას, როცა ამა თუ იმ სოფლის თემაღმასკომი უკანონოთ ართმევდა გლეხს შენობას თავისი საჭიროებისათვის, რის წინააღმდეგ საჩივართა ბიურო იღებდა საჭირო ზომებს.

აღნიშნულ დროს განმავლობაში სულ შემოვიდა 416 საქმე, მათ შორის 341 გარჩეულია სხდომებზე თუ მის გარეშე. დარჩენილია 75 საქმე.

ამ საკითხებს შორის გაზეთებში მუშკორ და გლეხკორების მიერ მოთავსებულ შენიშვნებით აღძრული იქნა 23 საქმე.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა მუშკორებს და გლეხკორებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროს საქმიანობაში.

ამიტომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიურო ფრიად სერიოზულ ყურადღებას აქცევდა მუშკორ და გლეხკორთა ორგანიზაციას, როგორც ისეთ წყაროს, რომელიც მუშათა და გლეხთა ინსპექციას საშუალებას აძლევს ჩაიხედოს სამეურნეო და სახელმწიფო დაწესებულებებში მოაგვაროს ისეთი გაუგებრობანი, რომლებიც ხელს უშლის სოციალისტური მშენებლობის საქმეს და რომლის ჩამოშორება საჭიროა.

ამიტომ ბიუროს გამგე მიმაგრებულია მუშკორ და გლეხკორთა ორგანიზაციებში სამუშაოთ და უწევს მათ საერთო ხელმძღვანელობას კონსულტაციების გაკეთებით.

საკითხების გადაწყვეტა შემოტანის დღიდან არასოდეს არ გაგრძელებულა 15-60 დღეზე მეტი.

გარდა ამისა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლებთან ჯერ კიდევ არ არის დამყარებული მჭიდრო კავშირი, რომ ყოველმა გლეხმა შესძლოს ცენტრთან კავშირის დაჭერა და უკანონო მოქმედების საჩივართა ბიუროში გასაჩივრება.

საქ. მ.-გ. ინსპექციის საჩივართა ბიურო.

აბაშის ჰიდრო-ელსადგური

აბაშის ჰიდრო-ელსადგურზე მუშაობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. უკვე დამთავრებულია სავსებით საგუბარი, სათავო ყველა ნაშენები და გვირაბი არხის სათავო ნაწილში. აგრეთვე სავსებით დამთავრებულია ყველა საამშენებლო სამუშაოები არხზე, სკურდის ბულვარზე (აკვედუქზე) და საწნეო აუზში.

თვით სადგურის შენობის სამუშაოების მსვლელობაც სავსებით დამაკმაყოფილებელია; დაწყებულია უკვე ბრუნაროების (ტურბინების) შემწოვ მილების დაბეტონება, რაც ამ შენობის მთავარ ნაწილს შეადგენს.

სადგურის მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინები უკვე დამთავრებულია. საამშენებლო სამუშაოებიდან ამჟამად არ არის დაწყებული მხოლოდ სარეგულიაციო კოშკის და რკინა ბეტონის საწნეო მილის დაბეტონება, რასაც უახლოეს დროში შეუდგებიან.

საამშენებლო ნაწილთან დაწყებულია უკვე ელხაზის გაყვანის სამუშაოებიც. „ელექტროსელსტროი“, რომელზედაც არის გაცემული ეს სამუშაო, ახლო მომავალში შეუდგება ელხაზის გაყვანას ორ პარტიით; ერთი სენაკ და აბჰესის შორის იმუშავებს, ხოლო მეორე სენაკ და ფოთის შორის. სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩაიარა აბჰესის ტრანსფორმატორების და გენერატორის წინასწარ გამოცდებმა. ეს გამოცდები აბჰესის კომიტეტის დავალებით მოახდინა ცნობილ ელექტრიკოსმა, ლენინგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტის პროფესორმა ა. ა. ვორონოვმა.

მომავალ ზაფხულისათვის აბჰესი გაშვებული იქნება.

საკომისიო პუნქტი

თბილისის მუშკოოპი წელს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბოსტნეულობის მწვანილეულობის და ხილეულობის დამზადება-გასაღებას. ამ მიზნით, მუშკოოპმა გახსნა რამოდენიმე საწვრილმანო დუქანი. გარდა ამისა ამ დღეებში მუშკოოპმა მუხრანის ბაზარზე გახსნა საკომისიო პუნქტი.

პუნქტი მოთავსებულია ყოფ. საზ. „ქართლი“-ს საწყობში. პუნქტს უშუალო კავშირი აქვს გლეხობასთან აღნიშნულ პროდუქტების შესასყიდლათ. მასვე აქვს დადებული ხელშეკრულება გლეხთა საზოგადოებებთან და ნადებთან ჭირნახულის გასაღების საქმეში. ამ დღეებში საკომისიო პუნქტმა ხელშეკრულება დასდო სახალხო მამულებთან —„სკრა„,-„გომბორთან“, „გეურ - არხთან“. და „ბეთანიის საქარასთან“, რათა უკანასკნელთა მიერ დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მთლიანად გასაღდეს მუშკოოპის საკომისიო პუნქტის საშუალებით.

წინასწარი ვარაუდით წელს უნდა გასაღდეს აღნიშნული პუნქტის საშუალებით 60-70.000 ფუთი პროდუქტი.

საკომისიო პუნქტს ყავს საკუთარი აპარატი, რომელიც გამოყოფილია მუშკოოპის ცენტრ. გამგეობის მიერ.

საქონლის გაიაფებისათვის

საკავშირო ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის სადირექტივო წერილის ასასრულებლად საქართველოს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარემ განკარგულება მოახდინა, რომ ს. მ. უ. ს. ტრესტებმა და შენაერთებმა მიიღონ საასწრაფო წესით ენერგიული ზომები მათი პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.

ამავე დროს გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ს. მ. უ. ს. ტრესტების პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად საჭირო კონკრეტულ ღონისძიებათა გამომუშავება და მათი ცხოვრებაში გატარების საერთო ხელმძღვანელობა და თვალყურის დევნება.

კომისიაში შედიან ამხ. ს. ავატკოვი (თავმჯდომარე), პ. ჯანაშია, ვ. ხიეციანი, პ. ჯანელიძე და ა. ეირანოვი.

აღნიშნულმა კომისიამ ორი კვირის განმავლობაში უნდა წარუდგინოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს საერთო გეგმა თვითღირებულების შემცირების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

მუშათა ცხოვრება

მუშკორთა კიდევ ერთი ექსკურსია მუშათა უბანში

2 ოქტომბერს მოეწყო გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორთა ექსკურსია ვაკეში, ჩვენი გაზეთის „მუშათა ცხოვრების“ განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით. აღმასკომიდან ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო ინჟენერმა, ამხ. ქურდიანმა.

ნაშუადღევის 2 საათიდან მუშკორებმა თავი მოიყარეს ზემელის ყოფილ აფთიაქის პირდაპირ.

ამ დღეს მუშკორები დაინტერესებულნი იყვნენ დაეთვალიერებიათ თუ რა გაკეთდა აღმასკომის მიერ ვაკეს რაიონში. ვიდრე მუშკორები გაემგზავრებოდნენ საექსკურსიოდ, გაიმართა საქმიანი საუბარი ამხ. ქურდიანთან, რომელმაც განაცხადა შემდეგი: აღმასრულებელი კომიტეტი ყოველგვარ ზომებს ხმარობს მუშათა უბნის გამშვენიერებისათვის. ამ მხრივ ვაკესაც ექცევა სათანადო ყურადღება. მთელი ჩვენი ყურადღება შეძლებისდა გვარად მიქცეული იქნება ამ უბნის გამშვენიერება-გაფართოებისაკენ. ამხ. ქურდიანის თქმით, რკინის გზა აპირობს საბარგო მატარებლების სამანევრო მუშაობის ნავთლუღში გადატანას. ამით მოგვეცემა საშუალება, რომ ჩვენი მთელი მოძრაობა ფართოთ გადატანილ იქნეს ყოფილ ციციანოვის აღმართზე—კახეთის მოედანთან შეერთებით.

ნაშუადღევის სამ საათიდან მუშკორები გამგზავრნენ წყნეთის ქუჩით ვაკესაკენ. აქ ამხ. ქურდიანი გასაგებ ენით და დეტალურად უხსნიდა მუშკორებს, თუ რა გაკეთდა და რა გეგმაა შემუშავებული მომავალში ვაკეს გასამშვენიერებლად.

მომავალში დაიგეგმება მთელი ვაკე. აქ უნდა გაკეთდეს ტრამვაისთვის კარგი ხაზი, რომელიც გაგრძელებული იქნება უნივერსიტეტის იქით.

უნივერსიტეტის აქეთ მდებარე ხიდზე გადაკრული იქნება თაღი.

დიდ ზიანს აყენებდა მცხოვრებლების ჯანმრთელობას აქაური ტბა. ამის გამო აქ ციებ-ცხელება ჩნდებოდა და მშრომელი ხალხი ავად ხდებოდა. აღმასრულებელმა კომიტეტმა შესძლო მისი დაშრობა. აღნიშნული ტბა დაშრა გვირაბის საშუალებით. ამ გვირაბზე გაკეთდა ბოგირი.

ტბის დაშრობის შესახებ ერთი მუშკორი შეეკითხა შემთხვევით გამვლელ გლეხს, თუ რა აზრის იყვნენ გლეხები ამ ტბის ამოშრობის შესახებ. გლეხმა უაღრესი კმაყოფილება გამოსთქვა ტბის ამოშრობით.

ყოფილ სემინარიის აქეთ არის დიდი ხევი დაახლოებით 7 საჟენი. ეს ხევი ახლო მომავალში იქნება ამოვსებული. ყოფილ სემინარიის იქით არის ფერდობი ადგილები, საიდანაც წვიმების დროს ნიაღვრებს გადმოაქვთ ვაკეზე შლამი და ღორღი და აფუჭებენ გზებს და ბაღებს. ეს ფერდობები იქნება დაფარული ხშირი ტყით. ამის გამო ჩვენმა მუშკორებმა დიდი კმაყოფილება გამოსთქვეს.

აქაური მთავარი აგურხანები იმყოფება ქალაქის აღმასკომის გამგებლობაში. მუშაობა ქარხანაში ნორმალურად მიმდინარეობს. ნიაღვრების საშიშროების დასაცავად აქ სწარმოებს დიდი ბრძოლა თხრილების საშუალებით, რომლებშიაც ჩადის და გროვდება მთებიდან ჩამოსული წყალი.

აქ მდებარე დიდი ხევი ამოვსებული იქნება აგურხანების ღორღით.

აქ ჩვენმა მუშკორებმა შეამჩნიეს ერთი დიდი დეფექტი:

უნივერსიტეტის ქუჩაზე სამხედრო უწყებას აქვს დაკავებული ერთი სახლი. აქ აბანავებენ ცხენებს. ცხენების დაბანვის შემდეგ ეს ბინძური წყალი გამოდის გარედ და ბინძურდება ქუჩა.

საჭიროა ეს საქმე მოგვარდეს.

აქ მუშკორებმა მოისმინეს შემდეგი განცხადება. ვაკეში რამოდენიმე ხნის წინად ოცი წევრისაგან შესდგა საბინაო-საამშენებლო ამხანაგობა.

უკანასკნელ საზოგადოებას სურდა აქ გაეშენებია სახლები და გამშვენიერებია ეს უბანი. მათ აქვთ ამისათვის სათანადო თანხა, მაგრამ სათანადო გეგმის უქონლობის გამო მათ ჯერ-ჯერობით ვერ აძლევენ დასახლების უფლებას.

საჭიროა აღნიშნულ საზოგადოებას მიეცეს საშუალება განაგრძოს აღმშენებლობა სათანადო გეგმით, რათა მან ერთნაირი წვლილი შეიტანოს ვაკეს გამშვენიერებაში. აქ მოკირწყლულია ქუჩები. საერთოდ ვაკეს დიდი გაუმჯობესება ეტყობა.

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უნივერსიტეტიდან წყნეთის მიმართულებით არ არის წყალი, რის გამო ადგილობრივი მუშა-მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან.

ბოლოს ჩვენ დავათვალიერეთ ამხ. ლენინის სახელობის საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა. აქ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა. ამხანაგობა აშენებს მუშათა სახლებს „ფიქრის გორაზე“, საუცხოვო და თვალწარმტაც ადგილას. აღნიშნულ ადგილას (ძირში) არის ბაკი, რომელიც აფერხებს ამ ამხანაგობის ნორმალურ საქმიანობას. ეს ბაკი აღმასკომმა დროზე უნდა დაშალოს.

სასიამოვნოა აქედან გადახედვა. ცხადად მოსჩანს ცალკე მდინარე „ვერა“, შორიდან მოსჩანს კავკასიის მთები და მარად თოვლიანი ყაზბეგი.

აქაური ბუნების სიმშვენიერემ მუშკორები ერთობ წარიტაცა. ჯერ კიდევ მზე არ ჩასულიყო, რომ უხვმა ჩრდილებმა დაფარა ვაკის მიდამოები.

მუშკორები ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ და ნიშნად კმაყოფილებისა მადლობას უძღვნიან ამხ. ქურდიანს. მადლიერი მუშები პატივისცემით გამოემშვიდობნენ მეტად თავაზიან ძველად და ეხლაც საზოგადო მოღვაწეს ამხ. ქურდიანს.

მუშკორები მოითხოვენ, რათა ასეთი ექსკურსიები ხშირად მოეწყოს თბილისში მუშათა უბნებში.

მომავალი ექსკურსია უნდა მოეწყოს ორთაჭალის დასათვალიერებლად.

მადლობის ღირსია აღმასკომი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს მუშკორებს ექსკურსიის ჩასატარებლად და აგზავნის თავის გამოცდილ მუშაკებს ახსნა-განმარტებისათვის. მადლობის ღირსია აგრეთვე ჩვენი რედაქცია ასეთ მნიშვნელოვან ექსკურსიების მოწყობისათვის.

მუშკორი. ი. ჯავახიშვილი.

მტკავარი გვაწუხებს, ან და ტალახი

ორთაჭალის რაიონი (კომუნალური ქუჩა) მოკირწყლულია ქვით მხოლოდ ტყავ-ტრესტის მთავარ სამმართველომდე. ამის იქით ტყავ-ტრესტისავე ფეხსაცმელების ქარხნიდან დაწყებული (კომუნალურ ქ. № 86) დამთავრებული ტყავის და ზეთ-საპნის ქარხნებით არის მიტოვებული სრულიად უპატრონოდ. საკმარისია ერთმა ავტომობილმა გაიქროლოს, რომ მტვერმა მოიცვას რამოდენიმე საათით მთელი მიდამო. ჩვენ ქარხანაში მუშებს რძეს ვასმევთ, რომ მანქანების მტვერმა ავად არ გახადოს. აქ კი ასეთი კორიანტელი დგება მტვრისა. შემოდგომა-გაზაფხულზე, ხომ ვერ გაივლის ადამიანი. ცხვრის ფარა მიდის, თუ მოდის ბითიდან განუწყვეტლივ მთელი კვირაობით აუტანელ მტვერს აყენებს. ახლა მოვა ზამთარი და ეს მტვერი გადაიქცევა ისეთ ტალახათ, რომ გავლაც გაძნელდება.

ამას გარდა ჩვენი ქარხნების ტრანსპორტს უხდება ნავთლუღიდან ციციანოვის დაღმართზე შემოსვლა და ორთაჭალაში მოსვლა წარმოებისათვის დიდი ზარალია. რაშია საქმე? მოგვხედავს თუ არა ჩვენიც აღმასკომის სათანადო განყოფილება? საჭიროა ხიდის შეკეთება დააჩქარონ და ქუჩის მთლიანად თუ არა ზეთ-საპნის ქარხნამდის მაინც მოკირწყლა.

მუშკორი „რისხვა“.

საკლუბო მუშაობის შესახებ

ჩვენმა მუშათა კლუბებმა უკვე მოთავეს წინა ზაფხულო მუშაობა. ამ სეზონში მუშათა კლუბებმა მოგვცეს მიღწევების მთელი რიგი თავის მუშაობაში.

მუშათა კლუბებმა დააკმაყოფილეს ის მოთხოვნილება, რომელიც მდგომარეობს მუშათა მასის კულტურულ ლტოლვაში. მათ შეძლეს ჯანსაღად მისცეს მუშებს სულიერი საზრდო.

მაგრამ საკლუბო მუშაობას ჰქონდა უარყოფითი მხარეებიც, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: არ იყო „ცოცხალი გაზეთი“, ინსცენირობა, ლიტერატურული გასამართლებები და სხვა...

ზაფხულის განმავლობაში მთელი ყურადღება მიქცეული იყო საწრეო მუშაობისათვის, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთმა წრეებმა ვერ მოგვცეს სათანადო შედეგი. მაგალითისათვის ავიღოთ პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული დრამწრე, რომელიც ერთ-ერთ სიამაყეს წარმოადგენდა მუშებისათვის. მან ვერ გამოიღო ისეთი ნაყოფი, რომელსაც მისგან მოელოდნენ მუშები. საქმის შეფერხება გამოწვეული, იყო კინკლაობით და საქმისადმი გულგრილობით.

ამ მხრივ სრული ნდობა და სიმპატია მოიპოვა ორჯონიკიძის სახელობის კლუბთან არსებულმა დრამწრემ, რომლის სეზონური მიმოხილვა კმაყოფილებას იწვევს მუშებში. მან მიიღო გარკვეული სახე დრამატიულ მუშაობაში, მაგრამ საკლუბო მუშაობა მაინც აქაც არ იყო წესიერად ჩამოყალიბებული.

თითქმის ყველა კლუბებში ჰქონდა ადგილი უწესრიგობას, ვიღაც ავარების მხრით.

არ იყო ზოგიერთი კლუბები მოწყობილი ტექნიკურად.

ზოგიერთი კლუბები კი საზაფხულო მუშაობას კინო-სურათების ჩვენებით ათავებდნენ. ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი ასეთ კინოების, მაგრამ თავის დროზეა საჭირო ყველაფერი. თუ, მხოლოდ კინო-სურათებით მომავალ საკლუბო მუშაობას დავივიწყებთ, ეს არ იქნება მიზანშეწონილი.

საჭიროა ზემოაღნიშნული დეფექტების გასწორება მუშათა კლუბებში ზამთრის სეზონის მუშაობის პერიოდში.

მუშკორი რადიუმი.

თქვენი გაზეთის № 37-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით: „ალაგმეთ ბოროტი კაცი“ გაცნობებთ, რომ აღნიშნული მუშა (შავმიაშვილი) იყო მოთავსებული ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მიმოწერა კი გადაეგზავნა მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს.

თქვენი გაზეთის № 23-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით: „ალაგმეთ ჯიბგირები“ გაცნობებთ, რომ რკინისგზის საგანგებო კომისიის მიერ მიღებულია სათანადო ზომები.

პროკურორის მაგიერი კუპრაშვილი.
მდივანი ნადირაძე.

საქართველოს მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატთან არსებული საჩივართა ბიურო თქვენ მიერ გადმოგზავნილ და გაზეთში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაზე გაცნობებთ შემდეგს:

1) გამოქვეყნებული კორესპ. 31/III № 1526 „გორის მაზრაში პროფ. მუშაობა ძალზე მოისუსტებს“.

მუშკორი „ხიკო“.

კორესპონდენცია სიმართლეს შეეფერება. მაზრ-უპროფბიურო გადახალისებულია; მუშაობა გაცხოველებულია.

2) გამოქვეყნებული კორესპ. 25/III № 168 „რას ერჩიან მუშის ოჯახს“.

მუშკორი „მუშა ვარ—ლი“.

ადგილობრივად მოხდენილია გამოკვლევა; კორესპონ. სიმართლეს მოკლებულია.

3) გამოქვეყნებული წერილი 14/VI.

მუშკორი „ქარხნის მუშა“.

ჭრა-კერვის ტრესტში მოწოდებული ცნობები სინამდვილეს მოკლებულია.

საჩივართა ბიუროს გამგე ვალ. გოგიბერიძე.

ეკონომ. საბჭოში

ქაღალდის ქარხანა

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარის ინჟ. ზ. ჭიჭინაძის მოხსენება ქაღალდის ქარხნის ასაშენებელი ადგილის შესახებ. ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის დასკვნის თანახმად, ქაღალდის ქარხნის ასაშენებელ ადგილად არჩეულ იქნა მდ. ენგურის რაიონი.

აბუსალათინის გაშენება

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა ამხ. ა. გეგეჭკორის და ინჟ. ე. ალშიბაიას მოხსენება საქართველოში აბუსალათინის გაშენების შესახებ. საბჭომ საჭიროდ სცნო აბუსალათინის გაშენების მიზანშეწონილობის გამორკვევის მიზნით წარმოებულ იქნეს წინასწარი ცდები.

სესხის განაწილება

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი ა.-კ. 1925—26 წ. ბიუჯეტით გათვალისწინებული გრძელვადიან სესხიდან საქართველოს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა ძირითადი თანხის გასაძლიერებლად გადადებული 158.730 მანეთის განაწილების შესახებ.

სამხრეთ-ოსეთის ტყის მრეწველობა

რადგანაც სამხრეთ-ოსეთის ტყის მრეწველობას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და არ არის შესაძლებლობა მისი ფართოდ განვითარებისა, ეკონომიურმა საბჭომ დაავალა საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმს, სამხრეთ-ოსეთის ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის განვითარებისათვის გადადებულ თანხების ანგარიშში, მოახდინოს სამხრეთ-ოსეთში სამთო საქმის გამოკვლევა, ხოლო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალა შეისწავლოს სამხრეთ-ოსეთის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები.

ნედლი ტყავის ფასები

რადგანაც ნედლ ტყავზე ფასების გადიდება აუცილებლად გამოიწვევს ტყავის პროდუქციის თვითღირებულების აწევას, ს. მ. უ. საბჭოს და ა.-კ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულის (საქართველოში) დასკვნის თანახმად, ნედლ ტყავზე ფასების გადიდება ეკონომიურმა საბჭომ სცნო მიზანშეუწონლად.

საბჭომ დაადგინა ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს გადასინჯოს თავისი 1926 წლის აგვისტოს 18-ის დადგენილება ნედლ ტყავზე ფასების გადიდების შესახებ.

პურეულის ბალანსი

ს. ს. რ. კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით საკავშირო სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან დაარსებულ იქნა პურეულის ბალანსის გამომრკვევი და შემფასებელი საექსპორტო საბჭო.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ მიზანშეწონილად აღიარა აღნიშნული საბჭოს დაარსება საქართველოს ფარგლებშიც, ვინაიდან სამმართველო მოკლე ხანში უნდა შეუდგეს პურეულის ბალანსის შედგენას, რომლის გამოსარკვევად და შესაფასებლად საჭირო არის საქართველოს სტატისტიკის სამმართველოსთან პურეულის გამომრკვევი და შემფასებელი საექსპორტო საბჭოს დაარსება, ამ მოსაზრებით სამმართველომ წარმოადგინა სახალხო კომისართა საბჭოში შესაფერი დადგენილების პროექტი, რომელიც გადაეგზავნა დასკვნისათვის იუსტიციის სახ. კომისარიატს.

იუსტსახკომის მიერ წარმოდგენილ რედაქციით, პროექტი შეთანხმებულია საკავშირო ორგანოს ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო აქტთან იმ განსხვავებით, რომ საექსპერტო საბ. წევ. პიროვნულათ ჩამოთვლის ნაცვლათ დადგენილების პროექტის მუხლი № 2 იძლევა ზოგად წესს საბჭოსშემადგენლობის განსაზღვრის.

„საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე არის საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მმართველი, ხოლო მისი სხვაგან ყოფნის დროს მისი მოადგილე: წევრებს კი რიცხვით 12-ს: ერთს—საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიიდან, ერთს—ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან, ერთს—მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატიდან, ერთს—შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოდან, ორს—სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოდან, სამს — სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ერთს — „ხლებოპროდუქტიდან“ და ერთს — ცეკავშირიდან,—დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო—საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარდგენისამებრ“.

პროექტში სხვა რაიმე არსებითი განსხვავება არ არის შეტანილი.

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან პურეულის ბალანსის გამომკვლევ და შემფასებელ საექსპორტო საბჭოს დაარსების შესახებ დამტკიცებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატის რედაქციით.

პროფკავშირებში

ა. კ. პროფსაბჭოს პლენუმი

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. იაკუბოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 1-ლ ივნისისათვის პროფკავშირთა წევრების რიცხვი ამიერ-კავკასიაში უდრიდა 383.820 კაცს. აქედან სასოფლო-სამეურნეო მუშები—49.703, სამრეწველო—137.188, ტრანსპორტზე მომუშავეები—65.033 და გონებრივი მუშაკები—109.252 კაცი.

მიმდინარე წლის პირველ იანვართან შედარებით პროფკავშირთა წევრების რიცხვი გაიზარდა 22.683 კაცით. პროფკავშირთა წევრების ზრდა უფრო ძლიერია საქართველოში —12 პროც., სომხეთში—4,10 პროც. და აზერბეიჯანში—2,60 პროც. პროფკავშირების წევრთა საერთო რიცხვიდან უმუშევარია 41.400 კაცი.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა მესამე ყრილობის შემდეგ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა, წინეთ რესპუბლიკანური პროფსაბჭოები უშუალოდ ემორჩილებოდნენ სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს. ეხლა კი ყოველგვარი ურთიერთობა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებსა და ს. პ. კ. ც. საბჭოს შორის ხორციელდება ა. კ. პროფსაბჭოს საშუალებით.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმ მუშაობას, რომელიც ჩატარებული იქნა პროფსაბჭოს მიერ პროფმუშაობის ყველა დარგებში. გამოკვლეული იქნა პროფმუშაობა კერძო წარმოებებში, მომზადებულია ნიადაგი ხარჯთაღრიცხვაზე გადასასვლელად, გამოკვლეულია შავი ზღვის რკინის გზის გაყვანაზე მომუშავეთა შრომის პირობები, ჩატარებულია საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების გადარჩევის და კოლექტიური ხელშეკრულებების ხელახალი დადების კამპანია და სხვა.

ზაფხულის განმავლობაში ჩატარებული იქნა დიდი მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსიების მოსაწყობად. რკინის გზის სამმართველოდან მიღებული იქნა 6.000 შეღავათიანი ბილეთი, რომლებიც გაუნაწილდა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა დახმარების კამპანიების ჩატარება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუშა-მოსამსახურეთა შორის, კამპანიის დაწყებიდან პირველ სექტემბრამდე გაფიცულთა სასარგებლოდ შეგროვილი იქნა 196.089 მანეთი.

ა.-კ. პროფსაბჭომ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე „ინდო“-ს გაფიცულ მუშათა დახმარების საქმეში. ამიერ-კავკასიაში გაფიცულია 127 მუშა. დახმარება ეძლევათ: ცოლშვილიანებს—3 მანეთი, მარტოხელებს—2 მანეთი.

ქიმიკოსების კულტკონფერენცია

დასრულდა ქიმიკოსების კავშირის კულტკონფერენცია, გადაწყდა მომავალ ზამთრის პერიოდში საქართველოს ქიმიურ მრეწველობის ყველა საწარმოებში მთავარი ყურადღება მიექცეს წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას, წითელი კუთხეების მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესებას, კავშირისა და საწარმოთა სამკითხველოებში გაზეთის ხმა მაღლა კითხვის მოწყობას და აგრეთვე მოძრავ კინოების მუშაობის გაძლიერებას. გადაწყდა აგრეთვე კულტმუშაობაში მიიზიდონ მუშათა ოჯახებიც.

პროფმუშაობის ქრონიკა

თელავის სამპროფბიუროში

— **უმუშევართა კოლექტივებისათვის.** თელავის სამპროფბიურომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს პროფსაბჭოსთან და შრომის სახალხო კომისარიატთან, რათა უმუშევართა კოლექტივის საჭიროებისათვის გაღებული იქნეს საჭირო თანხა.

— **ფეხბურთელთა წრის დასაარსებლად.** თელავის სამპროფბიურომ დაადგინა, რომ კავშირებმა დაარსონ ფეხბურთელთა გუნდები. თუ თითოეულ კავშირში ფეხბურთელთა გუნდის საკმაო მონაწილე არ მოიძებნება, იმ შემთხვევაში, შესაძლებელია რამოდენიმე კავშირებმა ერთი გუნდი დაარსონ.

— **კინო-სექციის დაარსება.** დუშეთის სამპროფბიუროსთან კინო-სექცია დაარსდა ხუთი კაცის შემადგენლობით.

— **უმუშევართა კოლექტივის სასადილო.** დუშეთის სამპროფბიურომ მოისმინა სამპროფბიუროს თავმჯდომარის ამხ. ოსიტაშვილის მოხსენება უმუშევართა კოლექტივის სასადილოს შესახებ მან აღნიშნა, რომ სასადილო იაფ ფასებში აწვდის მუშა-მოსამსახურეებს სადილს და ამიტომ მისი არსებობა საჭიროა. დაევალა სამპროფბიუროს სარევიზიო კომისიას გამოიკვლიოს სასადილოს ფინანსიური მდგომარეობა.

წითელ ჯარში

1904 წელში დაბადებულთა გაწვევა

გამწვევი კომისიების მუშაობა

თბილისში ამჟამად მუშაობს მთავარი გამწვევი კომისია თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე.

ყოველდღიურათ კომისია ამოწმებს ასამდე ახალგაზრდას. კომისიების მუშაობა ძალიან რთულია: იგი იხილავს გაწვეულის პირად საქმეს, საშეღავათო საბუთებს, ამოწმებს გაწვეულის ჯანმრთელობას და გამოაქვს ესა თუ ის დასკვნა მაშინვე.

თბილისის ახალგაზრდობა უკლებლივ ცხადდება გაწვევაზე, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა დამალვის, სიმულიანტობის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალგაზრდობა მიდის ჯარში სრულის შეგნებით, სიხარულით. ყველა გაწვეულს კარგათ აქვს წარმოდგენილი წითელი ყაზარმის ცხოვრების და მუშაობის პირობები.

გაწვევა თბილისის მაზრაში

თბილისის მაზრაში მუშაობს დამატებითი გამწვევი კომისია, რომელიც უკვე გაემგზავრა გარე-კახეთის რაიონში. გაწვევა აღნიშნულ რაიონში დაიწყო 4 ოქტომბერს, სართიჭალის თემაღმასკომის შესაკრებ პუნქტზე..

აქ ცხადდებიან მცხოვრებნი სართიჭალის, მარტყოფისა, გომბორისა და საგარეჯოს თემების.

აქედან კომისია გაემგზავრება მანგლისში,სადაც დაჰყოფს 11—16 ოქტომბრამდე. მანგლისში ცხადდებიან მცხოვრებნი მანგლისის, ალბულახის და წალკის რაიონების.

ნამდვილ სამხედრო სამსახურში მიღების წესი

ნამდვილ სამხედრო სამსახურში მიღებულ მოქალაქეთა განწესება მუშურ-გლეხური წითელ-არმიის ნაწილების კადრის შემადგენლობაში, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ან იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვში, რომლებიც გადიან სწავლებას ჯარის გარეშე მომზადების წესით, სწარმოებს გამწვევი კომისიების მიერ საექიმოშემოწმებასთან ერთად.

მუშურ-გლეხური წითელ-არმიის კადრის შემადგენლობაში იგზავნებიან პირველ რიგში ის გაწვეულები, რომლებიც ცნობილნი არიან სავსებით სავარგისად და არ სარგებლობენ შეღავათის უფლებით ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით.

ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში პირველ რიგში ირიცხებიან სავსებით სავარგისად ცნობილნი, მხოლოდ ვისაც აქვთ შეღავათის უფლება.

სამხედრო მოსამსახურეთა იმ კატეგორიაში, რომლებიც გადიან ჯარის გარეშე სწავლებას, ჩაირიცხება ყველა დანარჩენნი, მუშურ-გლეხური წითელ არმიის ნაწილთა კადრის შემადგენლობისა და ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობის განწესებათა შევსების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოქსერასთან ბრძოლა

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული თეზისები ამ.-კავკასიაში ფილოქსერისა და ვაზის ფილოქსერის წინააღმდეგ გამძლეობის შესწავლის საქმის შესახებ.

საჭიროდ იქნა მიჩნეული ამიერ-კავკასიაში 6 სტაციონალური დაკვირვების პუნქტის დაარსება, სახელდობრ აღმოსავლეთ საქართველოში:—თელიანში (კახეთი), დასავლეთ საქართველოში—ამბროლაურში (რაჭა), აფხაზეთში—ფსირცხაში (ახალი ათონის საბჭ. მეურნეობის რაიონში), აზერბეიჯანში—გრიუნფელდში (ყაზახის მაზრა) და ორი პუნქტი სომხეთში—ერევნის და იჯევანის რაიონებში.

თვითეული სადგურის მოწყობა 1926—27 წ. გამოანგარიშებულია 10.000 მან. ფარგლებში. მთელი ეს ხარჯები—60.000 მან. რაოდენობით, გაწეული იქნება საერთო-საკავშირო ბიუჯეტის მიხედვით.

აუცილებლად იქნა აგრეთვე აღიარებული მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელი სადგურების დაარსება აზერბეიჯანსა და სომხეთში და საჭარის და კახეთის საცდელ სადგურების სახელმწიფო ბიუჯეტზე გადატანა.

წელიწადში ერთხელ მაინც მოწვეულ უნდა იქნეს საგეგმო კომისიების, მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატების წარმომადგენლებისა და მევენახეობის საცდელ სადგურების და ფილოქსერის დამკვირვებელ პუნქტების გამგეების თათბირი. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო აგრონომიულ ინსტიტუტის წარმომადგენლები და სპეციალისტები.

ეს დადგენილება გაეგზავნა ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას შრომისა და თავდაცვის საბჭოში წარსადგენად.

თევზაობის მოწესრიგება

ამ.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო საკავშირო საგეგმო კომისიის მიერ საბჭოთა კავშირში თევზაობის მოსაწესრიგებლად შემუშავებული საერთო დებულებების პროექტი. ამ.-კავკასიის საგეგმო კომისიას დაევალა დამატებით დაამუშაოს იგივე საკითხი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მეთევზეობის საკავშირო კომიტეტსა და საკავშირო რესპუბლიკების სახ. კომისარიატებს შორის ურთიერთობის შესახებ არსებულ პუნქტებს და აგრეთვე კომიტეტის უფლებათა და ფუნქციების მოცულობას.

ხიდი არაგვზე

დუშეთის მაზრის სოფ. სნოს მცხოვრებლებმა თავისი ინიციატივით და თემის საბჭოს ხელმძღვანელობით, აგრეთვე სამაზრო აღმასკომის დახმარებით დაიწყეს შუა არაგვზე რკინის ხიდის გაყვანა, რომელსაც ექნება 15 საჟენი სიგრძე.

ხიდს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ყაზბეგის რაიონისა და მთელი ფუდამაყის ხეობისათვის. ჩვეულებრივად წყალდიდობის დროს სნოვის ხეობის მოსახლეობა დიდი ხნით წყდება სამაზრო ცენტრს. ფონად გასვლის დროს მდინარეში არა ერთხელ იყო შემთხვევა ადამიანის დახრჩობისა და საქონლის დაღუპვის.

ვენახების აღდგენა

მომავალი წლის განმავლობაში განზრახულია ფართოდ შეუდგენ ვენახების აღდგენის საქმეს დასავლეთ საქართველოში. ამ მიზნით განზრახულია გაფართოებულ იქნეს საჭარის მევენახეობა-მეღვინეობის სადგური.

აღნიშნული სადგურის მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში დამყნობილ იქნა: 79.070 ცალი „ციცკა", 6071 „კრახუნა", 23.183 „ცოლიკოური", 9.140—„რქაწითელი" და 18.675 „საფერავი". სულ 190.770 ცალი ვაზი.

სადგურმა გააშენა აგრეთვე ადგილობრივი ჯიშის ვაზის ამპელოგრაფიული (ჯიშების შესასწავლი) ვენახი, სადაც დარგულია 41 სხვადასხვა ჯიშის ვაზი 9.026 ცალის რაოდენობით.

სას.-სამ. სასწავლებელი
ახალციხეში

ახალციხის მაზრის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ხსენებულ აღმასკომს გადაეცეს ის შენობა, რომელიც ამჟამად უკავია ახალციხის სატყეოს. ამ სახლში მაზრაღმასკომს განზრახული აქვს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მოთავსება.

გურიის აბრეშუმის ფაბრიკა

4 ოქტომბერს აამუშავეს გურიაში პირველი აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა. ფაბრიკის გახსნის წინა დღეს ადგილობრივი ადმინისტრაციისა და პარტ. პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლების, მრავალ რიცხვოვანი ხალხისა და 150 ახლად მიღებული მუშებისა და ორასი კანდიდატის თანდასწრებით—ფაბრიკის დირექტორმა ამხ. სპ. ჩომახიძემ წაიკითხა ლექცია. მან აუხსნა მუშა-ქალებს აბრეშუმის პარკის ამოხვევის ტეხნიკა.

ლექტორი დაწვრილებით შეჩერდა გადამუშავების მომენტებზე: ხარისხებათ დაყოფაზე, პარკის მოხარშვაზე, ძაფის ბოლოს მოძებნაზე და სხ. დაათვალიერეს აგრეთვე მექანიზმი აბრეშუმის პარკის სახარში აპარატისა. ნაჩვენები იყო ძაფის დახვევა დაზგებზე. მანქანების არის იტალიური სისტემის, რომელსაც ჯერ გურიაში არავინ იცნობს. 78 ტასტიდან პირველ დღეს აამუშავეს 18 ტასტი. მეორე დღეს 18 ტასტი და 7 ოქტომბრიდან ფაბრიკა დაიწყებს მუშაობას ყველა 12 ტასტის საშუალებით.

რკინის გზებზე

უბნის ექიმთა ყრილობა

დღეს, თბილისში გაიხსნება თბილისის კვანძის რკ.-გზ. ექიმთა ყრილობა, რკ.-გზ. პროფკავშირის, საგზაო დამზღვევ სალაროს, საუბნო სალაროს, მედსანშრომის კავშირის ცენტრალურ გამგეობის, რკ.-გზ. შრომის ინსპექციის და რკ.-გზ. ადგილკომების მუშაკთა მონაწილეობით. ყრილობის დღის წესრიგის უმთავრესი საგანია სამბულატორიო წამლობის და ავადმყოფთა ბინაზე წამლობის რეორგანიზაციის საკითხი. ამას გარდა ყრილობა დაამუშავებს ახალ წესებს სიმულიაციასთან საბრძოლველად.

ჯილდოების გაუქმება

ა.-კ. რკ.-გზ. სამმართველომ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით უქმდება საქონლის სადგურებზე მუშაობისათვის ჯილდოების გაცემა.

ასეთი ჯილდოების გაცემა შეწყვეტილია ა.-წ. 1-ლ ოქტომბრიდან.

ლიტერატურის შეძენა

ა.-კ. რკინისგზელთა საგზაო კომიტეტმა გამოჰყო სპეციალური მუდმივი ფონდი რკ.-გზ. კლუბებისა და სამკითხველოებისათვის ლიტერატურის შესაძენათ.

ახალი სახლი

რკ.-გზ. საბინაო დამხმარე ამხანაგობა ახლო ხანში შეუდგება 2 სართულიან, 12 ბინიან სახლის აგებას ბაქოში.

დასასვენებელ სახლების დახურვა

1-ლ ოქტომბრიდან ა.-კ. რკ.-გზ. დამზღვევ სალარომ დახურა მის განკარგულებაში მყოფი დასასვენებელი სახლები.

სპეც-ტანისამოსი

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველომ გამოიმუშავა ახალი ინსტრუქცია სპეცტანსაცმელების დამზადების და გაცემის შესახებ. ახალი ინსტრუქციის ძალით სპეც-ტანსაცმელებზე მოთხოვნილება უნდა წარედგინოს რკ. გზ. სამასალო დარვს სხვადასხვა განყოფილებებისაგან ყოველწლიურად არა უგვიანეს 15 ივლისისა. სამასალო სამსახური წინასწარ უდგება ტანისამოსის დამზადებას. ამზადებს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების საშუალებით. დამზადებული სპეც ტანისამოსი განაწილდება სამსახურზე 1-ლ ოქტომბრისათვის. სპეცტანისამოსის განაწილებას ახალი ინსტრუქციის ძალით აწარმოებს საგზაო მომწესრიგებელი ბიუროს, საგზაო კომიტეტის, შრომის ინსპექციის და დარგების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია.

ახალი ინსტრუქციით მცირდება ზოგიერთ სპეც-ტანისამოსის ტარების ვადა. იგი გადადის მუშა-მოსამსახურის საკუთრებათ ტარების ვადის გასვლის შემდეგ.

სამუშაოდან დათხოვნის დროს მუშა-მოსამსახური ვალდებულია ჩააბაროს ადმინისტრაციას ხმარებული სპეც-ტანისამოსი.

ინსტრუქცია შესათანხმებლად გადაეცა ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირს.

ახალი რკინისგზები

რკინის გზების ქსელი საქართველოში უდრის 864 ვერსს. ეს ქსელი, რომელიც ნახევრად დანგრეული ჩაიბარა საბჭოთა ხელისუფლებამ, სავსებით აღდგენილი იქნა უკანასკნელ წლებში.

ამას გარდა, საქართველოს რკინის გზებს მიემატა ნატანებ-ოზურგეთის შტო 18 ვერსის სიგრძით.

უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოსთვის შავი ზღვის რკინის გზას. მუშაობა ამ გზის გასაყვანად, რომელიც მიტოვებული იქნა 1914 წელში, განახლდა შარშან. შავი ზღვის რკინის გზის საერთო სიგრძე იქნება 329 ვერსი.

ამჟამად გახსნილია მოძრაობა ახალსენაკიდან ზუგდიდამდე (40 ვერსი). დახარჯულია 1.700.000 მანეთი. შავი ზღვის რკინისგზა სავსებით დამთავრებული იქნება 1930 წელში.

უახლოეს წლებში განზრახულია მთელი რიგი ადგილობრივი მნიშვნელობის რკინისგზების გაყვანა.

პირველ რიგში განზრახულია ოზურგეთ-ჩოხატაურის შტოს გაყვანა 27 ვერსის მანძილზე. ეს შტო იქნება ნატანებ-ოზურგეთის ხაზის გაგრძელება და გაივლის გურიის შუა გულში. მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება გურიის მდიდარი ტყეების დამუშავება. შტოს გაყვანა დაჯდება 2 მილ. მანეთი.

განზრახულია აგრეთვე გაყვანილი იქნეს რკინისგზის შტო ზუგდიდიდან ჯვარამდე. ეს გზა გაივლის ზუგდიდის მაზრაში, აფხაზეთში და სვანეთში. მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმ მხრივ, რომ მისი საშუალებით გაადვილდება სვანეთის ტყეების და ტყვარჩელის ქვა-ნახშირის დამუშავება.

ამ გზის გაყვანა დაჯდება 1.650.000 მანეთი.

აღმოსავლეთ საქართველოში პირველ რიგში განზრახულია გაყვანილი იქნეს რკინის გზა გორიდან ცხინვალამდე (37 ვერსი). გზის გაყვანა დაჯდება 2.700.000 მანეთი.

ქრონიკა

ამ.-კავკასიის საკონცესიო კომისიის შემადგენლობა

ამ.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს 1925 წ. 14 მაისის დადგენილების შესაცვლელად, დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის საკონცესიო კომისიის შემდეგი შემადგენლობა: ამხ. ელიავა (თავმჯდომარე), გაჯინსკი (თავმჯდომარის მოადგილე), ვაშაძე, კარკლინი, გენკინი, ბუნიათზადე, ბალიანი, ლაკობა, ბაგდატიევი.

დატვირთვის და განტვირთვის მოწესრიგება

ამ.-კავკასიის რკინისგზაზე დასატვირთ და განსატვირთ სამუშაოთა მომწესრიგებელ ღონისძიებათა შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილების ცხოვრებაში გატარება ამ.-კავკასიის სახკომსაბჭომ დაავალა განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც შედიან ამხ. ამხ. ხუმარიანი, იაკუბოვი, იაშვილი, სეროპიანი და ასლანოვი.

თბ. აღმასკომში

— **დაზღვევა.** პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ოჯახის უზრუნველსაყოფად მოახდინოს მილიციის თანამშრომელთა ინდივიდუალური დაზღვევა.

— **წყალსადენს** გადაეცა 16.000 მან. ახალი ხელსაწყოების შესაძენად.

— **ელექტრონის მომწესრიგებელ** სამმართველოს გადაეცა 17 ათასი მანეთი ბინებზე ზაჰესის ენერგიის გასაყვანად.

— **ჯარში გაწვეულთა შესახებ.** ყველა სასწავლებლების გამგეებს წინადადება მისცა განათლების კომისარიატმა, რომ 1904 წელში დაბადებულნი არ იქნენ დაშვებული სკოლაში. თუ მათ არ ექნებათ სათანადო მოწმობები გაცემული სამხ. კომისარიატისაგან.

სოც. დაზღვევა

— **დასაზღვევი ფული.** სექტემბერში თბ. დამზღვევმა სალარომ დაწესებულებებიდან აიღო 307.193 მანეთი.

—**კომისიის არჩევა.** თბ. აღმასკომმა აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო დაამუშაოს საკითხი ზაჰესის ყოფ. მუშების უმუშევრობისაგან დაზღვევის შესახებ.

— **შრომის კოლექტივები,** რომლებიც არ იმყოფებიან შრომის კომისარიატის და შრომის ბირჟის გამგებლობის ქვეშ, იხდიან დასაზღვევ გადასახადს.

კოოპერატივი

— **სესხი.** მუშკოოპის გამგეობა ახლო მომავალში შეუდგება მუშებისათვის საქონლის ნისიად გაცემას.

— **შუშეულობის მაღაზია.** ამ დღეებში პუშკინის ქუჩაზე იხსნება მუშკოოპის შუშეულობის მაღაზია.

— **მუშკოოპის გამგეობამ** გადასწყვიტა ოლთაიდელის პროსპექტზე, მუშკოოპის პასაჟში გახსნას შეკერილ ტანსაცმლების განყოფილება.

სხვადასხვა

— **ქართველ ექიმთა საზოგადოება** დღეს, 7 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში მართავს არქეოლოგ პოღორაძის მოხსენებას: „პირველყოფილი ადამიანის გაქვავებული ტვინის შესახებ". გაქვავებული ტვინი ნაპოვნია ოდინცოვოში და იწვევს დიდ ინტერესს მეცნიერულ წრეებში, რადგან ეს პირველი აღმოჩენაა მთელს მსოფლიოში. მოხსენების შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

—**უცხოელთა აღრიცხვა.** შინაგან საქმეთა კომისარიატის უცხოეთის განყოფილება შეუდგა თბილისში მცხოვრებ უცხოელთა აღრიცხვას.

— **წყალთა მეურნეობის** სამმართველომ ტირიფონის არხის გასაყვანად გადასდო 250.000 მანეთი.

ჩუბარებელი დეპეშები

ცაგერიდან—დედიაშვილს, აღესიდან—მელუზა, სამტრედიიდან—შანიძე, თბილისიდან—ბელიაევს, მოსკოვიდან—ხვორიკინს, ლენინგრადიდან—ფაბრიკა „პრიდონს", ბაქოდან—ხესინს, მოსკოვიდან—ტარაბეევს, ლეძაძმიდან ბურაძეს, ცხინვალიდან—ტოპაძეს, ბარაბინსკიდან—ანიევს, რუსკოკრასკიდან—დავლიშვილს, კარალუგიდან—გოლინსკის, გომიდან—აბულიანცს, ლენინაკანიდან—შახაზაროვს, შამხორიდან—ანტონენკოს, ელენინოდან—არუტინიანს.

კანცგამგე გერმანაშვილი.

შემთხვევები

ნივთების პოვნა

6 ოქტომბერს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლების მიერ დაპატიმრებულ იქნა ქალაქს გარეთ ორი კაცი, რომლებიც იყოფდენ ერთმანეთში ნივთებს, გაჩხრეკის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ ჰქონდა ერთი სავსე სამოვარო ყუთი აბრეშუმეულობით და ქალის ნივთებით.

სთხოვენ პატრონს გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში, ოთახი № 14.

— **ყაჩაღების შეპყრობა.** ყარაიაზის მილიციამ შეიპყრო ყაჩაღები განი მახმუდ-ოღლი და კასიმ ოღლი.

— **დაჭრა.** 4 ოქტ. ყარაიაზში გ. სირეკიძემ თოფით მძიმედ დაჭრა მწყემსი ამად ყარა ოღლი.

— **თავდასხმა.** 4 ოქტ. ყარაიაზის თემში ყაჩაღებმა გაძარცვეს მოქ. არშაკ ხანჯარიძე.

— **სახაზინო ფული.** 5 ოქტომბ. ატენის ქუჩაზე გაძარცვეს ფოსტალიონი გ. სამხარაძე. წაიღეს 2.620 მან.

— **ქალის მოტაცება.** ერწოს თემში ანდრო ბექაურს თავს დაესხენ უცნობი პირები ცოლის მოსატაცებლად, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

— **შეპყრობა.** 6 ოქტ. ქურდობისათვის შეიპყრეს ი. ქსოვიელი.

— **ქურდობა.** ცენტრ. ბაზარში გაქურდეს მანუკ არუთინოვის სავაჭრო..

— ამავე დღეს ყარაიაზში სოლომონ ჯოშიშვილს მოპარეს 122 მ. ნივთები.

ხელოვნება

თბილისის მუშათა თეატრის სეზონის გახსნა

ბაქოს და თბილისის მუშათა თეატრების ხელმძღვანელის ამხ. პესიმისტის (ვლ. შვეცერ) განცხადებით, თბილისის მუშათა თეატრის სეზონი გაიხსნება 15 ოქტომბერს ბილ-ბელიცერკოვსკის პიესით—„გრიგალი".

ეს საბჭოთა დრამატურგის ყველაზე უფრო დიდი ნაწარმოებია და იგი დიდი პოპულიარობით სარგებლობს მოსკოვის მუშებში. რომლებიც ყოველთვის მრავლად ესწრებიან „გრიგალი"-ს წარმოდგენას. პირველად „გრიგალი" ნაჩვენები იყო მოსკოვის პროფსაბჭოს თეატრში. 16 ოქტომბერს წავა მეორე პრემიერა—„დათვური ქორწინება".

პიესა იდგმება ერთგვარი კინო-მონტაჟის სახით, რომელიც დამყარებულია დეკორატიული ნაწილების მოძრაობაზე. თეატრის შემდეგი პრემიერა—„როზიტა".

შემდეგ „ზოიკინის ბინა" და „იდიოტი" დოსტოევსკის ნაწარმოების მიხედვით.

წარმოდგენების გაცვლა-გამოცვლის წესით, თბილისში დადგმული „როზიტა" ნაჩვენები იქნება ბაქოში, ბაქოდან კი ვს. მეიერხოლდის თეატრის რეჟისორის—ვ. ფიოდოროვის მიერ ჩამოტანილი იქნება ტრეტიაკოვის ცნობილი პიესა—„იღრიალე ჩინეთო".

კლასიკური რუსული თეატრის რეპერტუარიდან ნოემბრის ბოლო რიცხვებში ნაჩვენები იქნება ბაქოში, ბაქოდან კი ვს. მეიერხოლდის ორი პესიმისტი, მხატვარი—შლეპიანოვი).

ეხლა სწარმოებს გაძლიერებული რეპეტიციები და წარმოდგენების მონტაჟი.

ამ დღეებში გამოშვებული იქნება პირველი აბონემენტი პროფკავშირების წევრთათვის, რომელიც საშუალებას აძლევს მშრომელ მაყურებელს დაუკავშირდეს თეატრს. ამას გარდა, მაყურებლის შესწავლის მიზნით, გამომუშავებულია მთელი რიგი ანკეტები.

ხელოვნების ქრონიკა

— **„ხაჯი მურატი".** რეჟ. წუწუნავა ახლო ხანში შეუდგება „ხაჯი მურატის" გადაღებას.

— **„ბელა".** რეჟ. ბარსკიმ დაასრულა „ბელა"-ს გადაღება.

— **მომღერალი ანდღულაძე** მოსკოვში გამგზავრების გამო, დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გამართავს გამოსათხოვარ საღამოს.

— **ქართული სატირის თეატრი** წელს თავის წარმოდგენებს გამართავს ყველა მუშათა კლუბებში.

— **მუშათა თეატრის** რუსული დრამის სეზონი გაიხსნება 10 ოქტ. ბელიცერკოვსკის პიესა „ქარიშხალი"-თ.

— **ოპერის სეზონში** დაიდგმება ახალი ოპერა „ტუოანდოტი".

— **„ჩვენი დროის გმირები"**-ს ჩვენება დაიწყება ნოემბრის შუა რიცხვებში.

სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

5 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე სასამართლომ მოისმინა ექსპერტების დასკვნა მთელ რიგ კითხვებზე.

ექსპერტების დასკვნიდან ირკვევა, რომ ბრალდებულებმა 15.000 მანეთის ზარალი მიაყენეს რკინისგზას. ამ თანხიდან ბრალდებულმა თოფურიამ მიითვისა 2.565 მანეთი, ბასილაშვილმა—1.454 მანეთი, თევზაძემ—2.899 მანეთი, დოლიძემ—684 მან. და ქავთარაძემ—7.457 მანეთი.

საბრალმდებლო ნაწილის წარმომადგენლებმა შუამდგომლობა აღძრეს სასამართლოს წინაშე, რომ შეცვლილი იქნას სოციალური ღონისძიება აღნიშნულ პირების მიმართ, რადგან ზოგიერთები ეხლა თავისუფალი არიან. სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა მხოლოდ დოლიძის და ქავთარაძის მიმართ, რომლებიც დაპატიმრებული იქნენ.

გუშინ დილის სხდომაზე გრძელდებოდა ექსპერტების მიერ პასუხის გაცემა შეკითხვებზე. ამასთანავე დამატებით დაკითხული იქნა ერთი მოწმე.

პავლე მეგრელაძის საქმე

დღეს ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში გაირჩევა პავლე მეგრელაძის საქმე.

მას ბრალი ედებოდა იმაში, რომ იჯარით აღებული ჰქონდა რა 19 თებერვლის ქუჩაზე სასტუმრო „კახეთი", ამავე სასტუმროში აყვანილი ყავდა მეძავი ქალები.

მკვლელობა

1926 წლის 11 მაისს გერასიმე ნასიბოვი და ოგანეზ ვართანოვი მიპატიჟებული იყვნენ საქეიფოდ ქურდ ქალის—თამარა მასკალიდინას (ზეგვე მეშკოვა) მიერ სამიკიტნოში, სადაც სვეს ღვინო ნაშუაღამევის 3 საათამდე.

მასკალიდინას ქალის ნახარჯი ფულის გადახდის შემდეგ, მისი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, ნასიბოვმა და ვართანოვმა წინასწარი ერთმანეთთან მოლაპარაკებით და შეთანხმებით წაიყვანეს მასკალიდინას ქალი ვერის გასავალში, სადაც წაართვეს მას ფულად 160 მანეთი და შემდეგ ორთავემ ერთად მიაყენეს მას 14 ჭრილობა დანით, რის გამო უკანასკნელი გარდაიცვალა.

საქმე გაირჩევა 11 ოქტომბერს ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში.

გამოწვეულია 10 მოწმე.

—ამბერკი პავლეს ძე კაციტაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ჩვენი გაზეთის 5 ოქტომბრის ნომერში სასამართლოს ანგარიშში მოთავსებული ცნობა ბრალდებულ ამბერკი კაციტაძეს შესახებ, მას არ ეხება.

მეცნიერება და ტეხნიკა

ადამიანის სხეული და ამინდი

ყველამ კარგად იცის, რომ ამინდს ადამიანზე უდიდესი გავლენა აქვს. ალბათ ყველას თავის თავზე ექნება გამოცდილი, რომ ცივ და მშრალ ამინდში თავს კარგად გრძნობს, სწრაფად მოძრაობს, გონება ენერგიულად მუშაობს. სიცხეში კი მთელი სხეული მოდუნებულია, ადამიანს არაფრის გაკეთება არ უნდა, ტვინი სუსტად მუშაობს. მეცნიერებას ძლიერ ცოტა ცნობები მოეპოვებოდა იმის შესახებ, თუ რატომ აქვს ამინდს ასეთი გავლენა ორგანიზმზე. ამის მიზეზია ის, რომ შეუძლებელია ხელოვნურათ შექმნა ისეთი პირობების, რომლებიც საჭიროა შესაფერი ცდების და დაკვირვებების მოსახდენათ.

ამჟამად ბალტიმორაში (ამერიკა) პროფესორ-ფსიქოლოგის ხაუმნეს თაოსნობით მოეწყო ლაბორატორია, რომელიც აწარმოებს ადამიანზე ამინდის გავლენის შესწავლას. ამ ლაბორატორიის ეწოდება „ამინდის ფაბრიკა" და ჯერჯერობით ერთად ერთია დედამიწაზე. „ამინდის ფაბრიკას" მას უწოდებენ იმიტომ, რომ ლაბორატორიაში არის შენობა, სადაც სურვილისამებრ შეიძლება, როგორც ცხელი ზაფხულის, ისე სუსხიანი ზამთრის მოწყობა. ახერხებენ ამას მთელ რიგ სათბობ და საგრილებელ მილების სისტემის და წყალის შხეფების საშუალებით. ადამიანი, რომელზეც ახდენენ გამოცდას, შედის ამ ოთახში და სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში ასრულებს განკარგულებებს, რომელსაც მას აძლევენ. იმის გამოსარკვევათ, თუ რომელი ამინდია უფრო ხელსაყრელი გონებრივი მუშაობისათვის, მას აძლევენ მათემატიკურ ამოცანებს და სისწორით აღნიშნავენ მათი შესრულების ვადას. განსაკუთრებულ მოწყობილობათა საშუალებით არკვევენ კუნთების დაჭიმულობას, ნერვიული სისტემის გაღიზიანებას და მუშაობის გამო დაღალვის მომენტს.

მიუხედავათ იმისა, რომ ლაბორატორია დიდი ხანი არ არის, რაც მუშაობს, მისი დაკვირვებების საფუძველზე მაინც შეიქნა შესაძლებელი ზოგიერთი დასკვნების გაკეთება. პირველ ყოვლისა აღმოჩნდა, რომ ცხელი ამინდის ატანა ძნელია არა მარტო იმიტომ, რომ ცხელი ჰაერი ხელს უშლის ჩვენი სხეულის ორთქლებს და ამით ადიდებს მის თბილებას, არამედ იმიტომაც, რომ გულის ცემა ხშირდება. ადამიანს, რომელზედაც ახდენდენ ცდას, მაჯისცემა ნორმალური 70-დან უდიდდებოდა 135-დი წუთში, როცა მას ათავსებდენ ოთახში, სადაც 45 გრადუსი სითბო იყო.

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მსუქნები, წინააღმდეგ გავრცელებული შეხედულებისა, უფრო იტანენ სიცხეს, ვიდრე გამხდრები.

სისხლის მიმოქცევის სისწრაფე

ქ. ბოსტონის საავადმყოფოში მომუშავე ორი ამერიკელი ექიმის შრომის წყალობით შესაძლებელი შეიქნა სისწორით გამორკვევა იმისა, თუ რა სისწრაფით მოძრაობს სისხლი ორგანიზმში.

ეს აღმოჩენა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი საშუალებით გაცილებით ადვილია სხვადასხვა ავადმყოფობათა. განსაკუთრებით გულის ავადმყოფობათა გამორკვევა.

ამ მეთოდის თანახმად. მარცხენა ხელის ვენაში უშხაპუნებენ რადიუმის სუსტ ხსნილს, რომელიც მიაქვს სისხლის ნაკადს და მასთან ერთად მოგზაურობს ორგანიზმში.

სპეციალური მოწყობილობის—ელექტროსკოპის საშუალებით არკვევენ რადიუმის დაბრუნებას შეშხაპუნების ადგილას. ნორმალური ადამიანის ორგანიზმში სისხლის სრულ მიმოქცევას (ერთი წრის დასრულებას) უნდა 15—22 წამი; ავადმყოფი ადამიანის ორგანიზმში კი სისხლის მიმოქცევა უფრო ნელა ხდება—46—60 წამის განმავლობაში.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ბინის რემონტის შესახებ

კითხვა

ვმსახურობ ა.-კ. რკინის გზაზედ სად. თბილისში. ვარ ა.-კ. რკინისგზის პროფკავშირის წევრი წიგნაკის № 13253. ვცხოვრობ გოგოლევის ქუჩაზედ № 52 მე-10 უბანში. მიჭირავს ერთი ოთახი ქვედა სართულში 49 კვ. არშინი. ოთახის ზედა ჰერი ჩამონგრეულია სახურავი, ოთახის ერთი კედელი შესაკეთებელია. ამის შესახებ რამოდენიმეჯერ მივმართე სახლის პატრონს, რომელმაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ გააკეთა. მე იძულებული გავხდი გამეკეთებინა ჩემ ხარჯზედ.

გეკითხებით: მაქვს თუ არა უფლება ოთახის შეკეთებაში დახარჯული ფული გამოუქვითო სახლის პატრონს ოთახის ქირიდან. ვალდებული ვარ თუ არა ნაგვის გადასახადი გადავიხადო?

ისიდორე გოგობერიძე.

პასუხი

სახლის სახურავის და დანგრეული ჰერ-კედლების შეკეთება წარმოადგენს კაპიტალურ რემონტს და თანახმად ქალ. აღმასკომის 1925 წ. 31 ივლისის დადგენილება № 88-ისა, ასეთი რემონტი უნდა გაეკეთებინა სახლის პატრონს. თუ კი მან ასეთი არ შეაკეთა, გაქვთ უფლება გამოუქვითოთ ბინის ქირიდან თქვენ მიერ რემონტზე დახარჯული ფული. ნაგავი თავის ხარჯზე უნდა გაიტანოს თვით სახლის პატრონმა.

მერგება თუ არა წარსულ დროის პენსია

კითხვა

მე ვარ შრომის ინვალიდი, რომელსაც დანიშნული მქონდა პენსია.—მაგრამ ზუგდიდის სალარომ დაზღვევიდან მომხსნა. დამზღვევ სალაროს დადგენილების გასაჩივრების შემდეგ საქმის გამოკვლევამ გასტანა 8—9 თვე, რის შემდეგ რ. ს. დ. სამმართველომ კვლავ აღმადგინა ხოლო არა პენსიის გაცემის შეჩერების დღიდან, არამედ 15 ამა სექტემბრიდან.

გთხოვთ განმარტებას, მერგება თუ არა პენსია ზუგდიდის სალაროს მიერ შეწყვეტილ დროიდან და საერთოდ რამდენად კანონიერია ამ შემთხვევაში ჩემზე, საქმის პროცესში არსებობის დროს, პენსიის გაცემაზე უარყოფა.

ნესტორ უტახძე ხვიტია.

პასუხი

თანახმად არსებულ დებულების მუხ. 12-ისა, შრომის ინვალიდებს პენსია ან და მისი სამაგიერო სხვა გვარის დახმარება ეძლევათ (თუ კი მათი მდგომარეობა როგორც ჯანმრთელობის ისე ეკონომიური მხრით უცვლელი რჩება) პენსიის დანიშვნის შესახებ მათ მიერ მიცემული განცხადების დღიდან მათ სიკვდილამდე. აღნიშნულ შემთხვევაში მათი პენსიიდან მოხსნა არ დაიშვება. თუ კი პენსიიდან თქვენი მოხსნა მოხდა გაუგებრობით, თუმცა ყველა ის საბუთები რომლებიც თქვენ მიერ წარდგენილ პირველ განცხადებასთან ერთად ზუგდიდის მაზრის დამზღვევ სალაროსთვის, სრულიად საკმარისი იყო, რომ თქვენთვის არ შეეწყვიტათ პენსიის გაცემა და მასთან რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველომ თქვენ აღგადგინათ პენსიონერის უფლებებში მხოლოდ იმ პირველ საბუთების თანახმად (ახალი საბუთების დაუმატებლად), მაშინ თქვენ უნდა მოგეცეთ პენსია იმ დროის განმავლობაში, როდესაც თქვენ უკანონოდ მოხსნილი იყავით პენსიიდან. (იხ. ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1926 წ. 7 ივნისის ცირკულიარი № 23.

კანონიერია თუ არა ჩემი რძალის მოთხოვნა

კითხვა

მყავს ქვრივი რძალი და ოთხი შვილის შვილი, რომლებიც ჩემი შვილის სიკვდილის შემდეგ (7 წელია) ჩემ მზრუნველობის ქვეშ არიან. შვილის შვილები—ოთხივე სასწავლებელში მყავს. უფროსი ვაჟი 15 წლ. მსურს შვილის შვილებს გავაგრძელებიო სწავლა შვილების დახმარებით, მაგრამ ქვრივი დაჟინებით მოითხოვს მისვლეს ქმრის კუთვნილი ქონება და ცალკე დავასახლო თავის შვილებით. ჩემი ოჯახის შემადგენლობა უდრის 17 კაცს. ამ შემადგენლობაშია 1 ქვრივი და ოთხი ობოლიც. ასე შეერთებული ძალით გვიადვილდება ცხოვრება და მიწა-წყალიც გვყოფნის. თუ დავყავით, მოგვიხდება სხვისი მიწა-წყალის იჯარით აღება.

გთხოვთ ახსნა განმარტებას, აქვს თუ არა ქვრივს უფლება გაიტანოს ქმრის ქონება და წაიყვანოს თავის შვილები?

გლეხი—ასალო ანთიძე.

პასუხი

თქვენი რძლის მოთხოვნა სავსებით კანონიერია. მას აქვს სრული უფლება თავის ობოლი შვილებით იცხოვროს ცალკედ და მოითხოვოს საერთო მიწისა და ქონების გაყოფა, თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 40-ის შენიშვნისა, მუხ. 47, 50, 51 და 52-ისა.

როგორ მოვიქცე და ვის მივმართო?!

კითხვა

მუშკოოპში მუშაობა დავიწყე 1923 წ. 14 სექტემბერს. ხშირად მიხდებოდა ზედმეტი საათების და მძიმე მუშაობის ასრულება, რასაც მოჰყვა ჩემი ავადმყოფობა „ვარიკოცელი" ამას გარდა, მუშაობის დროს ჩამოვარდი და წელი ვიტკინე (ეს ექიმის მიერ აღნიშნულია). აღნიშნულ სატკივრების გამო სამუშაოდან ვარ განთავისუფლებული საქმო-საკონტროლო კომისიის მიერ. მუშკოოპის ადმინისტრაცია კი, არ ვიცი რა მოსაზრებით ბიულეტენს არ მიმოწმებს.

გთხოვთ რჩევა-დარიგებას თუ როგორ მოვიქცე.

ნ. ზარიძე.

პასუხი

თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს (1925 წ. 13 აგვისტოს დადგენილება № 43-ისა), გირჩევთ მიმართოთ სათანადო რაიონის შრომის ინსპექტორს და თანახმად საქართველოს შრომის სახკომატის მიერ დამტკიცებულ (1923 წ. 10 სექტემბრიდან) იმ ავადმყოფობათა სიის მუხ. მუხ. 21 და 22-ისა, რომელნიც (ავადმყოფობანი) აძლევს მომუშავეს მიიღოს შვებულება ავადმყოფობის გამო, მოითხოვოთ ასეთი.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო მოქ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო სამკურნალო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტთა საყურადღებოთ, რომ სრულიად უსაფუძვლოა ხმები, თითქოს მე ერთი კვირით მივემგზავრებოდე ტფილისიდან და ამიტომ გამოცდები დიაგნოსტიკაში და კერძო პათოლოგიაში და თერაპიაში შეწყვეტილიყოს 16 ოქტომბრამდე. სტუდენტთა წარმომადგენლების შუამდგომლობა ამის შესახებ ჯერ დაკმაყოფილებული არ არის და ამიტომ გამოცდები აღნიშნულ საგნებში კვლავინდებურად სწარმოებს ყოველ დღე დილის 10½ საათიდან დიაგნოსტიკის კლინიკაში.

პროფ მ. წინამძღვარიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სპეციალური მოწმობების პროფესიონალურ კავშირთა საწევრო ბილეთებით შეცვლის თაობაზე 1924 წლის ოქტომბრის 7-ის თარიღითა და 33 ნომრით გამოცემულ დადგენილების შეცვლის და შევსების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ოქტომბრის 7-ის თარიღისა და 33 №-ის დადგენილებას „სპეციალური მოწმობების პროფესიონალურ კავშირთა საწევრო ბილეთებით შეცვლის შესახებ"—ეწოდოს: „დადგენილება სპეციალური მოწმობების პროფესიონალურ კავშირთა საწევრო ბილეთებით და საწარმოთა საანგარიშო წიგნაკების შეცვლის შესახებ".
2. პირველი მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად: „იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა-მოსამსახურეს უნდა მიეცეს კანონით მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული ესა თუ ის შეღავათი, ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე კერძო პირი მოვალეა დამადასტურებელ დოკუმენტად მიიღოს პროფესიონალური კავშირის საწევრო ბილეთი ან საწარმოს საანგარიშო წიგნაკი".

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭ. საქ. მმართველი ალხალარიძე.

1926 წ. ოქტომბერი 1.

თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მე-2-რე რაიკომი** იუწყება, რომ დღეს, 7 ოქტომბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომის შენობაში შესდგება **მიმღები კომისიის სხდომა.**

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მე-2-რე რაიკომის** საალრიცხვო-განმანაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს, რათა დღეს, 7 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე გამოცხადდენ რაიკომში:

ავანესოვი კონსტანტინე, არაზიანი პოღოს, ზანდალიანი იოსებ, ზაქიევი ჯასო, დანიელიანი ვუნგენი, არისტიანი ვიქტორ, მურადოვი სოლომონ, ოგანეზოვი ხაჩუკ, საავიანი გარეგია, სეხუა ელადიმერ, ტერ-სტეფანოვი არტაშეს, ტერმიგალიანი სარქის, აგარონიკი მკრტიჩ, არუთინოვი ბაგრატ, აშჩიანი მარიამ, აკოფოვი სტეფანე, არუთინოვი გრიგოლი, ბაბაკოვი ნიკოლ., ვარლამოვი დიმიტრი, გოგოლაშვილი ხვიტოსონ, ტიდეევი აბრამ, დემიდოვი სერგო, მარკანიანცი მკრტიჩ, კარაპეტიანი არმენაკ, მიქაძე მარიამ, მუხთარნოვი ივანე, ლომიძე ივანე, სარიგო ივანე, სიდნენკო ალექსანდრე.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მე-2-რე რაიკომი** იუწყება, რომ პარასკევს 8 ოქტომბერს ერთიან **პარტიულ დღეს უჯრედების ჯგუფური კრებები** ჩატარებული იქნება რაიონის შემდეგ პუნქტებში:

1. ცენტრალური მუშათა კლუბი—საღამოს 5½ საათზე—მომხს. ამხ. **ასრიბეკოვი.**
2. ტრამვაის კლუბი—საღამოს 5½ საათზე—მომხს. ამხ. **კახიანი.**
3. ამხ. მიასნიკოვის სახელობის კლუბში საღამოს 5½ საათზე—მომხს. ამხ. **ხანოიანი.**

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის **მე-3-ე რაიკომი** იუწყება, რომ **ერთიან პარტიულ დღეს** 8 ოქტომბერს მე-3-ე რაიონში მოწვეულია უჯრედების ჯგუფური კრებები.

დღის წესრიგი: პარტიის სამეურნეო პოლიტიკის შესახებ, (საკავშ. კომ. პარტ. (ბ) ცკას და ცენტრალ. საკონტრ. კომისიის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა თანახმად).

1. უჯრედები №№ 1, 2, 10, 11, 22, 31—ტყავტრესტის კლუბში—დღის 3½ საათზე. მომხს. ამხ. **ქართველიშვილი.**
2. უჯრედები № 3, 9, 13, 20, 23, 27, 29—რაიკომის შენობაში—საღამოს 6 საათზე მომხს. ამხ. **ოსეპიანი.**
3. უჯრედები № 4, 7, 32, 33, 34—სადგურ ნავთლუღის კლუბის შენობაში—დღის 4 საათზე. მომხსენებელი ამხ. **ნ. ღოღობერიძე.**
4. უჯრედები № 5 და 13 (თურქული)—ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში საღამოს 6 საათზე.—მომხსენებელი ამხ. **შირვანსკი.**
5. უჯრედები № 6, 8, 12, 16, 17, 18, 19, 21, 24, 26, 28—ივლაბრის მუშათა კლუბის შენობაში, საღამოს 6 საათზე—მომხსენებელი: ამხ. **ჰუსეინოვი.**

— **ს. კ. პ. ლენინის რაიკომი** იუწყება, რომ პარასკევს, 8 ოქტომბერს, ერთიან პარტიულ დღეს საღამოს 6 საათზე, მოწვეულია **ჯგუფური კრებები** ლენრაიონის უჯრედებისა შემდეგ პუნქტებში:

1. პლეხანოვის სახელობის კლუბში:—საყუდი, სარონოდო ფარეხი, საქონლის სადგური, მოძრაობის დარგი, სატრ. საგან. კომისია, საავადმყოფო, სატელეგრაფო სახელოსნოები და სტაბა.

მომხსენებლად გამოდის ამხ. **მამია ორახელაშვილი.**

2. ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში:—რკინისგზის სამმართველო, პ. და ხ. სამსახური, სამმართველოს გარაჟი, შავი ზღვის რკინისგზის სამმართველო, რკინისგზის დაცვის რაზმი, შეიარაღებული რაზმი, „ზაკტპო", განათლების კავშირი, პროფგანათლების კურსები და საშემოსავლო ნაწილი.

მომხსენებელი ამხ.—**სვანიძე.**

— **ს. კ. პ. ლენინის რაიკომი** იუწყება, რომ ორშაბათს, 11 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულია მთავარ სახელოსნოების ყველა უჯრედების და მე-2 უჯრედის ჯგუფური კრება.

მომხსენებლად გამოდის ამხ. **მ. კახიანი.**

— ს. ც. ს. კ. წინადადებას აძლევს იესე ულენტს გამოცხადდეს, 8, 9, 10 ოქტომბერს საკონტროლო კომისიაში. რუსთაველის პროსპექტი 24. მესამე სართული.

—**საქართველოს ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი.** იუწყება, რომ დღეს, 7 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე (საქ. ახ.-ლენ. კომკავშ. რაიკომის შენობაში) მოწვეულია **რაიკ. გაფართოებული პლენუმი,** უჯრედების მდივნების და საგიტაც. საპროპ. განყოფილებათა გამგების თანდასწრებით. დღის წესრიგშია. 1) საგიტ. საპროპ. განყოფილების მოხსენება განათლების მთლიანი სისტემის შესახებ. 2) უჯრედების ბიუროების მოახლოებულ გადარჩევების შესახებ 3) რაიკომის ბიუროს შემადგენლობის შესახებ. რაიკომის წევრების და კანდიდატების, უჯრედების მდივნების, საგიტ-საპროპ. განყ. გამგეების გამოცხადება სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მე-2 რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება **რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.** დასწრება პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა სავალდებულოა.

— საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტ-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ს. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს, 7 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე.

რუსული ჯგუფი—განათლების მუშაკთა სახლში. ქართული ჯგუფი— აგიტ.-პროპმუშაკის ცენტრალურ კაბინეტში. სომხური ჯგუფი—მე-3-ე რაიონის პარტიულ კლუბში.

გულმოკლულნი დედა სურათა, ძმები ვანო, ივლიანე და მიხა, რძლები ზინა, პოლიმპია, პელაგია და ქრისტინე, დები სარა და ოლიმპია, სიძეები ილიკო, თეოფილე და სილო, აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს, რომ 4 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. ხაშურში გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

მინა (მინუკა) ნესტორის ძე ჩლაიძე

გამოსვენება თბილისის რკინის გზის სადგურიდან 7 ოქტომბერს დღის 3 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2 1 ქვ. 58

ღრმად დამწუხრებული ალექსანდრე (საშა) ალავიძე და იოსკა ვარაზაშვილი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფას მეგობრის

მინა ნესტორის-ძე ჩლაიძის

გარდაცვალებას ქ. ხაშურში. გამოსვენება მოხდება დღეს, 7 ოქტომბერს, თბილისის სადგურიდან სამ საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 81

გამწარებული დედა ხინუცა გრიგოლის ასული, ძმა თომა გიორგის-ძე, და თინა და ძმა ბორია კეშელავები მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს და ამხანაგებს, რომ საყვარელი უდროოდ დაკარგული

თამარ (თათუშა) კეშელავას

წლის თავის მოსაგონარი სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ფოთში, შაბათს 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის ოთხ საათზე ნახუტურის სასაფლაოზე. 63

აპოლო
არტისტო
სოლეი

განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს!!!
5 დღის განმავლობაში 20.686 კაცმა
ნახა სურათი
„ხანუმა"
(ქეთო და კოტე)
რეჟის.—ა. რ. წუწუნავა. ოპერ.—ს. პ. ზაბოზლაევი.
უმთავრეს როლებში: ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, თ. ბოლქვაძე, ც. წუწუნავა, ი. ნახარაშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია. კ. მიქაბერიძე, ლ. კავსაძე, შ. ჭიაურელი, ი. ტრაპაიძე,
სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი. სალარო ღიაა დღის 5 საათ. და 30 წ. 1833 0—6.

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 54825 —1

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
3574 ტელეფ. № 4—82

ქ. თბილისის 2-რე რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 9 ოქტომბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 8 | 10 კათლაროვის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის მაცაკან ძამოევის მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფს, კიდლის სარკეს და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 123 მანეთად, ქ. თბილისის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2-რე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 28 ივლისი 1926 წ. თარიღით, № 2500 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 71

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. კ. ოდიშარია
აცხადებს, რომ ის 18 ოქტომბერს 1926 წ. საათის 12, ორჯონიკიძის ქ. № 78, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ვლასი ცინცაძის მოძრავ ქონებას—პიანინოს შეფასებულს ას მან. დასაკმაყოფილებლად სახკვების კავშირისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 67

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—2

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

დავკარგე საბინაო დავთარი მცხოვრები დიდი ვანქის ქუჩა № 6, პოლოსოვი შმანა, ჩ. გ. 78
დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 2, იოსებ იაგორის-ძე იმნაძის სახელზე, მიღებული ლანჩხუთის რაიონის სამხედრო მაგიდიდან, ჩ. გ. 80
დავკარგე აღმასრულებელი ფურცელი, მოცემული მარტვილის სახ. სასამართლოსაგან № 1284, კუკუ გვალიას სახელზე, ჩ. გ. 80
დავკარგე წიგნაკი № 92ც, გაცემული ჯურუყვეთის აღმასკომის მიერ, ვანო კუპატაძის სახელზე, ჩ. გ. 80
დავკარგე საკანდიდატო პარტ. ბილეთი № 5648, ვლადიმერ გიორგის-ძე გაბუნიას სახელზე, ჩ. გ. 82
დავკარგე ინვალიდობის ბილეთი შრომის უნარიანობის 75 პროც. ნაკლოვანობის შესახებ სოლომონ მოსესძე კილასონიას სახელზე, ჩ. გ. 64
დავკარგე კავშირის წიგნაკი № 109 ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ურგებაძეს სახელზე, ჩ. გ. 68
დავკარგე პირადობის მოწმობა—ტატევოს გრიგორიანცის სახელზე, ჩ. გ. 74
დავკარგე კავშირის წიგნაკი № 10671, გაცემული გორის განათლების კავშირიდან 1922 წ. ნინო გონგლიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 77
დავკარგე კომკავშირის პირადობის მოწმობა № 309012, ვალოდია გაზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 77
დავკარგე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 9947. 75
დავკარგე მოწმობა ცხრაწლედის, მოცემული ზუგდიდის ცხრაწლედის გამგეობისგან № 376, არჩილ ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. 77
დავკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მიერ მოცემული მატრიკული გატარებული № 264, გიორგი მესხის სახელზე, ჩ. გ. 76

ექიმი **ე. მ. მძინარიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1.

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

ექიმი **ზ. ა. ტარუმოვი**
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, ნ. ღ.

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფთ. და უწევს აგრეთვე სამეანო დახმარებას დღის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს აბკოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87 25—

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1,

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7). 3755 13—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ 348 25—1

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება-ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოდაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 12

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება და სამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე. 3896 25—

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო საბუთი, ღვინის გასაგზავნი ნებართვა, მოცემული ნოვოროსიის არაპირდაპირ გადასახადის განყოფილებიდან მელიტონ შარტავას სახელზე და თამასუქები:
1) თამასუქი 400 მან. ვადა 15 ოქტომბერს | ხელმოწერილი შაპალიდის მიერ
2) „ 200 „ „ 20 „
3) „ 150 „ უვადო | მაშამედოვის და ნაჭყეპიანის ხელის მოწერით
4) „ 100 „ „
5) „ 100 „ „
6) „ 150 მ. პროტესტ ქმნილი სოჩის ნოტარიუსთან, ჩ. გ, 72

დაკარგულია ს.შ.უ.ს. მაუდის ქარხნის საამშენებლო კომიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა № 30102 და პირადი საბუთები გრიგოლ დავითის-ძის მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 69

დავკარგე ღვინის გასატანი ნებართვა, გაცემული ნოვოროსიის არაპირდაპირ გადასახადის განყოფილების მიერ ვასილი კვარცხავას სახელზე, ჩ. გ. 73

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი
ხუთშაბათს, 7 ოქტომბერს,
დ. ანდღულაძის
გამოსათხოვარი **კონცერტი** (რუსეთში გამგზავრების წინ)
მონაწილეობენ: ქ. მაყაშვილი, ბ. მრავალი, ს. ღაბაშიძე, ნ. ქუმსიაშვილი, შ. ცირღილაძე. ა. ხოფერია, გ. თაქთაქიშვილი, როიალთან ნ. გრიშუროვა.
ბილეთების ფასები 3 მან.—60 კაპ. იყიდება თეატრის სალაროში. 70

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

ხელახალი რეგისტრაცია
თბილისის და მისი მაზრის მთელი საექიმო პერსონალისა
(ექიმების, კბილის ექიმების, კბილის ტექნიკების, ფარმაცევტების, აფთიაქის მოწაფეების, ბებია-ქალების, ბებია-ექიმი ქალების, ბებია-ექიმის თანაშემწეების, მოწყალების დების, საექიმო მოწყალების დების და ექიმის თანაშემწეებისა), რომელიც სწარმოებს თანახმად ჯანმრთელობის კომისარიატის ცირკულიარისა № 170.
გაგრძელდება 12 ოქტომბრამდე.
იმ პირთ, რომელნიც ხელახალ რეგისტრაციაზე გამოცხადდებიან, ევალებათ წარმოადგინონ ან 1925 წელს გაცემული საალრიცხვო-სარეგისტრაციო ბარათი, ან დიპლომი მათი ორ შეუმოწმებელ ასლის დართვით, ან შემოწმებული ორი ასლი დიპლომისა და აგრეთვე მოწმობა, ასლების დართვით, გავლილ სამსახურისა და სტაჟის შესახებ.
ხელახალი რეგისტრაცია სწარმოებს აკაკი წერეთლის (ყ. განოვის) ქუჩაზე, № 6, ოთახი № 245, საღამოს 5—9 საათამდე.
თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება.
თბილისის აღმასკომის სტატისტიკურ-ეკონომიური განყოფილება.
ნ. 14.

სტამბა „კომუნისტი", კალოს ქ. 63